

825  
1986

I S S N : 0763 - 7247



# გუგაბი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში

პარიზი N° 11 PARIS

ოქტომბერი 1986 OCTOBRE

\*\*\*\*\*



„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“— ი ლ ი ა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

\*\*\*\*\*

ვ ი ნ ი ყ ვ ე ნ ს ი ყ ი ნ ე ბ ი ?

ოქტომბერი მსუყე, მდიდარი ამბებითა და მოვლენებით და ისტორიით დატვირთული თვეა, „გუშაგის“ ეს ნომერიც ხომ ამ თვის შვილია და, მაშ, პირველად კიდევაც უნდა აღვძრათ ამ თვის ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო საკითხი. საკითხი ეხება სიყინებს. ამ ხალხს თურმე უნდა უმადლოდეს ევროპის კონტინენტი რკინის დამუშავების დანერგვას და რკინის სასოფლო-სამეურნეო იარაღების გავრცელების საქმეს. და აგრეთვე პირველ ურბანიზაციას, რომელთა დაპყრობამდე ადრე, მეექვსე საუკუნეში ქრისტეს წინ.

21567

თურმე ეს ხალხი გამოექცა მიდიელთა დაპყრობას, თან წაწამოიღეს მათი რკინის დასამუშავებელი იარაღ-მოწყობილობები, შავი ზღვითა და წყალუხვი მდინარეებით მოედვენ მთელს ევროპას სკანდინავიის ქვეყნებამდე და პირინეის მთების მიღმა იბერიის ნახევარ კუნძულამდე. ხმელეთზე ისინი მოგზაურობდენ ეტლებით, რომლებშიც გაბმული ჰყავდათ პატარა ჯიშის ცხენები, რომლებსაც განსაკუთრებით ხედნიდენ სიყინი ქალები.

ამას ბრძანებს დიდი ჰეროდოტე და ახლა ადასტურებს უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის იხილეთ ამ წლის ოქტომბრის ყოველთვიური კრებული (ფრანგული) „Dossiers Histoire et Archeologie“ №109 OCT. 1986.

ჩვენს ისტორიოგრაფიას ეკუთვნის გასცეს პასუხი კითხვაზე: ვინ იყვნ სიყინები ?

\*\*\*\*\*







## რ ე ი კ ი ა ვ ი კ ი ს    გ ა კ ვ ე თ ა ლ ი

სრულიად მოულოდნელად გამოცხადდა ამერიკისა და საბჭოთა უმაღლეს ღონეთა შეხვედრა 11 და 12 ოქტომბრისათვის ისლანდიის დედაქალაქში. შეხვედრის ინიციატივა და ადგილის შერჩევაც—შუა გზაზე მდებარე უმნიშვნელო სახელმწიფო—საბჭოთა მხარეს ეკუთვნოდა.

არც საერთაშორისო და არც ორმხრივი პოლიტიკური მდგომარეობა ამ მოლაპარაკების სასარგებლოდ არ მეტყველებდენ. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, გასული წლის ბოლოს ჟენევაში შეხვედრის დროს, რეიგანი და გორბაჩოვი მხოლოდ შეთანხმდნენ: გააგრძელებდნენ მოლაპარაკებას, წელს ერთმანეთს შეხვდებოდნენ ვაშინგტონში, მომავალ წელს კი მოსკოვში. ჟენევიდან დაბრუნებისათანავე გორბაჩოვმა დაიწყო წინაპირობების წამოყენება, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდიდა ამ წლის შეხვედრას და მამასაღამე, მომავალი წლის საპასუხო შეხვედრასაც. მან, მაგალითად, კომპარტიის ყრილობაზე განაცხადა, რომ თუ შეხვედრას არ მოყვებოდა კონკრეტული შედეგი, რაც ნიშნავდა იმას, რომ რეიგანს წინასწარვე უნდა მიეცა პირობა მისი „სტრატეგიული თავდაცვის გეგმაზე“ ხელის აღებისა, — შეხვედრა არ მოხდებოდა. მეორეთ კი, აღდგომის დამით, ტელევიზიით გამოსუმა წინადადება მისცა ამერიკის პრეზიდენტს, დაუყვანებლივ შეხვედროდა სადმე ევროპაში. მაშინ რეიგანმა დინჯად და საფუძვლიანად უპასუხა: ჟენევაში ჩვენი შეთანხმების თანახმად, წელს ბატონი გორბაჩოვი აქ უნდა გვეწვიოს მოსალაპარაკებლად, არავითარი მოტივი არ არსებობს იმისთვის, რომ განზრახული შევეცვალოთ და სადმე სხვაგან შევხვდეთ ერთმანეთს, როგორც ამას ბ. გორბაჩოვი აცხადებს.

ახლა კი რა მოხდა? რამ ააჩქარა და რამ შეაცვლევინა აზრი ამერიკის პრეზიდენტს?

საერთაშორისო მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. პირიქით, გახშირდა ამერიკის თვითმფრინავებისა და გემების მძევლად აყვანის შემთხვევები და ამერიკის მოქალაქეთა ხოცვა ახლო-აღმოსავლეთელ ტერორისტებისაგან. ამერიკის



მთავრობამ ყველაზე უკეთ უწყის, თუ ვინ დგას ამ მუხამ რწუნებელი აქტების ავტორთა ზურგში, რადგანაც დაზვერვის სამსახურის უფროსმა ბ. ვილიამ კეისიმ საჯაროდ განაცხადა, რომ საერთაშორისო ტერორს მფარველობს და აიარალებს საბჭოთა მთავრობა, რომელიც მას იძენებს ჩვენი და ჩვენი მოკავშირეების დასასუსტებლად.

კიდევ უარესი, სექტემბრის თვეში ამერიკის პოლიციამ აშკარა დანაშაულზე წაასწრო, დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა „გეოს“ „პატივცემული“ საბჭოთა დიპლომატი, სინამდვილეში „კაგებეს“ მსხვილი ჯაშუში. საპასუხოდ, „კაგებემ“ პროვოკაცია მოუწყო მოსკოვში ამერიკული პრესის კორესპონდენტს, ნიკ დანილოვს და საბჭოთა „სამართალში“ მისცა იგი. საბჭოთა მთავრობის ასეთ მოქმედებას, პრეზიდენტმა რეიგანმა სამართლიანად უწოდა „მძევლად აყვანის პირატული აქტი“. მაგრამ იგი მომგებიანი გამოდგა გორბაჩოვისათვის, რადგანაც, საიდუმლო დიპლომატიური მორიგების შედეგად, საშიში საბჭოთა ჯაშუში გაიცვალა უბრალო ამერიკელ ჟურნალისტზე და ამან, არამც თუ ხელი შეუშალა, არამედ თითქოს კიდევაც დააჩქარა რეიკიავიკში რეიგან-გორბაჩოვის შეხვედრა. კიდევ ერთხელ ისმება კითხვა: რა მოხდა? მტკიცე ხასიათის მქონედ ცნობილი პრეზიდენტი, რამ წაიყვანა დათმობაზე? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მას ჰქონდა გორბაჩოვისაგან წინასწარი დაპირებები, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის აკრძალვის დარგში და ის იმედოვნებდა, რომ ეს შეთანხმება შესაძლებელი იქნებოდა მისთვის ძვირფას „სტრატეგიული თავდაცვის გეგმაზე“ ხელის აუღებლად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბ. რეიგანისათვის ამ შესაძლებლობის დაუყოვნებლივი შემოწმება უფრო დიდმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პროტოკოლის დარღვევა.

შეხვედრის შედეგი საყოველთაოდ ცნობილია: მიუხედავად განიარაღების მნიშვნელოვან სფეროებში მიღწეული შეთანხმებებისა, კერძოდ სტრატეგიული ბირთვული იარაღის 50 პროცენტით შემცირება და ევროპის ფრონტიდან საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების ორივე მხრიდან მთლიანად გატანა, — იგი სრულიად უშედეგოდ დასრულდა. თითქოს საქმის წარმატებამ შეაშინაო, გორბაჩოვმა უკანასკნელ წუთში



უარი თქვა ხელი მოეწერა მიღწეულ შეთანხმებებზე, მათ პრეზიდენტი რეიგანი არ დათანხმდებოდა მის „სტრატეგიულ თავდაცვის პროექტის“ განხორციელების ხელის აღებაზე, რაზედაც ამ უკანასკნელმა მტკიცე უარი განაცხადა.

ინტერესს არ არის მოკლებული იმის აღნიშვნა, რომ ეს მოლაპარაკება განსაკუთრებული დრამატიული ტონით დამთავრდა, რაც გაკვირვებას იწვევს საერთაშორისო პოლიტიკის მიმომხილველებში. ისინი ამბობენ: უნევეაში შეხვედრა ამაზე გაცილებით უნაყოფო იყო, მაინც ოპტიმიზმით დამთავრდა; ისლანდიის მოლაპარაკებიდან არც არავინ მოელოდა კონკრეტულ შედეგებს, ის ხომ გამოცხადებული იყო, როგორც მოსამზადებელი საფეხური მომავალი ვაშინგტონის შეხვედრის გზაზეო და მაშ, რად უნდა დარჩენოდა ადგილი ასეთ იმედის გაცრუებასო.

საქმე იმაშია: გორბაჩოვი ფიქრობს, რომ დრამატიზაცია ემსახურება მის ინტერესებს. ის მას გაუადვილებს თავიდან აიცილოს წელს მისთვის არა სასურველი ამერიკაში სტუმრობა და, ამავე დროს, „I.D.S.“-ის ხმამაღალი გამოცხადება, როგორც მთავარი დებრკოლება ბირთვული განიარაღების გზაზე, მას მეტ საშუალებას მისცემს ჩაერიოს ამერიკის პოლიტიკაში „I.D.S.“-ის დამცველ რეიგანისა და რეიგანელების წინააღმდეგ.

მოლაპარაკებამ ისლანდიაში აშკარად ამხილა მ. გორბაჩოვი. მისთვის მთავარია, არა კაცობრიობის ხსნა ატომ-ბირთვული საფრთხისაგან, არამედ დროის მოგება, რათა მიადწიოს მსოფლიოზე გაბატონებისთვის საჭირო გადამწყვეტ სამხედრო უპირატესობას, პირველმა შექმნას აბსოლუტური იარაღი. გავიხსენოთ უკანასკნელი მსოფლიო ომის შემდგომი ხანა, როცა ამერიკა ერთადერთი სახელმწიფო იყო მსოფლიოში, რომელიც ატომურ ბომბებს ფლობდა. მაშინ სტალინის პროპაგანდამ და დიპლომატიამ, მშვიდობისა და სიცოცხლის დაცვის ჰუმანურ იდეალების მომიზეზებით, ანათემას გადასცა ატომური იარაღის გამოყენება, ნიანგის ცრემლებს აფრქვევდა ჰიროშიმასა და ნაგასაკის ქალაქებზე გადაყრილ ატომურ ბომბების მსხვერპლთ. ეს მას კიდევაც გაუმართლდა: წლების განმავლობაში საზოგადოებრივი სირცხვილის აზრით

\*\*\*\*\*



დამბლადაცემულმა ამერიკის მთავრობამ ვერაფრად ვერაფრად ვერაფრად ვერაფრად  
იყენა მისი გამსრესი უპირატესობა.

მას შემდეგ, რაც კი ხელთ იგდო ატომური იარაღი, საბჭოთა მთავრობას მისი ხმარების აკრძალვაზე კი აღარ უზრუნვია, არამედ ჯერ მის რიცხოვრივ და თვისობრივ პარიტეტში გამოეჯიბრა ამერიკას, შემდეგ კი გადსწრება და დაჯახნებაც კი მოუწდომა. ამრიგად დაგროვდა ამ მომსპობი იარაღის მთები და მისი ობიექტებზე მიზიდვის საშუალებები, რამაც სამართლიანი შეშფოთებით მოიცვა კაცობრიობა. ეს შეშფოთება ირეკლება დემოკრატიული ამერიკის სამთავრობო პოლიტიკაშიც, რისი მაჩვენებელიც არის სტრატეგიული თავდაცვის პროექტი. ამ პროექტის მიზანია უვნებელი გახადოს ამერიკა საბჭოთა თუ სხვა შესაძლებელი მოწინააღმდეგის ბომბებისაგან და ამრიგად მოწინააღმდეგის განადგურების მუქარის დოქტრინას ცვლის შესაძლებელი თავდასხმისაგან თავდაცვის დოქტრინა. დღიდან ამ დოქტრინის გამოცხადებისა და მისი შესაბამისი საშუალებების ძიების დაწყებისა, საბჭოთა ხელისუფლებამ მას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, საზოგადოებრივ აზრს აშინებს ბირთვული კატასტროფით, იმ იმედით, რომ იგი გავლენას მოახდენს ამერიკის მთავრობაზე და, თუ სამუდამოდ არა, საკმაო ხანძლივი დროით მაინც, მას ხელს ააღებინებს **IDS**-ის განხორციელების ცდაზე, რითაც გორბაჩოვი მოიგებდა ძვირფას დროს, რომლის განმავლობაშიც საბჭოთა კავშირი ვაგარძელებდა ფარულ მზადებას ამ დარგში უპირატესობის მისაღწევად. ამ განზრახვას ემსახურებოდა უეჭველად რეიკიავიკის მოლაპარაკების საბჭოთა ინიციატივაც და მისი დამამთავრებელი პესიმისტური აკორდებიც.

ამ აზრს ადასტურებს გორბაჩოვის პრესკონფერენცია რეიკიავიკში, რომლითაც მან მსოფლიოს მიმართა და რომლის შინაარსიც მას ალბათ მოლაპარაკების დაწყებამდე ჰქონდა შედგენილი. მის სიტყვაში ის აშკარად მოუწოდებს ამერიკის ხალხსა და მსოფლიოს, რომ მათ გავლენა მოახდინონ პრეზ. რეიგანზე მისი, გორბაჩოვის, პოზიციის სასარგებლოდ.

„ვფიქრობ, თქვა მან, რომ ამერიკის შეერ. შტატების პრეზიდენტმაც და ჩვენც უნდა გავიაზროთ მთელი სიტუაცია,



\*\*\*\*\*



რომელიც საბოლოო ანგარიშით შეიქმნა აქ შეხვედრას და კვლავ დაგუბრუნდეთ და ვეცადოთ გადავადგილოთ იმის, რაც გვაშორებს ერთმანეთს, ჩვენ ხომ ბევრ რამეზე უკვე მოვრიგდით, ბევრი რამ განვვლეთ. შესაძლოა, პრეზიდენტი უნდა მოეთათბიროს კონგრესს, პოლიტიკურ წრეებს, ამერიკის საზოგადოებას. დაე ყველივე ეს გაიზიაროს ამერიკამ. ჩვენ დავიცდით, არ გავაუქმებთ ჩვენს წინადადებებს, რომლებიც საჯაროდ გამოვაცხევინეთ, არსებითად ხომ ჩვენ შევთანხმდით მათ გამო. ეს ერთი. მეორე, ვფიქრობ, რომ მსოფლიოს მთელმა რეალისტურმა ძალებმა ახლა უნდა იმოქმედონ.“ იმოქმედონ, რა თქმა უნდა, იმ მიმართულებით, რომ აზრი შეაღვლევინონ ამერიკის პრეზიდენტს და არა მას, მ. გორბაჩოვს. შემდეგ გორბაჩოვი ამახვილებს ყურადღებას იმის შესახებ, რომ ერთადერთი **IDS** არის დაბრკოლება ამერიკისა და საბჭოების შორის ყველგვარი მორიგებისა და ისევ მოუწოდებს ამერიკელებსა და მსოფლიოს იმოქმედონ ამ დაბრკოლების მოსახსნელად. „ხდებოდა დაახლოება. მაგრამ როცა მოხდა განხეთქილება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გამო... შევწყვიტეთ შეხვედრა. ჩემი აზრით, ახლა ჩვენ და ამერიკელებმა ყველაფერი უნდა მოვიფიქროთ, მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმაც უნდა მოიფიქროს მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია მთავარ საკითხზე, რომელიც ყველა ქვეყნის ხალხებს აწუხებს: ომისა და მშვიდობის საკითხები, ბირთვული საფრთხის საკითხები.“ ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა მას სამართლიანი შეკითხვა მისცა: „რამდენადაც მესმის, თქვენ პირდაპირ მოუწოდებთ საერთაშორისო გაერთიანების სხვა წევრებს შეასრულონ ერთგვარი ლობის როლი, რათა ზეგავლენა მოახდინონ შეერთ. შტატებზე და აძულონ იგი აზრი შეიცვალოს?“ რაზედაც მან ცოტა მწყრალად უპასუხა, იუკადრისა სიტყვა ლობიზმი, რომელიც მას კარგად ცოდნია და თქვა: „ამიტომ მშვიდობისმოყვარე ხალხებისა თუ მოძრაობებისათვის საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ლობიზმის დაბრკოლება შეუტარაცხმფიქვია,“-ო.

რეკიავიკის გაკვეთილია ის, რომ ამერიკის მხარე მზად იყო ხელი მოეწერა ატომ-ბირთვული იარაღის არა მარტო მცირე შემცირების, არამედ მისი სრული ლიკვიდაციის ხელ-

\*\*\*\*\*



შეკრულებაზედაც, მაგრამ გორბაჩოვმა უკანასკნელ წლებში უარი თქვა და კაცობრიობის აღძრული იმედების განხრუტების პასუხისმგებლობაც მას ეკისრება; თუმცა ის მაინც ცდილობს და მომავალშიც ცდას არ დააკლებს: ყველაფერი ამერიკის მხარეს გადააბრალოს. საბჭოთა პროპაგანდა დახელოვნებულია თეთრი რომ შავად წარმოადგინოს, ის ასევე იქცევა ამ შემთხვევაშიც, მაგრამ ძალიან გაუჭირდება სალი აზრი დააჯეროს იმაში, რომ კაცობრიობის თავზე გადმოკიდებული ნიუკლერული ბომბები მისთვის ნაკლებად საშიშია, ვიდრე მისგან თავდასაცავი ფარები.

ისლანდიდან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა გულწრფელად, ყველგვარი დემაგოგიისა და რიტორიკის გარეშე, თავის თანამოქალაქეებს შემდეგი განუცხადა: „მე მესმის, რომ ზოგიერთ ამერიკელს შეუძლია თქვას: რატომ არ დააკმაყოფილე ბატონ გორბაჩოვის მოთხოვნები, რატომ არ დათმე **IDS**-ო? პასუხი, ჩემო მეგობრებო, უბრალოა: **IDS** არის თავის დაზღვევა, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ სსრკ პატივსა სცემს მის რეიკიავიკში აღებულ ვალდებულებებს. ისაა ჩვენი გარანტია იმ შემთხვევისათვის თუ საბჭოები, — როგორც მათ ძალიან ხშირად ქნეს წარსულში, — პატივს არ სცემენ მათ საჯაროდ აღიარებულ ვალდებულებებს. **IDS** არის ის, რამაც საბჭოელები მოიყვანა ყენენისა და ისლანდიის მოლაპარაკებათა მაგიდებთან. **IDS** გასაღებია არაბირთვული მსოფლიოსი“-ო.

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

ს ა ხ ა რ ო ვ ი ს მ ი მ ა რ თ ვ ა გ ო რ ბ ა ჩ -  
ო ვ ი ს ა დ მ ი \* )

„ღრმად პატივცემულო მიხეილ სერგის-ძეგ!  
უპირველესად ყოვლისა, მსურს დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ ჩემმა მეუღლე ელენა ბონერმა მიიღო საზღვარგარეთ მყოფი დედის, შვილების, შვილიშვილების სანახავად და სამკურნალოდ გამგზავრების უფლება. ჩემის ვარაუდით, ამ ნებართვის მიღება, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, მხოლოდ თქვენი პირადი ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი.



მე შემექმნა იმის იმედი, რომ თქვენი ჩარევა შესაძლებელია გახდის სხვა, საერთო ხასიათის პრობლემის გადაჭრის, რომელიც ძალიან მადლეველს. ეს უფრო რთული პრობლემაა, რომელსაც არამც თუ მარტო ჰუმანური, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ენიჭება. საქმე ეხება სინდისის პატიმართა ბედს. („საერთაშორისო ამნისტიის“ ტერმინოლოგიის მიხედვით, აქ ის პირები იგულისხმებიან, რომლებიც რეპრესირებულნი არიან თავიანთი შეხედულებებისა და მოქმედებათათვის და ამავე დროს ისინი არ მიმართავდნენ ძალადობას და არც ძალადობისაკენ მოუწოდებდნენ. როგორც ცნება „სინდისის პატიმარი“-დან ჩანს, ეს იგივეა, რაც „პოლიტიკური პატიმარი.“)

1986 წლის 8 თებერვლის გაზეთ „იუმანიტეს“ კითხვებზე გაცემულ პასუხებში თქვენ ამტკიცებთ: „ახლა პოლიტიკურ პატიმართა შესახებ, ჩვენ არა გვყავს ასეთები ისევე, როგორც არა აქვს ადგილი მოქლაქეთა დევნას მათი შეხედულებებისათვის. ამისთვის ჩვენთან არ ასამართლებენ.“

მიხეილ სერგისძე! რუსეთის საბჭოთა ს. რესპუბლიკისა და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში არ არის ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“; რუსეთის ს.ს. რესპუბლიკის სინსლის სამართლის კოდექსში 190\_I, 70 და 142 მუხლებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის კოდექსებს, პოლიტიკური არ ჰქვია. ეს ფორმალურ საფუძველს იძლევა იმის სათქმელად, რომ ჩვენ არ გვყავს პოლიტიკური პატიმრები და მით უფრო: ჩვენთან ადგილი არ აქვს დევნას შეხედულებებისათვის. მაგრამ, სინამდვილეში, თქვენმა მრჩეველებმა თქვენ შეცდომაში შეგიყვანეს. შესაძლოა, რომ მათ ეს განზრახვით კი არ გააკეთეს, არამედ ჩვენში არსებულ წარმოდგენათა გამო. თუმცა, თვითონ განსიჯეთ:

დავიწყებ რ.ს.ფ.ს.რ.-ის სინსლის სამართლის კოდექსის 190\_I მუხლოს განხილვით. ის ითვალსწინებს პასუხისგებას საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შეურაცხმყოფელი მონაქორების გავრცელებისთვის. გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურის“ მიერ გამოქვეყნებულ სინსლის სამართლის კოდექსის კომენტარებში წერია, რომ მონაქორთა გავრცელება, რომელთა მცდარობა არაა ცნობი-

\*\*\*\*\*



ლი მათი გამვრცელებელი პირისთვის, აგრეთვე მცლადრ შვედ-სებათა გამოთქმა... არ წარმოადგენს 190-I მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. მაგრამ, ჩემთვის ცნობილ ყველა შემთხვევებში, სასამართლოები მთლიანად უგულბებელყოფენ იურიტიებისა და სალი აზრის ამ მოთხოვნებს. ისინი მუდამ გვერდს უვლიან იმის განხილვას, ადგილი ჰქონდა თუ არა ბრალდებულის მიერ ტყუილის შეგნებულად გავრცელებას, თუ ისინი ამბობდნენ და წერდნენ იმას, რასაც ფიქრობდნენ. სინამდვილეში სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევებს ჰქონდათ ადგილი. იურიდიულად მნიშვნელოვანია, რომ გამონათქვამთა მონაქორობა დაუსაბუთებელი რჩებოდა ასე რომ, ფაქტიურად სასამართლოები სჯიდნენ ადამიანებს მათი შეხედულებებისათვის. ჩემი მეუღლე ელენა ბონერი ამგვარი კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკის მსხვერპლთა რიცხვს მიეკუთვნება. (მე დაწვრილებით გწერდით ამის შესახებ.)

ასევე უსამართლოა სასამართლოთა მიერ რსფსრ-ის სისხლის სამართლის 70-ე მუხლის გამოყენება, რომელიც სიტყვა-სიტყვითაა გადმოტანილი სტალინური კოდექსიდან. ეს არის ტრაგიკულად ცნობილი 58-ე მუხლის ერთ-ერთი ნაწილი, რომლის მიხედვითაც გასამართლებულებს სტალინურ ბანაკებში „კერპთაყვანისმცემლებს უწოდებდნენ.

ყველა ჩემთვის ცნობილ შემთხვევაში, პატიოსანი, თავგანწირული ადამიანები გასამართლებული იყვნენ 70-ე და 190-I მუხლთა ძალთ, ანუ იმ ცნობათა გავრცელებისთვის, რომელთა ქვეშეპარტებაში ისინი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი და, რომლებიც უმთავრეს შემთხვევებში მართლაც ეთანადებოდა სინამდვილეს. (ეს სახელდობრ იყო ობიექტიური ინფორმაცია: უკანონო სასამართლოების, ფსიქიატრულ დევნათა და სხვა რეპრესიათა შესახებ, ძალიან მნიშვნელოვანი უფლების დარღვევის, საცხოვრებელ ადგილად ამა თუ იმ ქვეყნის თავისუფლად არჩევის, მორწმუნეთა დევნის ... შესახებ. განსაკუთრებული ადგილი ეკავა ინფორმაციას საპატიმროებში არსებული მდგომარეობის შესახებ, რაც ხშირად შეუთავსებელია ადამიანის ღირსებისათვის.) მათი მიზნები, თითქმის მუდამ, მაღალი იყო - სამართლიანობისკენ, საჯაროობისკენ, კანონიერებისკენ ლტოლვა (საწინააღმდეგოდ იმისა, რასაც მათ



შესახებ წერდნენ უბრინციპო მჯღაბნელები.) ხალხი ამგვარ მსხვერპლზე არ მიდის რაიმე სარგებლის, რაიმე მდანი და წვირლმანი მიზნებისათვის!

70-ე მუხლში წერია: „აგიტაცია და პროპაგანდა საბჭ. ხელისუფლებისათვის ძირისგამოთხრის, მისი შესუსტების, ან-და ცალკეულ, განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაუ-ლებათა ჩადენის მიზნით წარმოებული; ამავე მიზნით ცილის-მწამებლურ მონაჰორთა გავრცელება...“ 70-ე მუხლის ძალით გასამართლებულთაგან ჩემთვის ცნობილ შემთხვევებში, არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა ადგილი საბჭ. ხელისუფ-ლებისათვის ძირის გამოთხრის ან მისი შესუსტებისა და სა-ხელმწიფო დანაშაულთა ჩადენის მიზანს.

სასამართლოებს არასდროს არ უცდიათ დამტკიცება, რომ 70 მუხლით გასამართლებულებს სწორედ ასეთი მიზნები ამო-ძრავებდათ, ისევე, როგორც არ უცდიათ 190-I მუხლით მსჯა-ვრდადებულთა მიერ „მონაჰორთა“ (ნახეს რა ტერმინი!) გავ-რცელების წინასწარგანზრახულობის დამტკიცება. სასამართლო-ები განხილვის მაგივრად იმეორებდნენ უსაფუძვლო განმარტე-ბებს, ზოგჯერ კი, (როგორც მაგალითად ჩემი მეუღლის საქ-მესთან დაკავშირებით,) პირდაპირ სიყალბეს მიმართავდნენ. ჩემთვის ცნობილ ამ მუხლების საფუძველზე წარმოებულ ყვე-ლა პროცესზე ირღვეოდა საჯაროობის პრინციპი. სასამართ-ლო დარბაზები ივსებოდა სპეციალურად შერჩეული ხალხით, ხოლო ბრალდებულთა მეგობრებს და ხშირად ნათესავებსაც კი არამც თუ სასამართლოსთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ მილიციის სპეციალური ქვედანაყოფები და ეგრედ წოდებული „დრუჟინიკები“, არამედ განაჩენის კითხვის დრო-საც კი. ბნელ საქმეს არ უყვარს გამომჟიურება.

მაშასადამე, სასამართლოთა მიერ 70 და 190-I მუხლების გამოყენება წარმოადგენს აშკარად გამოსახულ შეხედულება-თათვის დევნას.

იგივე უნდა ითქვას 142-ე მუხლის გამოყენების ბევრ შემ-თხვევათა შესახებაც. ეს მუხლი ფორმალურად გულისხმობს სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ არსებულ კან-ონთა დარღვევებს, მაგრამ მას ხშირად იყენებენ რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებულ არაქალისმიერ მოქმედებათა დე-ვნის მიზნით.

დიდ შემფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ კვლავ აღორძინებულია სასტიკი და უსამართლო პრაქტიკა-ბუნაჯების ხელმეორედ გასამართლებისა. სინდისის ტუსალი, რომელიც, ასე ვთქვათ: არ ცდილობს „გამოსწორებას“, ე.ი. უდრეკი და თავისი შეხედულებებისადმი ერთგულია, შეიძლება გასამართლებული და დასჯილი იქნას პატიმრობის ახალი ვადით, მეტად მარტივი მეთოდით:— ბანაკში სისხლის სამართლის დამნაშავე მეზობლის მეშვეობით შეკოწიწებული საჩივრის საფუძველზე, ანდა უბრალოდ ბანაკის ადმინისტრაციის მიერ შეთითხნილ განცხადებების საფუძველზე.

ჩემთვის ცნობილ 70 და 190-I მუხლებით გასამართლებულ სინდისის პატიმრებიდან მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებ: ჩემს მეგობარს, ანატოლი მარჩენკოს, რომელიც წინათ არაერთხელ იყო უკანონოდ გასამართლებული, ათი წლით პატიმრობა და შემდგომი ხუთი წლით გადასახლება აქვს მისჯილი. მის მიმართ წაყენებული ბრალდება იმაში მდგომარეობდა, რომ მან წერილობით მიმართა აწ განსვენებულ აკადემიკოსს პ. კაპიცას. ამ წერილით ის თხოვდა კაპიცას, გამოსულიყო ჩემს დასაცავად, გორკში ჩემი არაკანონიერი გადასახლების შემდეგ. (რომ არ დავუბრუნდეთ ჩემი ბედის საკითხს, გავიმეორებ იმასვე, რასაც ადრე გწერდით. მე ჩემს წინააღმდეგ მიმართული ზომები უსამართლოდ და უკანონოდ მიმაჩნია, მაგრამ მზად ვარ პასუხი ვაგო ჩემი მოქმედებებისათვის ისევე, როგორც ამას სინდისის ტუსალები აკეთებენ. მე კვლავ ხაზს ვუსვამ, რომ პასუხი მე უნდა ვაგო, ჩემს მეუღლესა ან სხვა ვინმეზე პასუხისმგებლობის გადატანის გარეშე.)

ცოლქმარი ტატიანა ოსიპოვა და ივან კოვალიოვი გასამართლებული არიან უმთავრესად ჰელსინკის შეთანხმების დებულებათა შესრულებისათვის მეთვალყურე მოსკოვის საზოგადოებრივი ჯგუფის ჩარჩოებში. ამ, მრავალი წლებით ერთმანეთისგან დაშორებული, ახალგაზრდა ადამიანების ბედი და ტანჯვა ნათელი დამადასტურებელია იმისა, თუ რაოდენ სასტიკად და უკანონოდ სდევნიან სინდისის ტუსალებს. ბანაკიდან ივან კოვალიოვის შესახებ მოსულ ცნობაში აღნიშნულია, რომ მას არაერთხელ სჯიდნენ კარცერებითა და სხვა ზომებით, რადგან მან არ შეიცვალა თავისი შეხედულებები.



ბანაკთა უფროსების წმინდა უბრალოება: ტატიანა საჩქესთან დაჯავშირებული ძიებისას გამოძიებულია, რომ ტატიანას არ გაეწევა საჭირო სამედიცინო-გინეკოლოგიური დახმარება და ამდენად მას არასოდეს არ ეყოლება შვილები, იმ შემთხვევაში თუ არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან და არ შეცვლის თავის შეხედულებებს. ამჯერად, ბანაკის სასამართლომ ისევ გაუგრძელა მას პატიმრობის ვადა.

სომხეთის მეც. აკადემიის გასამართლებული წევრ-კორესპონდენტი იური ორლოვი, პოეტი ვიქტორ ნეკიპელოვი და ანატოლი შარანსკი იყვნენ იმავე მოსკოვის ჯგუფის წევრები. ნეკიპელოვი ადრე გასამართლებული იყო ფილოსოფიური შინაარსის ლექსებისათვის, რომლებიც სასამართლომ ცილისმწამებლურად მიიჩნია. ეს განსაცვიფრებელი წმინდა, ჭკვიანი და გულისხმიერი ადამიანია. ამჟამად იგი მძიმეა დაავადებული. არავინ არ შეიძლება წავიდეს ჯაშუშების გამოვლენისა და სისხლის სამართლის საფუძველზე მათი დასჯის წინააღმდეგ. ეს სახელმწიფოებრივ ორგანოთა მნიშვნელოვანი ფუნქციაა, მაგრამ შარანსკის მიმართ ბრალდების წაყენებას იმისათვის, რომ ცნობებს აგროვებდა ემიგრაციაზე უარტქმულ იმ ებრაელთა შესახებ, რომლებიც არასაიდუმლო ორგანიზაციებში მუშაობდნენ, ამ ცნობების ამერიკის პრესაში გამოქვეყნების მიზნით, არაფერი აქვს საერთო ჯაშუშობასთან.\*\*)

ტატიანა ველიკანოვა, ალექსეი კოსტერინი და იური შახანოვიჩი გასამართლებული არიან საინფორმაციო გამოცემა „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკა“-ში თანამშრომლობისათვის, (ისევე როგორც ჩემი მეგობარი დიდი ბიოლოგის ივანე კოვალის მამა, სერგეი კოვალიოვი, რომელმაც უკვე მოიხადა უკანონოდ მისჯილი ათწლიანი პატიმრობა.)

მე მოვიხსენიე ტანია ველიკანოვა, მიუხედავად იმისა, რომ მისი განთავისუფლების ვადა ახლოვდება ან შეიძლება უკვე ამოიწურა. ტატიანა ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, რომლებიც განსაკუთრებული სიცხადით ანსახიერებენ სინდისის ტუსაღთა საუკეთესო თვისებებს—შინაგან პატიოსნებას, საჯაროობისა და სამართლიანობისათვის ზრუნვას. „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკა“ დიდი შესვენებებით გამოდიოდა 1968 წლიდან მოყოლებული. იგი შეიცავს ობიექტურ ინფორმაციას

\*\*\*\*\*



იმ თემებზე, რომლებზედაც ზემოდ ვწერდი. მისი ისტორიკული ბეგრი თავგანწირული ადამიანის იდეალებისადმი ფრთხილ ხმას წარმოადგენს.

სერგეი ხოდოროვიჩი გასამართლებულია როგორც პოლიტიკური პატიმრებისა და მათი ოჯახებისადმი დახმარების ფონდის განმანაწილებელი, რომელიც არსებობდა საბჭოთა მოქალაქეების ნებაყოფლობითი შეწირულობებისა და ალექსანდრე სოლჟენიცინის ფონდის საფუძველზე. კოსტერინსა და ხოდოროვიჩს მრავალი დღის მანძილზე დაუნდობლად სცემდნენ გამოძიების დროს, ე.წ. „პრეს-კამერაში“, სპეციალურად მიგზავნილი პირები. განიცადეს თუ არა ამგვარი წამება სხვა პოლიტიკურმა პატიმრებმაც, ჩემთვის არ არის ცნობილი.

მუსტაფა ჯემილოვი არაერთხელ ჰყავთ გასამართლებული, სამშობლოში დაბრუნებისათვის მებრძოლ ყირიმელ თათართა მოთხოვნებისადმი მხარდაჭერისათვის.

მარტ ნიკლუსს ათი წლით პატიმრობა და შემდგომი ხუთი წლით გადასახლება აქვს მისჯილი, ჰელსინკის შეთანხმების დებულებათა შესრულებისათვის მეთვალყურე ესტონურ ჯგუფში მონაწილეობისა და იმ, კოლექტიურ წერილზე ხელმოწერისთვის, რომელშიც მოთხოვნილია მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო დებულებათა ოფიციალური გაუქმება. ნეტა განახათ ნიკლუსი— მოწოდებით მეცნიერი, ორნიტოლოგი, უაღრესად პატიოსანი ადამიანი, რომ მთელი სისრულით აღიქვამთ მისი გასამართლების სისასტიკე და უსამართლობა.

მერაბ კოსტავას 1978 წელს გადასახლება მიუსაჯეს, მის თანამოსაქმესთან ერთად, ქართველი ხალხის კულტურული და ისტორიული ძეგლების დაცვისა და, აგრეთვე, უკანონობისა და უსამართლობათა წინააღმდეგ გამოსვლებისათვის; მაგრამ იმის გამო, რომ მან თავის თანამოსაქმისაგან განსხვავებით არ გამოაჯლინა მონანიებისაკენ მიდრეკილება, მის წინააღმდეგ ახალი ბრალდებების პროვოცირება მოაწვეს. (ედუარდ შევარდნაძემ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში კოსტავას თანამონაწილეს შესახებ თქვა, რომ „იგი არ არის რაინდი.“) კოსტავას საკითხთან დაკავშირებით ერთ დროს მე დეპეშა გაავგზავნე ედ. შევარდნაძის სახელზე. მე არ მაქვს მიდრეკილება კოსტავას თანამოსაქმის განკიცხვისაკენ; ყველას თა-





ვისი ლოგიკა და ქცევის ტაქტიკა აქვს უკიდურეს ვითარებაში, მაგრამ კოსტაცა, შევარდნაძის ტერმინოლოგიით ვისარგებლოთ, უსათუოდ რაინდი და საქართველოს ღირსეული შვილია.

დასახელებულ პირებს მე პირადად ვიცნობ, ორის გამოკლებით, რომელთაც კარგად იცნობენ პირები, რომლებიც ჩემი აბსოლუტური ნდობით სარგებლობენ. მე განსაკუთრებით გთხოვთ, საერთო, პრინციპული გადაწყვეტილების უქონლობის შემთხვევაშიც კი, ხელი შეუწყოთ ჩემს მიერ დასახელებული სინდისის პატიმრების განთავისუფლებას. მე პირადად გარწმუნებთ, რომ ისინი მაღალი მორალის, სამოქალაქო ღირსების, პატიოსანი და თავგამოდებული ადამიანები არიან.

მე ამჟამად ხელთ არ გამაჩნია ცნობები და ახალი ინფორმაცია. შესაძლოა, დასახელებული პირებიდან ერთმა ან ორმა უკვე მოიხადა პატიმრობის ვადა და განთავისუფლებულია, მაგრამ ეს საეჭვოა.

რეპრესიები მრწამსისა და მრწამსთან დაკავშირებული მოქმედებისათვის უსათუოდ შედარებით იშვიათი მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში. ამას შეუდარებლად უფრო იშვიათად აქვს ადგილი, ვიდრე ავად სახსენებელ სტალინურ ეპოქაში. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირში სინდისის ტუსაღთა არსებობას ვთვლი იმდროინდელი აუტანელი, დოგმატური აზროვნების გადმონაშთად, რაც შემორჩა სახელმწიფო დაწესებულებათა ზოგიერთი მუშაკის გონებასა და მოქმედების მეთოდებს. მე პირადად ვიცნობ დაახლოებით 30 სინდისის პატიმარს. შესაძლოა, თქვენს მიერ (სხვა ინტერპრეტაციით) დასახელებული რიცხვი ორასი კაცისა, მნიშვნელოვნად ასახავს მათ ნამდვილ რაოდენობას. აუცილებელია აგრეთვე სინდისის იმ ტუსაღთა გათვალისწინება, რომლებიც მოთავსებულნი არიან სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში (ფსიქიატრიულ ციხეებში) და იმათი, ვინც გასამართლებულია შეკოწიწებული სისხლის სამართლის დანაშაულთა საფუძველზე. (ცნობილია ხულიგნობის, ხელისუფალთადმი წინააღმდეგობის, მუქთახორობის, გაუპატიურებათა ცდებისა და საკუთარი ბინისათვის ცეცხლის წაკიდების ყალბ ბრალდებათა წაყენების შემთხვევები.) ჩემის ვარაუდით, სინდისის ტუსაღთა საერთო



რიცხვი, აღნიშნულ დამატებათა ჩათვლით, შედარებით იდეალური არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ვაზისგანაწილება არც რიცხვი. მაგრამ, სინდისის ტუსაღები საზოგადოებაში, რომელიც სამართლიანობისაკენ იღტვის, სრულებით არ უნდა იყვნენ! და ეს მთავარია, გადაამწყვეტია იქიდან, რისი მოწერაც მსურდა თქვენთვის ამ წერილში.

ჩვენ (მაგალითის მიცემის გარდა) უშუალოდ ბევრის გაკეთება არ შეგვიძლია სხვა ქვეყნების სინდისის ტუსაღთა ბედის გადაწყვეტაში, (თუმცა „საერთაშორისო ამნისტია“ ბევრს მოქმედობს ყველა ქვეყანაში და ზოგჯერ რაღაცას აღწევს.) მაგრამ საკუთარი სინდისის ტუსაღები ჩვენ შეგვიძლია გავანთავისუფლოთ. მაშ, განთავისუფლეთ ისინი, მოხსენით ეს მტკიცენი საკითხი! ამ საკითხის გადაჭრას ექნებოდა დიდი ჰუმანიტარული, მორალური, პოლიტიკური, და გავბედავ ვთქვა: ისტორიული მნიშვნელობა. ეს მეტად შეუწყობდა ხელს ჩვენი სახელმწიფოს ავტორიტეტის ამაღლებას, მისი განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე; გააადვილებდა საერთაშორისო კონტაქტებს ყველა დონეზე, ხელს შეუწყობდა საზოგადოების უფრო „ღიად“ გახდომას, საერთაშორისო ნდობასა და, ამით, მშვიდობის საქმეს; გადაწყვეტილებას სინდისის ტუსაღთა განთავისუფლების შესახებ მოწონებით შეხვდებოდა საბჭოთა ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამის არაპირდაპირი ფსიქოლოგიური შედეგების შეფასება ძნელი იქნებოდა, ხოლო, რაც შეეხება თვით პატიმრებს და მათ ოჯახებს, მათ ბედნიერება ეწეოდათ, მრავალწლიან დაუმსახურებელ ტანჯვათა შემდეგ. ექვს გარეშეა ასევე, რომ ასეთ ჰუმანურ და გონიერ მოქმედებას სათანადო გამოხმაურება ექნება მთელს მსოფლიოში.

გთხოვთ ხელი შეუწყოთ პატიმრობის ადგილებიდან და გადასახლებებიდან ყველა იმ სინდისის ტუსაღის განთავისუფლებას, რომლებიც გასამართლებული არიან რუსეთის ს.ფ.ს.რ.-ის სისხლის სამართლის კოდექსის 190-I, 70, 142 მუხლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლების საფუძველზე; გთხოვთ ასევე ხელი შეუწყოთ იმ სინდისის ტუსაღთა განთავისუფლებას, რომლებიც სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში არიან მოთავსებულნი, მათი იდეოლოგიური

\*\*\*\*\*



და პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ე. ი. შეხედულებებისა და ამ შეხედულებებთან დაკავშირებულ არაძალადობრივ მიმართულებებთან გამო (ამასთან, მე არ ვგულისხმობ მათ სრულ ფსიქიკურ ჯანმრთელობას.); გთხოვთ ხელი შეუწყოთ იმ სინდისის ტუსადთა განთავისუფლებას, რომლებიც გასამართლებულნი არიან ყალბად შეკოწიწებულ სისხლის სამართლის დანაშაულთა ბრალდებით.

მიხეილ სერგის-ძევ! გთხოვთ დაავალოთ თქვენს თანაშემწეებს, შემატყობინონ თქვენს მიერ ამ წერილის მიღების ამბავი, და თუ თქვენ შესაძლებლად მიიჩნევთ, ჩემს თხოვნებთან თქვენი დამოკიდებულების შესახებ.

მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ სინდისის ტუსადთა ბედის საკითხს.

პატივისცემითა და იმედით,

აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი  
1986 წლის 19 თებერვალი

- \*) ანდრეი სახაროვის ამ წერილის სრული ქართული ტექსტი გადმობეჭდილია რადიო „თავისუფლების“ გადაცემიდან.
- \*\*) მაშ, ან. სახაროვმა ამ წერილის მიწერის დროს არ იცოდა, რომ, 11 თებერვალს, საბჭ. მთავრობამ კავებებს ჯაშუშებში გაცვალა ანატოლ შჩარანსკი და უკვე ისრაელში იმყოფებოდა. რაც შეეხება ფიზიკოს იური ორლოვს, ის ამერიკელ ჟურნალისტ ნიკ დანილოვთან ერთად გაიცვალა კავების ჯაშუშ გენადი ზახაროვში, ექვს ოქტომბერს.

\*\*\*

ზოგირთი ჩანაწერები

ინციდენტი სსრკ-ს მწერალთა X ყრილობაზე

სანამ მოსკოვში მწერალთა საკავშირო თავყრილობა გაიმართებოდა (24 - 25 ივნისი), 17 მაისს თბილისში გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობა, სადაც შორიდან ერთი კურიოზული ფაქტი შევნიშნეთ: ყრილობას საანგარიშო მოხსენება გაუკეთა, არა მისმა თავმჯდომარემ, პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ, არამედ „შემოქმედებითი კავშირის“ თავმჯდომარემ, მწერალმა გიორგი ციციშვილმა და ეს უკანასკნელივე

\*\*\*\*\*



„აირჩიეს“ საქ. საბჭ. მწერლების კავშირის თავმჯდომარედ თავმჯდომარედ ყოფილი ნიშნიანიძე კი მხოლოდ ერთ-ერთი მდივნად.

სულ სხვა ხასიათის ყოფილა ინციდენტი მოსკოვში „ძმურ“ საბჭოთა ხალხების მწერალთა ფორუმზე, სადაც პროტესტის ნიშნად ყრილობათა დარბაზი დაუტოვებია საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის დელეგაციას. ასეთი ამბები, რა თქმა უნდა, საბჭოთა პრესაში არ ქვეყნდება და ამ შემთხვევაშიც თავიანთ წესისთვის არ უღალატია. მამაპაპური „რადიოთი“ მიღებული ცნობების მიხედვით, ინციდენტის ისტორია შემდეგი ყოფილა :

ყრილობის წინა პერიოდში საქ. შავი ზღვის პირეთში სააგარაკოდ თუ შემოქმედებით მივლინებაში ყოფილა ცნობილი რუსი მწერალი ასტაფიევი, რომელიც მის ქართველ კოლეგას ოტია იოსელიანს მიუპატიჟებია, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები და სტუმარმასპინძლობა უჩვენებია, მაგრამ მის სამშობლოში დაბრუნებულ რუს კალმოსანს, პატივისცემა პანდურის ცემით გადაუხდია. ცენტრალური პრესის ორგანოს გამოუქვეყნებია ასტაფიევის ვრცელი სტატია, რომელშიაც ბოროტად ყოფილა შეურაცხყოფილი, არა მხოლოდ მისი მასპინძელი ქართველები, არამედ აგრეთვე მთელი ქართველი ხალხი, მისი სტუმარმასპინძლობითა და ზნეჩვეულებებით.

ამას დიდი გულისწყრომა გამოუწვევია ქართულ ინტელიგენციაში, როგორც წერილის ავტორის, ისე გაზეთის რედაქციის მიმართ, რადგანაც ქართველებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა პრესაში უმიზნოდ არაფერი არ იბეჭდება.

საბჭოთა კავშირის მწერალთა მეათე ყრილობაზე ტრიბუნაზე გამოსულა ქართველი მწერლების დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც განუცხადებია: **XIX** საუკუნის დიდი რუსი მწერლები, რომლებსაც საქართველოში უმოგზაურიათ ან უცხოვრიათ, ყველა აღტაცებასა და ქება-დიდებას ასხამდა ქართველ ხალხს; დღეს კი ჩვენს ძმურ სოციალისტურ საზოგადოებაში, მწერალმა ასტაფიევმა მთელი ქართველი ხალხი ავად მოიხსენია და შეურაცხყოფა მიაყენა; მან ამ ტრიბუნიდან ამისთვის ბოდიში უნდა მოიხადოსო.

ასტაფიევის მაგივრად ტრიბუნაზე გამოსულა მეორე ცნობი-

21567







ლი რუსი მწერალი, რომელსაც ქართველებისთვის დამწერლობის ცივი წყალი დაუსხამს, მას დაახლოებით ასეთი რამე განუცხადებია: რა გააჭირვენ საქმე ქართველებმა, ესენი ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ისეთი ავადმყოფები არიან, რომლებსაც მკურნალობის გაგონებაც არ უნდათო. ამის შემდგომ, ქართველ დელეგატებს, პროტესტის ნიშნად, ყრილობის დარბაზი დემონსტრატულად დაუტოვებიათ. სხდომა შეწყვეტილა და ყრილობის პასუხისმგებლებს ინციდენტი კომპარტიის გენერალურ მდივნისთვის შეუტყობინებიათ. გორბაჩოვს უთქვამს: რეიგანი სწორედ იმას უთვალთვალებს, რომ ჩვენში ეროვნული უკმაყოფილება და ჩხუბი შენიშნოსო, ყველაფერი იღონეთ, რომ ქართველები უკან დააბრუნოთო. ჩვენთვის უცნობია, თუ რა ღონე გამოიყენეს რუსებმა, მაგრამ საბოლოოდ ქართველები უკან დაუბრუნებიათ.

ივლისი 1986.

\*

#### საბჭოთა ინტრნაციონალიზმის მაგალითი

ახალქალაქის, ბოლნისის, ბოგდანოვკის, წალკის, გარდაბნის, დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონებში ყველგვარი საწარმოო დოკუმენტაცია ფორმდება რუსულად და შემდგომ ორგანოებთან მიმოწერაც რუსულ ენაზეა. შენდება ფაბრიკა-ქარხნები, სადაც სამუშაოდ აუარებელი მუშახელი ჩამოყავთ რუსეთიდან და ეს მაშინ, როცა მკვიდრი მუშახელი ხშირად იძულებულია სამუშაო ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს გარედ ეძებოს. რუსეთიდან ჩამოსახლებულებს აძლევენ ბინებს და მათ შიგ მუდმივად წერენ. თუ მათგან უმუშევრები დარჩნენ, ისინი მაშინვე კოლექტიურ წერილებს სწერენ მოსკოვში: „სამუშაოზე ქართველებს ღებულობენ და ჩვენ კი, როგორც რუსებს, არაო“. ჩამოდიან იქიდან კომისიები და ვაი მათ, ვისაც საჩივრები ეხებათ.

კახეთში სოფლებია: სტეპანოვკა, ულიანოვკა, ივანოვკა და სხვა. მთელი ზაფხულის განმავლობაში მშობლები მოწაფე შვილებისთვის დაეძებენ ქართულ სახელმძღვანელოებს წიგნების მაღაზიებში თუ საწყობებში, მაგრამ ამაოდ: ვერსად ვერაფერს შოულობენ. ისინი იძულებული ხდებიან შვილები რუს-

\*\*\*\*\*



ეროვნული  
ნიჭიერების

ულ სკოლებში შეიყვანონ.

კერძო კორესპონდენცია, უკომენტაროდ.  
ივლისი 1986.

\*

„მშვიდობისა და მეგობრობის ენა“

ა. წ. 13 აგვისტოს გაზ. „კომუნისტში“ დაბეჭდილია ვრცელი სტატია სათაურით: „მშვიდობისა და მეგობრობის ენა“, რომელსაც კოლექტიურად ხელს აწერენ: აკადემიკოსი შ. ძიძიგური და დოქტორები: დ. ჭანტურიშვილი და გ. წიბახაშვილი. რა თქმა უნდა, რომ ეს ენა რუსული ენაა და სტატია ემსახურება რუსული ენის პროპაგანდას ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაში.

შეცდომით არავინ იფიქროს, თითქოს ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ იმისა, რომ რუსული ენა საფუძვლიანად შეისწავლოს ჩვენმა ახალგაზრდობამ. სრულიადაც არა! მაგრამ, ჩვენ ერთი რამე ვერ გავგიგია და ვეკითხებით პატივცემულ პადაგოგ და მეცნიერ ავტორებს: რატომ მაინცა და მაინც რუსული ენაა: „მშვიდობისა და მეგობრობის ენა“? რა დააშავეს საწყალმა სხვა ენებმა? რატომ არიან ისინი მტრობისა და ომის ენები?

აგვისტო 1986.

\*

„...ნიქსა გზა ფართო“?

საინტერესოა 1986 წლის 6 ივნისის გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებული პროფესორ ტ. კვანჭილაშვილის წერილი, სათაურით: „...ნიქსა გზა ფართო.“ ავტორი ჩამოთვლის უცხოეთში და კერძოდ დასავლეთ ევროპაში სწავლამიღებულ ზოგიერთ ახალგაზრდას რომლებმაც შემდეგ სამშობლო ასახელეს: ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, იაკობ ნიკოლაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე და სხვა. ახლავ, ნათქვამია სტატიაში, ახალგაზრდები იგზავნებიან მხოლოდ კომუნისტურ ქვეყნებში, ისიც მამაშვილობითა და ძმაბიჭობით და ამიტომაც, ვერავითარ დადებით შედეგს ვერ იძლევაო. და ბოლოს გამოტანილია დასკვნა: მომავალში, უნდა გაიგზავნონ

ნიჭიერი ახალგაზრდები, არა მარტო კომუნისტურ ქვეყნებში, არამედ და განსაკუთრებით მსოფლიო მოწინავე ცენტრებში და ეს იქნება კარგი საქმეო.

როგორც წინადადება ისე დასაბუთება დიდებულია, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას ამის შესრულება ხელს არ მისცემდა; ჯერ ერთი, მის ბუნებას ეწინააღმდეგება შერჩევა გააკეთოს მხოლოდ და მხოლოდ ნიჭის მიხედვით; მეორე და იქნება მთავარიც, რისთვის ისურვებს საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი ეროვნული სწავლა-განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის, როცა იგი სულ იმის ცდაშია, რომ როგორმე გაგვარუსოს?! საკითხის საჯაროდ დასმა მაინც ვაჟაკობაა და ვაშა ბატომო პროფესორო.

იენისი 1986.


\*

### „ს ა შ ი შ ი ბ ა ც ი ლ ე ბ ი“

1985 წლის 26 იანვრის გაზეთ კომუნისტში ჩვენი ყურადღება მიიქცია ბ. რეზო დვალისშვილის სტატიამ: „ჩანთები სავსეა... ბაცილებით“. თავიდან უნდა შევნიშნო, რომ ბატონი რეზო ნიჭიერ ჟურნალისტად მიმაჩნია და მის ფელეტონებს ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობ ხოლმე, მაგრამ ნიჭი ხშირად უნიჭობაზე მავნებელია, თუ ის ცუდ საქმეს ემსახურება.

ამ ფელეტონში ავტორი გვიყვება სპორტული ჩანთების და მოზარდთათვის განკუთვნილ სხვა ნაწარმთა დიდ საშიშროებაზე. მაგალითისათვის დასახელებულია მოსწავლეთა პოლიეთილენის ჩანთები, რომლებზედაც წერებულა „სამება“. სამება? აბა, ამაზე საშიშიში ბაცილა სხვა რაღა შეიძლება იყოს საბჭოთა ახალგაზრდის ნორჩ ორგანიზმისათვის?! ადღეღებულა საბჭოთა საქართველოს კომპარტია და ხელისუფლება და, როგორც რ. დვალის ამ ფელეტონიდან ვგებულობთ: „საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიას აუტრძალავს რამდენიმე ათასი მანეთის ღირებულების პოლიეთილენის სამებიანი, ჯვრებიანი და ხატებიანი ჩანთები თუ სხვა ნაწარმი.“ ამაზე იტყვიან: კომენტარი აღარ ესაჭიროებაო.

## საფრანგეთის ლბერატორები


 ე. რ. ც. ნ. უ. ლ. ი. შ. ა. გ. ი. შ. ა. გ. ი. შ. ა. გ.

საფრანგეთის განთავისუფლების 40 წლისთავის ზეიმზე, პარიზში მოუვლინებიათ „საქინფორმის“ კორესპონდენტი, ვინმე მ. ტრასკუნოვი. როგორც ჩანს, აქ მას ბევრი რამ ახალი შეუტყვია, იმ გმირულ ამბებში საერთოდ საბჭოთა მოქალაქეების და კერძოდ ქართველების მონაწილეობის შესახებ, რასაც ის უზიარებს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს (იხ. „კომუნისტის“ 31.01.1985.) სხვათა შორის, ბ. ტრასკუნოვის წერილში შემდეგ საინტერესო ამბავსაც ვკითხულობთ:

„როდესაც ფრანგმა პატრიოტებმა, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჯერ კიდევ მოკავშირეთა ჯარების მოსვლამდე, 1944 წლის აგვისტოში გაანთავისუფლეს პარიზი, მათ რიგებში სხვა საბჭოთა მოქალაქეებთან ერთად იყვნენ ჩვენი თანამემამულენიც – წინააღმდეგობის ძალების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გ. გეგელია, ვ. ჯიქია, ს. გუჯაბიძე, ა. მირცხულავა, კ. მორჩილაძე, მ. მქედლიშვილი და სხვა.“

პარიზის გარდა, ტრასკუნოვის მიხედვით, ქართველ პარტიზანებს გაუნთავისუფლებიათ საფრანგეთის ქალაქები: ტულუზა და ტიულა. ტიულა გაუნთავისუფლებია წითელი არმიის ლეიტენანტს ოთარ კობიაშვილს.

საფრანგეთისათვის იმ მნიშვნელოვან ისტორიულ დღეებში მართლაც ბევრმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა და ბევრმა მათგანმა საუკუნო განსვენებაც საფრანგეთის მიწაში ჰპოვა. როგორც ჩანს, ბ. ტრასკუნოვს ისინი არ მოუხილავს და მათ საფლავებზე თავი არ დაუხრია, თორემ მისი სია გაცილებით უფრო გრძელი იქნებოდა. მერედა რა? რა შეეძინა საქართველოს მათი ბრძოლებითა და თავგანწირვით? რით გამოადგა მათი მამაცობა და მათგან დაღვრილი სისხლი მათი მშობელი ხალხის განთავისუფლებას, საბჭოთა რუსეთის არანაკლები ტირანული უღლისაგან?!

\*

„მ ე ტ ა შ ე“

საკითხი ისევ ეხება ბ. რეზო დვალის ასე დასათაურებულ ფელეტონს ისევ გაზ „კომუნისტში“, 14.09.1986 წლის თარი-



ლით. რომელშიც მოთხრობილია ბანძიეთელი ვარლამისა და ვახტანგ ძამაშვილის პარალელური თავგადასავლები. ერთო ისაა აქვთ, რომ, მათი კარიერის დასაწყისში, ერთად ჩაწერილან ბინის მისაღებად. ბანძიეთელ ვარლამს ჯერ ერთი ოთახი მიუღია, მერე, ოროთახიანი ბინა, შემდეგ, სამოთახიანი, და ბოლოს, ხუთოთახიანი. მისთვის კი არა, არ დარჩენილა მისი და მისი ცოლის ნათესავი, რომლებსაც ვარლამი ბინის მიღებაში არ დახმარებოდეს. ახლა კი, დიდი ხნის გასვლის შემდეგ, ვარლამ ბანძიეთელი „დამსახურებული“ პენსიონერია და, რასაკვირველია, მისი ხუთოთახიანი ბინის მფლობელი და ის შემთხვევით ქუჩაში ხვდება ვახტანგ ძამაშვილს, რომელიც ისევ აღმასკომში მიიჩქარის, ნომერი პირველი ფორმულით ხელში, ბინის სათხოვნელად. ასეთი უსამართლობით ამხედრებული ფელეტონისტი უანგარიშოთ სვამს კითხვას: „ვინ მისცა ვარლამს ბინა? ვინ თხოვს ვახტანგ ძამაშვილს ჟველწლიურად პირველ ნომერ ფორმულას?! და თვითვე გვაძლევს პასუხს: ვარლამი „მეტაშე“ არისო, რაც თავისთავად თანხმობასა და თავის კანტურს ნიშნავსო, მეტაშეობით მან მიაღწია დამსახურებული პენსიისა და ხუთოთახიანი ბინის მიღებასო. მეხანძრე ვახტანგ ძამაშვილი კი სიკვდილამდე ივლის აღმასკომში ამაოდ ბინის მისაღებად, რადგანაც, უნდა ვიგულისხმოდ, რომ მას არ შეუძლია ან არ უნდა, იყოს მეტაშე.

ღიახ, „მეტაშეობა“ მართლაც დასაძრახისი თვისებაა, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ბ. ფელეტონისტს, თითქოს მეტაშეობა საკმარისი იყოს იმისათვის, რომ ვარლამივით დასტკბეთ საბჭოური ცხოვრების კეთილდღეობით. არა, მარტო მეტაშეობა რომ საკმარისი იყოს, საბჭოთა წესწყობილება რას აუვიდოდა ამდენი ხალხისთვის მიეცა „დამსახურებული“ პენსია და ხუთოთახიანი ბინა? ასეთი ხალხი, ჰაუ, რამდენია! მათი რიცხვი ენაზე მადგას, მაგრამ... მეგრული ანდაზაა: მართლის მთქმელს ლაფშა შეკაზმული უნდა ჰყავდესო.





## მიქოიანი ადანაშაულებს სტალინს

სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის კრებულმა „ნოვია ი ნოვეიშაია ისტორია“-მ 1985 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა ანასტასი მიქოიანის მოგონებების ის ნაწილი, რომელიც მეორე მსოფლიო ომს ეხება.

მიქოიანის ამ მოგონებაში გაკრიტიკებულია სტალინის შემცდარი პოლიტიკა ომის დაწყების წინ და ყოყანი იმის შესახებ, რომ დროულად გაეცა ბრძანება ჯარის საგანგაშო მდგომარეობაში დასაყენებლად. თუ სსრკ-ს სამხედრო ძალებისათვის მოულოდნელი იყო გერმანელების თავდასხმა 1941 წლის 22 ივნისს, ეს იმიტომ, ამბობს მიქოიანი, რომ სტალინი არ ფიქრობდა გერმანიის თავდასხმის აუცილებლობას, მიუხედავად მისი ახლო თანამშრომლების არაერთი გაფრთხილებისაო. „1941 წლის გაზაფხულიდანვე იყვნენ მრავალი ნიშნები, რომლებიც უჩვენებდნენ, რომ ჰიტლერის გერმანია ემზადებოდა ჩვენზე თავდასასხმელად და გერმანიის ჯარების უზარმაზარი კონცენტრაცია სსრკ-ს დასავლეთ საზღვრებზე, აუცილებელს ხდიდა ჩვენი სასაზღვრო ნაწილების საჩქაროდ საგანგაშო მდგომარეობაში დაყენებას, მაგრამ სტალინი ნებას არ იძლეოდა, რადგანაც, მისი აზრით, ასეთ ღონისძიებას შეიძლება მიზეზი მიეცა ჰიტლერისათვის ჩვენზე თავდასხმისაო. სტალინს მტკიცედ სჯეროდა, რომ ახლო თვეების განმავლობაში ჰიტლერი არ დაიწყებს ომს ორ ფრონტზე, მანამ, სანამ ის არ გაუსწორდება ინგლისს, ანდა მასთან ზავს არ ჩამოაგდებსო.“

20 ივნისს რიგის ხელმძღვანელებმა მაცნობეს, როგორც საბჭოთა ფლოტის პასუხისმგებელს, რომ იქ ნავთსადგურში მდგარმა 25-მა გერმანულმა გემმა მიიღო მოულოდნელი ბრძანება, ნავთსადგურიდან სასწრაფოდ გასვლის შესახებ. დაუყოვნებლივ ვინახულე სტალინი, რომ მას ამ გემების დაკავების ბრძანება გაეცა. სტალინმა მიპასუხა: თუ ჩვენ გემებს დავაკავებთ, ეს საბაბს მისცემს ჰიტლერს ჩვენთან ომის დასაწყებადო, ამბობს მიქოიანი და აგრძელებს: 21 ივნისს, პოლიტბიუროს წევრები შეიკრიბნენ სტალინთან, კრებულში. სტალინს მოახსენეს, რომ ერთი გერმანელი ოფიცრის ცნო-

ბით, რომელმაც იმ დილით შეაფარა თავი საბჭოთა კავშირში, გერმანიის ჯარებმა მიიღეს ბრძანება, 22-ში დალაზონ საბჭოთა საზღვრები. სტალინი კიდეც იმ აზრის იყო, რომ შეიძლება ეს ყოფილიყო პროვოკაცია, მაგრამ დათანხმდა საბოლოოდ დირექტივა მიეცა წითელი არმიისათვის და ის გაეფრთხილებია გერმანიის შესაძლებელი თავდასხმის შესახებ, 22 ან 23 ივნისისათვის. სტალინთან სხდომა დამთავრდა დილის სამ საათზე, გერმანიის ჯარებმა შეტევა დაიწყეს დილის ოთხ საათზე.

დეკემბერი 1985.

\*

### ანატოლი შჩარანსკი

1986 წლის 11 თებერვალი, დასავლეთის ახალ ამბავთა სააგენტოების პროექტორები მიმართულია ბერლინის გლინკეს განთქმულ ხიდისაკენ, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს აღმოსავლეთის კომუნისტურ სამყაროსა და დასავლეთის დემოკრატიულს, სადაც დღეს ამერიკელები და საბჭოელები ერთმანეთს უცვლიან პატიმრებს. დასავლეთის ჟურნალისტთა ჟურადლება გამახვილებულია იმის გამო, რომ საბჭოთა მხრიდან ელიან ანატოლი შჩარანსკის, ცნობილ რუს ებრაელ დისიდენტს, ჰელსინკის შეთანხმებათა დაცვის მოსკოვის ჯგუფის თვალსაჩინო წევრს, რომელიც უკვე ცხრა წელიწადია, რაც საბჭოთა „გულაგებში“ იტანჯება. საინფორმაციო საშუალებების მიხედვით, შჩარანსკის განთავისუფლებას პრეზ. რეიგანს უნდა ვუმაღლოდეთ, რომელსაც, უენევის შეხვედრის დროს, გორბაჩოვისთვის უთხოვნია მისი გამოშვება ისრაელში. სინამდვილეში, გორბაჩოვს ამ ოპერაციით კეთილშობილება როდი გამოუჩენია, მან შჩარანსკი გაცვალა კრიმინელ კავებებს ჯაშუშებში, რაც ორგვარად წყალს ასხავს მის წისქვილზე.

გაცვლის თანავე, ან. შჩარანსკი ისრაელში გადააფრინეს. ებრაელობის აღთქმულ მიწაზე ფეხის დადგმის დროს, ბენ გურიონის აეროდრომზე შჩარანსკიმ განაცხადა:

„ჩემთვის ძნელია ახლა ლაპარაკი, რადგანაც არავითარ ენას არ ძალუძს ჩემი ახლანდელი განცდების გადმოცემა. ეს ყველაზე ლამაზი დღეა ჩვენი ცხოვრების. თორმეტი წლის წინად

\*\*\*\*\*



მევეთხარი ავიტალს (ქალ. შჩარანსკი, რომელიც გვერდმწერალია და ქმარს და, რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც ისრაელში ცხოვრობს.), სულ მალე იერუსალიმში! მაგრამ ჩემი გზა ისევე გრძელი და მძიმე იყო, როგორც ჩვენი ხალხის ხიზნობა, რადგანაც, ახალი დროის ფარაონებმა გადაწყვიტეს, რომ გამოეცხადებიათ ებრაელების ახალი შეთქმულება რუსების წინააღმდეგ. მე მუდამ ვგრძნობდი მათ სიძულვილს ჩვენდამი. არ არსებობს ებრაელთა შეთქმულება საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ ებრაელთა მჭიდრო კავშირი ისრაელთან, რომლის გაწყვეტაც არაფერს არ შეუძლია.“

**ბერნის მანიფესტაციები:**

ა.წ. 15 აპრილს შვეიცარიის ქ. ბერნში გაიმართა, ჰელსინკის ხელშეკრულების ხელისმომწერ სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენლების თათბირი, რომლის დღის წესრიგში იყო, ამ უკანასკნელ ათწლეულში არაერთხელ დასმული საკითხი: ჰუმანური კონტაქტები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (კერძოდ: დამორებული ოჯახის წევრების თავმოყრა, მოგზაურობისა და ემიგრირების თავისუფლება, ახალგაზრდათა თავისუფალი კონტაქტები და სხვა.) საბჭოთა დელეგაციის დაყენებული მოთხოვნით, კონფერენცია დახურულ კარებში მიმდინარეობდა და გარდა პლატონური სურვილებისა, მას არავითარი კონკრეტული ღონისძიება არ მოჰყოლია. ევროპელები იმითაც კმაყოფილი იყვნენ, რომ რუსებმა, გულმოსულებმა, კარები არ გაიჯახუნეს.

ამ ოფიციალურის პარალელურად ბერნშივე მოეწყო კონტრ-კონფერენცია: „წინააღმდეგობის ინტერნაციონალის“ და „სახაროვის ინსტიტუტის“ თაოსნობით. მას წერილით მიმართა ან. შჩარანსკიმ, რომელშიც ის ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური პატიმრების პირობების კიდევ უფრო გაუარესებაზე ამ უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირში. კერძოდ, მიმართავში, სხვათა შორის ნათქვამია: „გავატარე რა ცხრა წელიწადი საბჭოთა ციხეებსა და ბანაკებში, მე შემიძლია დავამოწმო, რომ ამ ხნის განმავლობაში პატიმრობის პირობების გაუარესება არ შესუსტებულა. მე აღვნიშნავ აქ ორ ფაქტს:

**1. 1983 წლის ბოლოს** საბჭ. კავშირში მოქმედებაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი-188-I მუხლი, რომელიც აღმინისტრაციას ანიჭებს უფლებას, თითქმის ავტომატიურად გაუგ-

რძელს ან შეუმოკლოს პატიმრობის ვადა ციხეებისა და ნაკების პატიმრებს. ის უკვე გამოყენებული იქნა სსრკ-ის სინკის ჯგუფთა ათეულ წევრების მიმართ, რომლებიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან. ამ ახალ მუხლს ხელისუფლება იყენებს, ერთი მხრით, რათა გაუგრძელოს პატიმრობა იმ პოლიტპატიმრებს, რომელთა „რეიდუჟაცია“ შეუძლებელი გახდა, ე. ი. ისინი, ვინც ერთგული რჩებიან და არ ღალატობენ მათ რწმენასა და შეხედულებებს, მეორე მხრით კი, რომ შეაშინოს სხვები.

2. ერთი წელიც არ იქნება, რაც სსრკ-ში ახალი ღონისძიება იქნა გატარებული, რომლის მიხედვით, პოლიტპატიმრები, რომლებიც შიმშილით გაფიცვას გამოაცხადებენ, მათ დაუყოვნებლივ იზოლირებულ დილეგებში ათავსებენ, რაც მათ ტანჯვა-წამებას კიდევ უფრო აძლიერებს.

**პარიზში.** სექტემბრის დამდეგს ან. შჩარანსკი პარიზს ესტუმრა, სადაც მას მიღება გაუმართეს საფრანგეთის პრეზიდენტმა და პრემიერ მინისტრმა. გორბაჩოვის დეტანტის მომლოდინე ფრანგებს შჩარანსკიმ განუცხადა: „გორბაჩოვი წარმოადგენს, ერთსა და იმავე დროს, იმედსაც და საშიშროებასაც.“ „გორბაჩოვი იმით განსხვავდება მისი წინამორბედებისაგან, რომ მან მათზე უკეთ იცის, როგორც მისი სისტემის სისუსტე, ისე დასავლეთის დემოკრატიისაც.“

ან. შჩარანსკიმ კიდევ ერთხელ გაამახვილა საზოგადოების ყურადღება იმის შესახებ, რომ, სწორედ გორბაჩოვის გენერალურ მდივნობის დროს, ადამიანის უფლებების დამცველთა დევნა კიდევ უფრო და უფრო გაძლიერდა საბჭ. კავშირში. მისივე თქმით, ისრაელში გადასახლების მთხოვნელთა რიცხვი სსრკ-ში აღწევს 390.000 ებრაელს, რომელთაგანაც 40.000-მა უკვე მიიღო უარი.

თებერვალი-სექტემბერი 1986.

\*

იური ბრეჟნევი პენსიაში

ივლისის პირველ რიცხვებში, დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოებმა მოსკოვიდან გადმოცეს ცნობა, ლეონიდ ბრეჟნევის ვაჟის, იურის, პენსიაში გაშვებისა, რომელიც 52 წლისაა.

\*\*\*\*\*

პენსიიდან ტარპეის კლდემდე სულ ცოტა მანძილია, თუ 83-  
მის ბიჭმა გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა.

ამ ათიოდე წლის წინად ყოვლის შემძლებელმა ლეონიდ ბრე-  
ჟენემა ვაჟიშვილი დიპლომატიაში ჩააბა. მაშინ მას დიდ მო-  
მავალს უწინასწარმეტყველებდენ. 1979 წელში იური ბრეჟენევი  
დაინიშნა სსრკ-ს საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველ მო-  
ადგილედ. მაშინვე ხმა დაირხა, რომ ის ფაქტიურად უკვე  
მინისტრი იყო, მაგრამ დიპლომატიური მოსაზრებით ჯერ  
მინისტრის სავარძელს არ იკავებდა. მაგრამ მას მალე მოჰ-  
კვა მამის მძიმედ დასნეულება, ბრძოლა ფარული, მაგრამ  
დაუნდობელი, სსრკ-ს ტახტისათვის, რაც ბრეჟენევის მოწინა-  
აღმდეგე ანდროპოვის ჯგუფმა მოიპოვა და მით იური ბრეჟ-  
ენევის კარიერაც ადგილზე გაიტანა. კომპარტიის 27-ე ყრილო-  
ბაზე იური ბრეჟენევის ბედი უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი  
იყო, როცა ის ცენტრალური კომიტეტის წევრად აღარ აირჩიეს.

უბედობა სჭირთ საბჭოთა ბელადების შვილებს. დღემდე გა-  
მონაკლისია ლენინი, რომელსაც ბედად შვილი არ დარჩა თუ  
არა, სტალინი მას, პენსიაში კი არა, საიქიოში გაუშვებდა.  
სტალინის ვაჟი, ვასილი, რომელიც ავიაციის გენერალი იყო,  
მამის სიკვდილის შემდეგ სწრაფად გაჰქრა მოსკოვის ციდან  
და როგორც ამბობენ, უსახელოდ, ლოთობაში დაასრულა სი-  
ცოცხლე. გადარჩა სვეტლანა, მაგრამ რაღაა მისი გადარჩე-  
ნა? დაეხეტება ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის და  
ვერსად ვერ უპოვნია სულის სიმშვიდე. ალბათ თან სდევენ  
მამამისის მსხვერპლთა აჩრდილები და მოსვენებას არ აძლე-  
ვენ. ნიკიტა ხრუშჩოვის შვილები მამასთან ერთად გაქრენ  
კრემლის ჰორიზონტიდან. არცაა გასაკვირი, ის ხომ მსხვერ-  
პლი იყო სასახლის შეთქმულების. რაც შეეხება ბრეჟენევის  
ქალიშვილ გალინას, ქმარშვილიანი ქალი, ცირკის დირექტორს  
ყარობდა, და მასთან ერთად ოქრო-ბრილიანტის ტრაფიკსა  
და ქრთამის აღების სკანდალში გახვეულს, თავი მოეჭრა.  
დარჩა გორბაჩოვი, რომლის შვილთა ბედს მომავალი გამოაჩენს.

ივლისი 1986.

\*





ს.ს.რ.კ.-ს საგარეო საქმეთა სამინისტრო

უცხოეთის თუ საბჭოთა დიპლომატები ველარ ცნობენ საბჭოთა საგარეო სამინისტროს. ის უფრო მეტად გამოიცვალა ამ უკანასკნელ რვა თვეში, ვიდრე მთელი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. გამოიცვალა: ორი მინისტრის პირველი მოადგილე (ე.ი. ორივე), ექვსი მინისტრის მოადგილე (ე.ი. 2/3) და თითქმის ყველა განყოფილების უფროსი და ელჩი. თუ მხედველობაში მივიღებთ მცირე ცვლილებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ანდროპოვის დროს, მაშინ ბრეჟნევის დროინდელი სამინისტროს სრული განახლების მოწმენი ვართ. ერთადერთი ვიცე-მინისტრი, რომელიც ბრეჟნევის დროინდელია, არის 80 წლის ლეონიდ ილიჩევი, ყოფილი იდეოლოგი. მაგრამ რამდენი ხნით? მას აბარია მოლაპარაკება ჩინეთთან. ამრიგად, გრომიკო, რომელიც 29 წელი განაგებდა ამ უწყებას, ველარ ცნობს მის მიერ ნასაზღვროებ „ბავშვს“.

განახლებას ადგილი აქვს არა მხოლოდ მისი მოსამსახურე პერსონელის მიხედვით, არამედ კიდევ უფრო მეტად, როგორც ხელისუფლების იარაღი. გორბაჩოვის ხელში, ის პარტიის სრული კონტროლის ქვეშაა, ე.ი. პოლიტიბიუროსა და გენსეკის განკარგულებაშია, მაშინ, როცა ბრეჟნევის დროს, განსაკუთრებით მისი ბატონობის უკანასკნელ წლებში, გრომიკო სუვერენულად განაგებდა მას და მხოლოდ წესისთვის ათანხმებდა პოლიტიბიუროსთან. დასავლეთის დიპლომატების აზრით, ახლა საბჭოთა დიპლომატიას განაგებს დობრინინი და არა მინისტრი შევარდნაძე. მათი აზრით ეღუარდ შევარდნაძე არ არის ურელიეფო პიროვნება, როგორც ამას ზოგიერთები წარმოგვიდგენენ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ის პოლიტიბიუროს წევრია, ის ასრულებს მისი პატრონის, გორბაჩოვის დირექტივებს, ხოლო დობრინინი არის გენსეკის მთავარი მრჩეველი საერთაშორისო პოლიტიკაში. დობრინინს ადარებენ ამერიკელ ანრი კისინჯერს, რომელიც, ნიქსონის პრეზიდენტობისა და შემდეგ ფორდისა, იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის ნამდვილი დირიჟორი. დობრინინი თავს უყრის ცნობებს და იძლევა გამოსავალს, რომელზედაც შემდეგ გადაწყვეტილებას ღებულობს პოლიტიბიურო.

\*\*\*\*\*

როგორც ყველაფრიდან ჩანს, დობრინინი განაგებს დიპლომატების შერჩევა-დანიშვნასაც. გარკვეულ უძღლებელია, რომ ამ მდგომარეობამ არ გამოიწვიოს კონფლიქტები შევარდნაძესა და დობრინინს შორის.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ვალენტინ ნიკიფოროვის შემთხვევა, რომელიც შევარდნაძის ერთ-ერთი თანაშემწეა. შევარდნაძის ყველა სხვა თანაშემწეები გამოცდილი პროფესიონელი დიპლომატებია, ხოლო ნიკიფოროვი კი მოდის პარტიის აპარატიდან, სადაც ის პარტიის ორგანიზაციის უფროსის თანაშემწე იყო 1985 წლამდე. სავარაუდებელია, რომ ის აქაც, საგარეო საქმეთა სამინისტროში, კადრებს განაგებს.

სავარეო საქმეთა სამინისტროს წიაღში შეიქმნა ახალი განყოფილება, რომელიც განაგებს მოლაპარაკებებს შეიარაღების საკითხებზე და მისი უფროსია კარპოვი. ეს ის კარპოვია, რომელიც საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს ენენვის განიარაღების მოლაპარაკებაზე, ბირთვული და კოსმოსური იარაღების თაობაზე. აქედან ჩანს, რომ მხედრებსაც ჩამორთმეული აქვთ შეიარაღების საკითხების ბატონ-პატრონობა და, ამრიგად, გორბაჩოვი უშუალოდ განაგებს სსრკ-ს სამხედრო და დიპლომატიურ უწყებებს.

ავგისტო 1986.

\*

ავარელ არიმანის გარდაცვალება

94 წლისა, 26 ივლისს, ნიუ-იორკში, გარდაიცვალა ავარელ არიმანი, რომლის მაღალი ფიგურის ჩრდილი თან სდევდა თეირანის, იალტის, პოტსდამის, პარიზის და სხვა დიდ მსოფლიო კონფერენციებს. ის იყო პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის მესაიდუმლე და ნდობით აღჭურვილი პიროვნება, ხოლო სტალინს უთქვამს, რომ ის ბედნიერი იქნებოდა, საგარეო საქმეთა მინისტრად ყოლოდა მისტერ ავარელ არიმანი.

ავ. არიმანის ოჯახი ეკუთვნოდა ამერიკის დიდ ბურჟუაზიას და მისი მეგობრობა რუზველტთან ბავშვობიდანვე დაიწყო. თვით ავარელს დასაწყისში ხელი მოეცარა საქმეებში, მაგრამ 1920 წელს ძმებთან ერთად დააარსა საზოგადოება „არიმანი და კომპანია“ და საკრედიტო ბანკი, რომელმაც

დიდ წარმატებას მიაღწია, ამერიკისა და მსოფლიოს მასშტაბით. „არიმანსა და კომპანიას“ კარგად იცნობენ საბჭოთა თველოშიც, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ მას კონცესიად მისცა ჰიათურის შავი ქვის საბადოების წარმოება, 1926 წლიდან.

ავ. არიმანი ხელმძღვანელობს რუზველტის საპრეზიდენტო კომპანიას და, 1932 წლიდან, როცა რუზველტი ამერიკის პრეზიდენტი ხდება, ის, არა მარტო დიდი საქმოსანია, არამედ სახელმწიფო დიდგავლენიანი მოხელეც.

როცა გერმანია თავს დაესხმება საბჭოთა კავშირს, 1941 წელში რუზველტი ავ. არიმანს გზავნის მოსკოვში, საბჭოთა ხელისუფლებასთან კომერციული ხელშეკრულების დასადებად, რასაც ის სწრაფად აღწევს და, რომლის წყალობითაც, საბჭოთა კავშირისაკენ ზღვასავით წამოვა ამერიკის ყველგვარი სახეობის ნაწარმი, და პირველ რიგში, საომარი იარაღი, რომელიც ასე საჭირო და გადამწყვეტია, კოლექტივი ზაციით გაძვალტყავებულ საბჭოთა სახელმწიფოს სხეულისათვის. ამ უზარმაზარი ოპერაციის წარმატებით განხორციელებას ხელი შეუწყობს იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა შეკვეთების საფინანსო თავდებობა შეერთებულ შტატებში იკისრა თვით „არიმანისა და კომპანიის“ საფინანსო ბანკმა.

1943-1946 წწ. ავ. არიმანი ამერიკის შ.შ. ელჩია საბჭოთა კავშირში, სადაც, ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან პერიოდის მსვლელობაში, მისი პირადი როლი განსაკუთრებით დიდია.

სტალინმა ომი მოიგო თუ არა, გუშინდელი მხსნელი და კეთილისმყოფელი, ახლა ომის გამჩაღებლად იქცა და, როცა 1946 წელს ავარელ არიმანი მოსკოვის საელჩოს სტოვებდა, გაზ. „პრავდამ“ ის ლანძღვა-გინებით გააცილა. ავარელს ახლა ილუზიები აღარ ჰქონდა, მან უკვე კარგად იცოდა, რომ გამარჯვებამ სტალინს დაპყრობების არაჩვეულებრივი მადა მისცა ის მაინც ბოლომდე მომხრე იყო საბჭოთა რუსეთთან მშვიდობიანი თანაარსებობის, თუმცა იცოდა, რომ ამერიკისა და საბჭოთა წესწყობილებები შეურიგებელი იყვნენ.

მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ავ. არიმანმა ხუთ პრეზიდენტს, დემოკრატიული პარტიიდან, ლოიალურად ემსახურა. უკანასკნელ წლებში მან აქტიურ პოლიტიკაზე ხელი აიღო, მაგრამ კალამი მოიმარჯვა, და ის ხშირად აკრიტიკებდა პრეზ. რეივანს მოსკოვთან მის სტრატეგიული მოლაპარაკებების გარშემო.

\*\*\*\*\*

## მსოფლიო ბრმა ტერორი



მცირე საკანიკულო შესვენების შემდეგ, სკოლებთან ერთად გაჩაღდა გეგმაზომიერი საერთაშორისო ბრმა ტერორი. ხალხმრავალ ადგილებში აფეთქებენ ბომბებს, თვითმფრინავებში თუ სალოცავებში ტყვიებით ცხრილავენ მშვიდობიან ხალხს, ქალებსა და ბავშვებს. ასე ამრიგად:

— პარასკევს 5 სექტემბერს ტერორისტები შეიჭრენ პაკისტანის დედაქალაქის აეროდრომზე, ამერიკის სამგზავრო თვითმფრინავში, ტყვისმფრქვევლებით ამოხოცეს მგზავრები, სანამ იერიშით მისული პაკისტანის სამხედრო ძალები მათაც ბოლოს მოუღებდნენ.

— იმავე დღეს ტერორისტები შეცვიდნენ სტამბოლის სინაგოგაში და იქ ტყვისმფრქვევლებით ამოხოცეს მლოცველები. დაიღუპა ოცდაერთი კაცი.

— იმავედროს თავს დაესხნენ ჩილის პრეზიდენტ გენერალ პინოჩეს, რომელიც მსუბუქი ჭრილობით გადურჩა, მაგრამ მისი დაცვიდან მოუკლეს ხუთი მხედარი და აუფეთქეს ოთხი თვითმფრინავი.

— ისევ ამ სისხლიან პარასკევს დღეს, პარიზის მეტროში შემთხვევით აღმოაჩინეს დიდი სიმძლავრის ჯოჯოხეთის მანქანა, რომლის აფეთქების შემთხვევაში დაიღუპებოდა ასობით მგზავრი. ანონიმი ტერორისტები იმუქრებოდნენ, რომ თუ საფრანგეთის მთავრობა არ გაანთავისუფლებდა პატიმრობაში მყოფ არაბ და სომეხ ტერორისტებს, ტერორისტული აქტები გახშირდებოდა.

— მართლაც, ამ დღიდან მოყოლებული, ათი დღის განმავლობაში პარიზის სხვადასხვა ხალხმრავალ ადგილებში ადგილი ჰქონდა ბომბების ხუთჯერ აფეთქების შემთხვევას: პარიზის ქალაქის მერიის ფოსტაში, ლა დეფანსის კაფეტერიაში, პოლიციის პრეფექტურაში, ელისეს მინდვრების გამზირზე მდებარე პუბში და რენის ქუჩაზე მდებარე „ტატის“ მაღაზიაში. ამ აფეთქებებმა გამოიწვია დიდი ნგრევა, ადგილზევე გარდაიცვალა რვა და დაიჭრა 150-ზე მეტი ადამიანი, რომელთაგან 50-მდე მძიმე მდგომარეობაში.

საფრანგეთის მთავრობამ შეურიგებელი ბრძოლა გამოაცხა-

\*\*\*\*\*



და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, მაგრამ დღემდე ბოროტმოქმედები დაუსჯელი რჩებიან. უდავო კვალნი მის დის ლიბანსა და მის პროტექტორ სირიაში.

– 24 ოქტომბერს ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა სირიასთან და ქვეყნიდან გააძევა სირიის ელჩი, რომელსაც უმტიცილება ტერორში მონაწილეობა. ინგლისის მთავრობა სირიას ბრალს სდებს, კერძოდ, „ინდავის საქმეში“ მონაწილეობაზე.

ნეზარ ინდავი, წარმოშობით იორდანელი და დამასკოში მცხოვრები, თვითმფრინავ „ელ ალ“-ს აფეთქების მცდელობისათვის შეიპყრეს ლონდონში, გაასამერთლეს და, უპრეცედენტო მაგალითი ინგლისის სასამართლოსათვის, 45 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ინდავის განზრახვა ჯოჯოხეთური იყო. თვითმფრინავის აფეთქების ცდა მან გასულ აპრილს მოაწყო. ასაფეთქებლად გამზადებული ბომბი მან ჩუმად მის დანიშნულ ირლანდიელ გოგონას, რომელიც მის შვილზე ფეხმძიმედ იყო, ხელბარგში ჩაუდვა. თვითონ უკანასკნელ წუთში რაღაც მოიმიზეზა და ქალს უთხრა, რომ შემდეგი თვითმფრინავით შეუერთდებოდა მას. ამრიგად, ფრენის დროს, როცა ბომბი უნდა აფეთქებულიყო, ეს უმანკო ორსული ქალი სხვა 374 თვითმფრინავის მგზავრთან ერთად უნდა დაღუპულიყო.

საბედნიეროდ, თვითმფრინავის დაცვამ ბომბი აღმოაჩინა და პოლიციამ ნამდვილ დამნაშავეს მიაკვლია. ინდავმა თავი სირიის საელჩოს შეაფარა, მაგრამ ინგლისის სამსჯავრო მაინც ვერ აიციდინა.

### ვილიამ კეისის განცხადება

ა. წ. აპრილის პირველ რიცხვებში, ამერიკის საერთაშორისო დაზვერვის უწყების დირექტორმა, ბ. ვილიამ კეისმა საჯაროდ ბრალი დადვა საბჭოთა მთავრობას სუვერენ სამხრეთ იემენის შინაურ საქმეებში სამხედრო ჩარევისათვის. ვ. კეისის მიხედვით, გორბაჩოვმა სამხედრო ავიაცია გააგზავნა სამხრეთ იემენში, პრეზიდენტ ალი ნასერ მოჰამედის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა დაუნდობელი სამოქალაქო ომი და, დიდძალი მსხვერპლისა და ნგრევის შემდეგ, შეთქმულთა გამარჯვება. საბჭოებმა პრეზ. მოჰამედი გაწირეს, რადგანაც მას დასაგ-



\*\*\*\*\*



ლეთის დემოკრატიულ ქვეყნებთან დაახლოების პოლიტიკის განხორციელების მიზნებს მიმართულია.

გ. კეისმა აგრეთვე განაცხადა: ამერიკისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლება აწყობს სამხედრო ბაზებსა და ფორპოსტებს: კუბაში, ვიეტნამში, სამხრეთ იემენში, ეთიოპიაში, ანგოლაში, ნიკარაგუაში და ავღანეთში. ლიბიისა და სირიის ტერორიზმი, აგრეთვე, წარმოადგენს საბჭოთა საერთაშორისო სტრატეგიის ნაწილს, ამერიკისა და მისი მოკავშირეების დასასუსტებლად.

**უან როშეს განცხადება**

საფრანგეთის ტერიტორიის დაზვერვის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა, ბ. უან როშემ გაზ. „ფიგაროს“ თანამშრომელს, საერთაშორისო ტერორის შესახებ შემდეგი განუცხადა:

„საბჭოების მხარდაჭერა საერთაშორისო ტერორისადმი ამჟამად საერთოდ აღიარებულია. ევროპის საბჭოს პოლიტიკურმა კომისიამ, მაგალითად, უდავოდ დაადგინა საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ტერორისტულ აქტებში, რომელიც პალესტინელებს იყენებს ბომბების ასაფეთქებლად. ის მათ აწვდის იარაღს, ასაფეთქებელ მოწყობილებებსა და მეტად ეფექტიურ სამოქმედო ორგანიზაციებსა და ინსტრუქტორებს, რომლებსაც ვხვდებით სირიასა და ლიბიაში. ილუზიები შეუძლებელია: მსოფლიო ტერორის საინტენდანტო აღმოსავლეთიდან, ე.ი. კომუნისტური სახელმწიფოებიდან, მოდის.“

**თვითმფრინავის გატაცების ცდა სსრკ-ში**

სექტემბრის შუა რიცხვებში, ბაშკირეთის სსრ-ს დედაქალაქ უფაში მოხდა თვითმფრინავის გატაცების ცდა, რომლის დროსაც, „ტასის“ სააგენტოს მიხედვით, დაიღუპა: ორი პოლიციელი, ორი მგზავრი და ორი პირატი: მანცევი და იაგმურჩი.

**უბედურ შემთხვევათა სერია სსრკ-ში**

**ჩერნობილი.** მარტო სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს იწვევს. ექვსი თვის შემდეგ კატასტროფისა, ხელისუფლება აც-

ხადებს, რომ ყველაფერი წესრიგშია. აფეთქებული რეაქტორში საიმედოდ ბეტონის საკოფაგშია, ერთ-ერთი რეაქტორის იმედი ამუშავებულია და დარჩენილ ორსაც, იმედოვნებენ, რომ წლის ბოლომდე ან ცოტა უფრო გვიან აამუშავებენ. ამ ოფიციალური ოპტიმიზმის მიღმა, რომლის დანიშნულებაც გასაგებია, რა რეალობა, რა ზარალი და რა ტანჯვა იმალება?!

ხელისუფლება საბოლოოდ ამხელს, რომ კატასტროფის შედეგად დაიღუპა **31** კაცი, **200** რადიაციით მძიმედ დაავადებულს საავადმყოფოებში მკურნალობენ, ევაკუირებულია **90** ათასი მცხოვრები, კოლმეურნეობები შედარებით ახლო რაიონებში, მაგრამ ქალაქის მცხოვრებნი, გაფანტული არიან თითქმის მთელ საბჭოეთში. გარეულ ცხოველებსა და ფრინველებზე ლაპარაკი ზედმეტია, იძულებული იყვენ დაეკლათ დიდძალი მსხვილფეხა საქონელი და ხორცს დანატრებულ მოსახლეობას, შიში გულს ურევს, როცა დღეს მაღაზიებში ხედავს გამოდებულ ამ ხორცს. ზარალის ვარაუდი შეუძლებელია და მხოლოდ ათული წლის შემდეგ შეიძ. მიახ. გამოირკვეს. რადიაცია და მისი შედეგები სსრკ მთელ ევროპულ ნაწილზე ვრცელდება, მან საგრძნობი ზარალი მიაყენა კავკასიას და კერძოდ საქართველოს. თვით ჩერნობილის შემოგარენი ორ ზონადაა: პირველში, რომელიც „წითელ ზონადაა“ გამოცხადებული და **6-დან 16** კილომეტრის რადიუსს შეადგენს, ცხოვრება აკრძალულია განუსაზღვრელი დროით; შემდეგ, დაახლოებით **30** კილომეტრის რადიუსის „ლურჯი ზონა“, სადაც მკაცრი კონტროლის ქვეშ მეთურნეობა დაშვებულია. თვით ჩერნობილის ელსადგურის მუშა-მოსამსახურეები თავმოყრილი არიან ქალაქ ზელენი მისში, დნებრის ნაპირას, **38** კილომეტრის მოშორებით.

„ადმირალ ნახმოვის“ დაღუპვა. **30** აგვისტოს, შავ ზღვაში, ქალაქ ნოვოროსიისკის მახლობლად, ხმელეთიდან **3,5** კ.მ. სატვირთო გემი და სამგზავრო, „ადმირალ ნახმოვი“ ერთმანეთს დაეჯახენ და ეს უკანასკნელი ტყვიასავით ჩაიძირა. გემზე ეკიპაჟიანა იმყოფებოდა **1.234** კაცი, რომელთაგან გადარჩა მხოლოდ **836**. დაღუპულთაგან მხოლოდ **116** გვამი იპოვნეს. ირკვევა, რომ ჩაძირული გემი იყო ძვალთაძველი, მეორე მსოფლიო ომის წინ გერმანიის მიერ აგებული, რომელიც ომ-

ის შემდეგ ნადავლში წაიღო საბჭოთა კავშირმა. ეკონომიკური ისევე როგორც სხვა ათასებისა, ამ 400 ადამიანის საბჭოთა ხელისუფალთა სინდისზეა. ისინი თავს არ ზოგავენ და არაფერს იშურებენ, რომ მსოფლიოში უმძლავრესი სამხედრო ფლოტი ჰქონდეთ, მაშინ, როცა სამგზავრო და საექსპორტო ფლოტის განახლება-მოდერნიზაცია ფეხებზე ჰკიდიათ.

აქვე მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო საბჭოთა პრესის ერთ დამახასიათებელ ფაქტზე: გაზ. „კომუნისტმა“ ასეთ დიდ უბედურ შემთხვევას, რომელიც თითქმის მის კარებთან მოხდა, მხოლოდ ექვს სექტემბერს გამოეხმაურა და ისიც მეორე გვერდზე საღდაც მიჩქმალული მცირე კომუნიკებით, სათაურით: „პრესკონფერენცია მოსკოვში. ასეთ პირობებში განა შეიძლება ლაპარაკი საზოგადოების სამართლიან ცნობისმოყვარეობის დაცვაყოფილებაზე, რაც პრესის მთავარი მოწოდება უნდა იყოს; და მერე, განა შეიძლება ლაპარაკი „ადამიანის სიცოცხლის პატივისცემაზე?“ რასაც ხმის ჩახლეჩამდე ვაპკივიან საბჭოთა ხელმძღვანელობა და მათ სამსახურში მყოფო საპროპაგანდო საშუალებები.

#### საბჭოთა ბირთვული წყალქვეშა ნავის ჩაძირვა.

დაახლოებით იმ დღეებში, როცა შევარდნაძე პრეზ. რეიგანს გორბაჩოვის მშვიდობისმოყვარეობაში არწმუნებდა და ისლანდიაში მოსალაპარაკებლად ეპატიუებოდა, ცნობილი გახდა საბჭოთა ბირთვული წყალქვეშა ნავის ავარიისა და ჩაძირვის ამბავი. ცნობა ჯერ მოდიოდა ამერიკის ხელისუფლებისაგან, შემდეგ კი ის დაადასტურა საბჭოთა მხარემაც. პირველი ცნობები იტყობინებოდნენ ნავზე ხანძრის გაჩენას, რომლის ჩაქრობასაც ეკიპაჟის სამი წევრი შეეწირა, საბჭოთა სატვირთო გემზე გამომბული, ის სსრკ-ს საზღვრებისაკენ მიემართებაო. ავარიას ადგილი ჰქონდა წყნარ ოკეანეში, ბერმუდის კუნძულების მახლობლად, არა უმეტეს ათასი კილომეტრისა შეერთებული შტატების სანაპიროებიდან. მეორე დღეს ნავი ჩაიძირა ოკეანეში, მასში მოთავსებული ბირთვული რაკეტებით. მისი სწრაფი ჩაძირვა უეჭველად გამოწვეული იყო მასში წყლის დიდი სიძლიერით შეჭრის შედეგად, რაც შეიძლება მხოლოდ შედეგი ყოფილიყო ნავში მოთავსებული ერთ-ერთი ბომბის აფეთქებით, რომელმაც ნავის სქელი კედელი

გახვრიტა, რომელშიაც წყალი შეიქრა და, რომლის დადგენაც ნავის ეკიპაჟმა და მის საშველად მოსულმა საბჭოთა ჯარებმა კოსებმა, ადგილზე, ოკეანეში, ვერ შეძლეს. ნავი ჩაიძირა, მისი ბირთვული ბომბებით, და იგი ძვეს ოკეანის ხუთი ათას მეტრის ფსკერზე. ამერიკელები ირწმუნებიან, რომ რადიაციის საფრთხე თითქმის ნულია.

ჩაძირული საბჭოთა წყალქვეშა ნავი „იანკი-I-ს ტიპის იყო, შედარებით ძველი, აგებული 1966-74 წლებს შორის. მასზე დადგმულია ბირთვული ბომბმტყორცნი რაკეტები, რომელთაც შეუძლიათ მოწინააღმდეგეს დაარტყან ათი ათასი კილომეტრის სიშორიდან. მათ აღარ ესაჭიროებათ მიუახლოვდნენ მტრის ტერიტორიას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ დაკისრებული აქვთ მოწინააღმდეგის თავდაცვის გამოცდა.

„იანკი-I“-ს ტიპის წყალქვეშა ნავებზე დადგმულია 16 რაკეტა და შეუძლია ერთსადაიმავე დროს დაარტყას 200 მეტრის ქალაქს ბირთვული ბომბები, თითოეული ათასჯერ უფრო მძლავრი ჰიროშიმას ბომბზე. ეს წყალქვეშა ნავები მით უფრო საშიში არიან, რომ ისინი ცურვის დროს არ ხმაურობენ, რის გამოც მათი აღმოჩენა, როცა ისინი ოკეანის სიღრმეში მოძრაობენ, შეუძლებელია. ამიტომაც, რომ ყველა მძლავრი სახელმწიფო ცდილობს ააგოს, რაც შეიძლება მეტი ასეთი ნავი. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ასეთი წყალქვეშები აქვთ: დიდ ბრიტანეთს 4, საფრანგეთს 6, ამერიკას, დაახლოებით, 35, საბჭოთა კავშირს კი უნდა ჰქონდეს 85, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი მოძრაობენ ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებში, ხოლო დანარჩენი თავშეფარებულია ჩრდილოეთის ყნულოვანი ოკეანის ყნვის ქერქის ქვეშ.

გორბაჩოვი იძულებული იყო გაემხილა მისი ბირთვული წყალქვეშა ნავის მარცხი, მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რა ამოცანა ჰქონდა წყალქვეშა ნავს დავალებული, როცა ის ასე მიუახლოვდა ჩრდილოეთი ამერიკის ნაპირებს.

ოქტომბერი 1986.

\*

#### გორბაჩოვის ლოლიკა

მიხაილ გორბაჩოვმა ზაფხულის შევებულება კავკასიის ზღვისპირეთში გაატარა უკან დაბრუნებისას კრასნოდარის მხარეს

ეწვია და ქარხნებში მიტინგები გამართა, სადაც აქებდა მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც გებლო ნაყოფს იღებენო. დამსწრეთ ნება მისცეს საჩივრებისა და შეკითხვებისა. ზოგმა რა თქვა და ზოგმაც რა, ერთმა კი ყველას წუხილი გამოთქვა- კარაქი არ იშოვებო. გენსეკი როდი დაბნეულა, პასუხის მაგივრად, თვითონ დაუსვა დამსწრეთ შეკითხვა: ასწიეთ ხელი, ვისაც ძროხა გაყვითო. ხელი არავინ ასწია. მაშინ, გორბაჩოვმა გამარჯვებული ტონით უთხრა მის აუდიტორიას: ჰოდა, შეიძინეთ ძროხები და გექნებათ კარაქიო. გენსეკის ეს გენიალური აღმოჩენა, სწრაფად იქნა ატაცებული საბჭოთა პროპაგანდის მიერ.

საქტემბერი 1986.

\*

### საბჭოთა დიპლომატიის გაძევება

საბჭოთა კავშირს არაჩვეულებრივად მრავალრიცხოვანი დიპლომატები ჰყავს თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს დიპლომატიასთან საერთო არაფერი აქვთ, ისინი ეწვეიან ჯაშუშობასა და ძირგამომთხრელ საქმიანობას. რაც უფრო ბევრი არიან, ისე მათზე მეთვალყურეობა ძნელდება და ეს საკითხი განსაკუთრებით თავსატეხია

დასავლეთის სახელმწიფოებისთვის. საბჭოთა „დიპლომატ“-ჯაშუშების გაძევება თითქმის ყოველდღიური ამბავია. არ არის ევროპაში ისეთი სახელმწიფო, ნეიტრალურ შვეიცარიისა და შვეციის ჩათვლით, საიდანაც წელიწადში ერთხელ მაინც არ აძევებდნენ საბჭოთა „დიპლომატებს“. ხშირია, როცა ათობით საბჭოთა „დიპლომატებს“ აძევებენ. ამ მხრით, რეკორდი ეკუთვნის ქალბატონ ტეტჩერის მთავრობას, რომელმაც დიდბრიტანეთიდან გააძევა 105 საბჭოთა დიპლომატი ერთად და მერე მოდის ბატონ ფრანსუა მიტერანის სოციალისტური მთავრობა, რომელმაც 50 საბჭოთა „დიპლომატი“ ერთად გაუფხავა იური ანდროპოვის.

ამერიკის მთავრობა ამ მხრით უფრო მეტ თავდაპყრილობას იჩენდა დღემდე. ახლა კი, როგორც ჩანს, რეიგანმა გადაწყვიტა, რომ ცოტათი მაინც შეუმსუბუქოს სამუშაო, მის სამეთვალყურეო უწყებას. საბჭოთა კავშირს ვაშინგტონში





ყოლებია 275 დიპლომატი, ხოლო ნიუ-იორკში „გეო“-ს წინაშე 320 დიპლომატი, მაშინ, როცა ამერიკას საბჭ. კავშირში სულ 3ყოლებია 228 დიპლომატი. ჯერ კიდევ ამ წლის მარტში, თეთრმა სახლმა გამოაცხადა ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილება, საბჭოთა დიპლომატიების შემცირების შესახებ, რათა დაახლოებითი პარიტეტი იყოს დაცული.

ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ახლა, ოქტომბრის შუა რიცხვებში შევიდა ძალაში და რეიგანის მთავრობამ გამოაცხადა 25 გასაძევებელი საბჭოთა დიპლომატის სია. კრემლში ხშირად ასეთ შემთხვევაში სიჩუმეს რჩეობენ, მაგრამ ამ შემთხვევაში გორბაჩოვმა გახმაურებული პასუხი არჩია: მან 19 ოქტომბერს „ტასის“ სააგენტოს პირით გამოაცხადა: „ხუთი ამერიკელი დიპლომატის გაძეგება „მათი სტატუსის შეუფერებელი საქმიანობის გამო.“ არც რეიგანმა დაავიანა პასუხი და 21 ოქტომბერს შეერთებული შტატებიდან 55 საბჭ. „დიპლომატის“ გაძეგება გამოაცხადა. გორბაჩოვმა ამჯერად უჩვეულო რეპრესიას მიმართა: ამერიკის საელჩოში მოსამსახურე საბჭოთა მოქალაქეები, რომელთა რიცხვი 260 ყოფილა, იქიდან გამოიწვია. გორბაჩოვის ეს უკანასკნელი რეპრესია, ამერიკის მთავრობამ უპასუხოდ დატოვა და ჯერჯერობით ამით დამთავრდა სსრკ-ა.შ.შ.ის დიპლომატიური ომი.

ავი ენები ამბობენ: კაცებეს უფროსობა შეშფოთებულია გორბაჩოვის უკანასკნელი გადაწყვეტილებით და მათ მისთვის შეუჩივლიათ: საელჩოს მოსამსახურე საბჭოთა მოქალაქეები ხომ ჩვენი აგენტები არიან, აწი ვინდა მოგვაწვდის ცნობებს ამერიკელი დიპლომატების შესახებო. გორბაჩოვი შეფიქრიანებულია, მაგრამ კაცებისტები მაინც დაუმშვიდებია: ფიქრი ნუ გაქვთ, ამერიკის საელჩოს კედლები ხომ სავსეა ჩვენი მიკროფონებითო.

ოქტომბერი 1986.

\*

იური ორლოვი ა. შ. შტ.-ში

ამ თვის ხუთში, ნიუ-იორკის ჯონ ფ. კენედის აეროდრომზე ჩამოვიდა ცნობილი რუსი დისიდენტი იური ორლოვი, მის მეუღლე ირინასთან ერთად, რომელიც ქმარს შეუერთდა მოს-

\*\*\*\*\*

კოვის შერემეტიევოს აეროდრომზე და, რომელსაც საბჭოთა პასპორტი და რეგულიარულად გაფორმებული ვიზა აქვს; მკაშინ, როცა იურის წართმეული აქვს საბჭოთა მოქალაქეობა. ორლოვის განთავისუფლების თარიღი მიგვანიშნებს, რომ განთავისუფლება მოხდა იმ დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად, რომელიც რეიკიავიკის შეხვედრას წინ უსწრებდა და რომლის დროსაც მოხდა შეთანხმება ამერიკისა და საბჭოთა მთავრობებს შორის, საბჭოთა მთავრობის მიერ პასუხისგებაში მიცემული ამერიკელი ჟურნალისტის ნიკოლას დანილოვისა და ამერიკის სამართალში მიცემულ საბჭოთა ჯაშუშ ეგვენი ზახაროვის გაცვლის შესახებ. ასეთ უთანასწორო გაცვლებს ხშირად აქვს ადგილი. ეს ჩვენთვის მორალურად მიუღებელია და პოლიტიკურად მავნე, მაგრამ ჩვენ ვინ გვკითხავს?

იური ორლოვი, ცნობილი მეცნიერი, სუბატომური ფიზიკის ექსპერტი და სომხეთის მეც. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დაპატიმრებამდე, აქტიური წევრი იყო ადამიანის უფლებათა დაცვის მოსკოვის ჯგუფის, რის გამოც მას მისჯილი ჰქონდა შვიდი წლის პატიმრობა და მერე ხუთი წლის ციმბირის გადასახლება. ნიუ-იორკში ჩამოსვლისას მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის კვლავაც გააგრძელებს, როგორც მის მეცნიერულ საქმიანობას, ისე საბჭოთა ხალხის უფლებათა დაცვას. ჩამოსვლის თანავე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში გაწეული ღვაწლის ჯილდო, მას გადაეცა 50.000 ამერიკული დოლარი და რამდენიმე უნივერსიტეტის მიწვევა სათანამშრომლოდ.

\*

უნგრეთის რევოლუციის 30 წლისთავი

23 ოქტომბერი უნგრეთის ბრწყინვალე ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური რევოლუციის წლისთავია, რომელსაც წელს 30 წელი შეუსრულდა.

1956 წლის დამდეგიდანვე-სტალინის სიკვდილის სამწლისთავზე-საბჭოთა ტოტალიტარული იმპერია ბარბაცს იწყებს, თვით მის ბუნაგ-კრემლში, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ერთმანეთს აღარ ინდობენ მკვდარი დიქტატორის უშუალო პოლიტიკური მემკვიდრეები. ლავრენტი ბერიას ფარულად ჰკლავენ.



მალენკოვ-მოლოტოვი და მათი ამქრები მავნე „ანტიპარტიულ“ ელემენტებად ცხადდებიან. ნიკიტა ხრუშჩოვის მზე „პრობლემა“ ტზე ამოდის... თავისუფლების ჟრუანტიელი უფლის უკიდვანო იმპერიის პერიფერიებს, მრისხანე ტერორით დამფრთხალ გულელებში იმედი ისახება, იმედი, რომელსაც სასწაულების მოხდენა ძალუძს. ეს იმედი, თავდაპირველად, ჩვენს სამშობლოში იჩენს თავს, სადაც უკვე მარტის დამდეგს სტუდენტთა და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობის მანიფესტაციები იფეთქებენ. შემდეგ კი იგი ვრცელდება პოლონეთში, თითქმის ყველა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებში და განსაკუთრებით ძლიერად უნგრეთში, სადაც ერთ მომენტში, კერძოდ 23 ოქტომბერს, ჭეშმარიტ რევოლუციად იქცა და მთელ კაცობრიობას ამცნო მაგიართა ეროვნული ნება: რუსეთის კომუნისტურ უღლიდან განთავისუფლებისა, ავტომმართველობისა, წარმომადგენლობითი დემოკრატიის, მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ბატონობისა, რწმენისა და სარწმუნოების თავისუფლებისა, საერთაშორისო ურთიერთობაში ნეიტრალიზაციისა.

ისევე როგორც თბილისში, ბუდაპეშტშიდაც რევოლუცია დაიწყო სტუდენტთა მანიფესტაციებით, მაგრამ აქ ის მალე იქცა მძლავრ საყოველთაო მანიფესტაციებად— ბუდაპეშტის თითქმის მთელი მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა, კომუნისტურმა ხელისუფლებამ ყველგვარი კონტროლი დაჰკაგა და თავისთავად გაირიყა. მანიფესტაციების წარმატების თანავე სტუდენტებმა სწორი ლოზუნგები გადმოისროლეს: „ძირს ერთპარტიული ხელისუფლება“ და „ძირს უცხო სახელმწიფოს ბატონობა!“ ამაშია განსხვავება თბილისისა და ბუდაპეშტის ამბებს შორის. თბილისში მანიფესტაციები ყალბი ლოზუნგებით დაიწყო, რომელთაც ფართო მასები ვერ გაიზიარებდენ. შემდეგ ახალგაზრდებმა შეცდომა გამოასწორეს, ეროვნული განთავისუფლების ლოზუნგები გაჩნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, უკვე გონს მოსულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ ახალგაზრდობის რევოლუცია დაწყების თანავე სისხლში ჩაახრჩო. თბილისის ახალგაზრდობის წარუმატებლობის მიზეზები სხვაც შეგვიძლია აღვნიშნოთ, მაგრამ აქ ამის ადგილი არ გვაქვს; დავუბრუნდეთ ბუდაპეშტის ამბებს.

\*\*\*\*\*



მაშ, სტუდენტების დაწყებულ მანიფესტაციებს სწრაფად უნდა  
 რთება და არაჩვეულებრივად ზრდის სხვა მოსახლენოებთან ერთად  
 საკუთრებით მუშები, რომელთა სახელითაც კომუნისტური პარტი  
 ბატონობდა. აზვირთებული მანიფესტანტები ამხოზენ  
 ქალაქის ცენტრში აღმართულ სტალინის ძეგლს და მიემუხრე-  
 ბიან რადიოს სახლის დასაკავებლად, სადაც მათ წინ გადა-  
 უდგება და ცეცხლს გაუხსნის პოლიცია. ამ მომენტიდან მშ-  
 ვიდობიანი მანიფესტაცია აჯანყებად იქცევა, ხალხი სწრაფად  
 შოულობს იარაღს და იმორჩილებს პოლიციას. დაბნეული და  
 შეშინებული ხელისუფლება დასახმარებლად იწვევს ქვეყანაში  
 დაბანაკებულ საბჭოთა ჯარებს, რამაც აჯანყება რადიკალური  
 და საყველთაო ეროვნული გახადა: მას უერთდება უნგრელ  
 ოფიცრების დიდი უმრავლესობა, სახელმწიფო მოხელეთა და  
 თვით პარტიული აპარატის მუშაკთა მეტი წილი. თვით საბ-  
 ჭოთა საინტერვენციო ჯარში ადგილი აქვს დემორალიზაცი-  
 ას, ჯარისკაცთა აჯანყებულთა მხარეზე გადასვლის შემთხვე-  
 ვებს. მას შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ბევრმა საბჭოთა  
 ჯარისკაცმა, და მათ შორის მყოფმა ქართველებმა, უარი თქ-  
 ვა ესროლა აჯანყებულთათვის. ამრიგად, კომუნისტური ხელი-  
 სუფლება თავისთავად დაემხო, იშვენ რევოლუციური კომიტე-  
 ტები, პარტიები და საერთო ნებისყოფით შეიქმნა უნგრეთის  
 რევოლუციური მთავრობა, გუშინდელი კომუნისტის, იმრი ნა-  
 ვის თავმჯდომარეობით.

კრემლმა ცბიერებას მიმართა: ვითომ შეურიგდა შექმნილ  
 მდგომარეობას და მისი ჯარების გასაყვანად მოლაპარაკებები  
 დაიწყო ნავის მთავრობასთან. ამით მან დრო მოიგო, დემო-  
 რალიზებული ჯარი კაპიტულაციას გადაარჩინა, ქვეყნის აღ-  
 მოსავლეთ საზღვრებზე გაიყვანა, სადაც მათ რეორგანიზაცია  
 მოუხდინა, ახალი სანდო ჯარები მოზიდა და ერთი კვირის  
 თავზე, როცა დაწმუნდა, რომ ატლანტიკის ქარტიის სახელ-  
 მწიფოები სამხედრო დახმარებას არ გაუწევდენ რევოლუცი-  
 ურ უნგრეთს, მრისხანე სატანკო დივიზიები დასძრა ბუდა-  
 პეშტიისაკენ, ბრძანებით: სწრაფად და დაუნდობლად დაემხო  
 უნგრეთის რევოლუცია.

უნდა ითქვას: დასავლეთს ამ პასივობისათვის ხშირად აკრი-  
 ტიკებენ და სამართლიანადაც, მაგრამ მაშინდელი საერთაშო-  
 რისო მდგომარეობა ნაწილობრივ მინც ამართლებს ამ პასი-

ვობას. ატლანტიკის ქარტიის ორი მთავარი ევროპის სახელმწიფო: ინგლისი და საფრანგეთი ომში იყო ჩაბმული. ეგვიპტის წინააღმდეგ ისე, რომ ამერიკის მთავრობამ მხოლოდ სამხედრო ოპერაციების დაწყების შემდეგ გაიგო. ცხადია, ეს უთანხმოებას გამოიწვევდა თვით „ოტან“-ში. ამას ემატებოდა ინდოჩინეთის ომი და გასაგებია, რომ ოტანის მესვეურებმა მსოფლიო ომის რისკი, რაც მოსალოდნელი იყო უნგრეთის რევოლუციის დახმარების შემთხვევაში, ველარ გასწიეს.


პირველიდან ოთხ ნომებრამდე საბჭოთა ტანკებმა გადახნეს და გადაჯეგეს უნგრეთი, მიწასთან გაასწორეს მისი დედაქალაქი და განსაკუთრებული მხეცობით მოსპეს მუშათა უბნები. საბჭოთა ტანკებთან ერთად ასპარეზზე გამოვიდა, პატიმრობიდან ახლად განთავისუფლებული, ყოფილი მინისტრი, კომუნისტი იანოშ კადარი. მან თავი მოუყარა რამდენიმე ყოფილ კომუნისტს, გამოაცხადა „მუშათა და გლეხთა“ პარტიის შექმნა, რომლის სახელითაც გაამართლა საბჭოთა ინტერვენცია უნგრეთში. რა თქმა უნდა, ამ მოწოდებას არ შეეძლო შეცდომაში შეეყვანა ვინმე ჭკუათმყოფელი, მით უმეტეს, რომ საბჭოთა მთავრობის პრაქტიკაში ის არ ყოფილა არც პირველი და არც უკანასკნელი.

სამაგიეროდ, უნგრეთის რევოლუციამ პირველად ცხადყო ერების კომპარტიათა სრული უძღურება. ისინი ვაჟკაცები არიან და ბატონებენ საბჭოთა სამხედრო ძლიერების წყლობით, ხოლო, როგორც კი ეს ძალა მოაკლდებათ, ხუხულასავით იშლებიან. უნგრეთის შემდეგ ეს კიდევ ერთხელ ცხადყო პოლონეთის 1980 წლის რევოლუციამ.

უნგრეთის რევოლუციის ბარბაროსულმა განადგურებამ შეარყა საბჭოთა რეჟიმის პრესტიჟი მსოფლიოს ყველა წრეებში და თვით კომუნისტურ მოძრაობაშიც: ვინც საბჭოთა ტანკებს გადურჩა, მათ კადარ-საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება გაუსწორდა შემდეგ. აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს 350-ზე მეტი და საპატიმროებში გამოამწყვდიეს 16.000-ზე მეტი თავისუფლებისათვის მებრძოლი მაგიარი. 1956 წელი სრულიად წაშალეს უნგრეთის კალენდარში, მაგრამ დარჩენ კიდევ, რომელთაც გრძელი მახსოვრობა აქვთ. არა



\*\*\*\*\*



მარტო დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში გაიმის საფუძვლი  
ბლოდან გადმოხვეწილ უნგრელ რევოლუციონერთა კონკრეტული  
არამედ, აგრეთვე, უნგრეთშიაც დაზრდილ-დავაყვაცებულან,  
1956 წლის, რუსების ტანკებით გასრესილი რევოლუციონერე-  
ბის მემკვიდრეები, რომლებიც არ ცნობენ კადარ-საბჭოთა  
„ნორმალიზაციას“ და მის წინააღმდეგ ირაზმებიან.

უნგრეთის ქვემარატი რევოლუციის 30 წლისთავზე ჩვენი  
სიმპათია უნგრელ პატრიოტ-რევოლუციონერთა მხარეზეა,  
მათი ბრძოლა, ჩვენი ბრძოლაა.

გიორგი წერეთელი

\*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

ლიტერატურული კრიტიკა

მაქსიმ გორკი - 1886 - 1986

გორკი, ან „ერთი კალმის ფუნქციონერის“ ცხოვრების გზა\*)

მაქსიმ გორკი დღემდე კიდევ რჩება გაუგებრობის საგნად.  
სსრკ-ში მონურად ხოტბაშესხმული, — მაგრამ რამდენ მხა-  
რეს მისი ცხოვრებისა სიჩუმით გვერდს უვლიან, — გაღმერთე-  
ბული საერთაშორისო ინტელიგენციის მთელი ერთი ნაწილის  
მიერ, შეძახებული მრავალი რუსი ინტელიგენტისაგან, გორ-  
კის პიროვნება რთულია, თუ შემოქმედება არის ნაკლებად.

მშვენიერი წიგნი, რომელიც ანრი ტრუაიამ\*\*) ახლახან მას  
მიუძღვნა, უპირველესად შუქს ფენს პიროვნებას, ამბოხებულ  
კაცის ცხოვრების გზას, რომელიც შეპყრობილია უსამართლო-  
ბითა და დესპოტიზმით და, რომელიც თავის ცხოვრებას ას-  
რულებს „კალმის ფუნქციონერად“ და სტალინის მეხოტბედ.  
ამ მეტამორფოზას, მის ახსნას, ტრუაია ეძებს მწერლის ბი-  
ოგრაფიაში, რომელიც ემთხვევა რუსეთის ისტორიის ყველა-  
ზე ამღვრეულ და სწრაფცვალებად პერიოდს, რომლის დროს-  
აც ერთმანეთს ეხეთქება საუკუნოვანი ტრადიციები და რადი-  
კალური ცვლილებების თესლი, ბედთან შეერიგება და მისწრა-  
ფება, მღელვარება საზოგადოების მაღალ და დაბალ ფენების,  
რომელიც უმოძრაო ჰგონიათ.

ძნელი ბავშვობა, თავდაპირველად, ბაბუასა, რომელიც უე-

ქველად მორწმუნე იყო, მაგრამ, რომელიც მუდამ იმეორებდა შეუბრალებელი და შუქრისმადიებელი ღმერთით, ვისი ნებაც ადამიანმა უნდა ატანოს; და ბეზიას შორის, რომლის სარწმუნოებაც სულ სხვაგვარია. მასში გამჯდარია შემბრალებლობა გაჭირვებულთადმი, დანაშაულის გრძნობები მათდამი. მისი ღარიბთა ევანგელია გორკს უნერგავს, რომელიც ჯერ კიდევ პეშკოვია, მძულვარებას მდიდრებისა და ამა ქვეყნის ძლიერთადმი. ის გრძნობს, რომ კაცი მართალი უნდა აღსდგეს მათ წინააღმდეგ, მათ უნდა გამოსტაცოს უსამართლოდ შეძენილი ქონება, გვერდში უნდა ედგეს საწყალ ხალხს. ეს საწყისი ამბოხება კიდევ უფრო გაძლიერდება მისი მძიმე შეგირდობის პირობებით, რასაც მას ცხოვრება არგუნებს. მას უხდება თითქმის როგორც შინამოსამსახურეს იმუშაოს მეპურესთან, გემზე, ღამის დარაჯად და სხვა., თავის თვზე გამოცადოს უხეში მოპყრობა და ტუქსვა, რაც ხვედრია საწყალი ხალხის. ამის მოწმობაა მისი წიგნები: „ბავშვობა“ და „ჩემი უნივერსიტეტი“.

მაგრამ იმავ დროს, —მეცხრამეტე საუკუნის ბოლო, — ახალგაზრდა გორკი, დაბალი წრიდან გამოსული, დაუსრულებელი სწავლით და მძიმე შრომის პირობებში მყოფი, შეაღწევს აგრეთვე ინტელიგენციის წრეში და, ამრიგად, თავს უყრის ამ ორ გამოცდილებას, რაც მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ, 1881 წელი, რუსეთი დუღს, რევოლუციური სული სჭარბობს ყველა ორგანიზებულ ჯგუფებში, კერძოდ სტუდენტთა წრეებში.

### პაიკი და მწარე

ყაზანში, სადაც ის ღროებით ცხოვრობდა, გორკი ეხახუნება უნივერსიტეტს და მის ამოძრავებულ სტუდენტობას. შემდეგ ის უბრუნდება გლეხობას, ხალხოსან რომასთან ერთად, რომელსაც უნდა რევოლუცია, რომლის საფუარიც თვითვე უნდა იყოს. მაგრამ შეძრწუნებული გლეხობით, რომელიც მას მიაჩნია გამოთავისებულად და სამუდამოდ ბედთან შერიგებულად, გორკი მღე სტოვებს მათ.

ბოლოს, რადენიმე წლის შემდეგ, თბილისი, სადაც ის პი-

რველად ხვდება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას და იბრუნება  
 თა კლასს, აქ იბეჭდება ის პირველად (1902 წ.) და ის პეშკოვიდან (პაიკი) გორკად (მწარე).

ათი წელი, 1881-დან 1891-მდე, ის კონტაქტშია ყველა სო-  
 ციალურ და ინტელექტუალურ მოძრაობებთან. კიდევ ათი წე-  
 ლი და 1900-დანვე ის აღწევს ლიტერატურულ დიდებას მოს-  
 კოვში. მას ესალმება მემარცხენე ელიტა, მაგრამ აგრეთვე  
 შეძლებულთა ელიტაც, რომელსაც ხიზლავს ეს მემამბოხე სული,  
 რომელიც მას სიკვდილით სჯის. „დიდი სალამოს“ ყრუანტელი  
 უცხო არაა ამ წარმატების. ის მოწმობს რუსეთის სწრაფ  
 დაშლას, სადაც თანაარსებობენ უზარმაზარი ძალთახმევა მო-  
 დერნიზაციის-ინტელექტუალური და შემოქმედებითი ოქროს  
 ხანა— და ელიტის მოჯადოება რევოლუციით, რომელიც მას  
 შთანთქავს.

ანრი ტრუაია დაწვრილებით, ეტაპობრივად იხილავს გორკის  
 ცხოვრებას:— 1905 წლის რევოლუცია, პირველი გადახვეწილობა  
 და კუნძულ კაპრის ეპიზოდი, დიდი რევოლუცია, 1917 წლის,  
 მეორე გადახვეწილობა, რომელიც გრძელდება 1928 წლამდე,  
 შემდეგ ტრიუმფალური დაბრუნება სსრკ-ში და ინტელექტუ-  
 ალური მაგისტროსობა სიკვდილამდე—საიდანაც რამდენიმე დიდ-  
 მნიშვნელოვანი თემა იკვეთება. თავდაპირველად, შედარება  
 მეფისა და საბჭოთა დამსჯელ სისტემებს შორის, რომელსაც  
 გორკის ბედი აშუქებს. რევოლუციის ეს მოციქული, ადრევე  
 შენიშნული საიმპერიო ხელისუფლების მიერ, სარგებლობს არა-  
 ჩვეულებრივი შემწყვლავლობით. 1900 წელს ის იძენს საბეჭდ  
 მანქანას, რომელზედაც ბეჭდავს მოწოდებებს აჯანყებისაკენ.  
 პოლიცია შემფოთებულია, მაგრამ ხელს არ უშლის... 1905  
 წელში, როცა მას დააპატიმრებენ აჯანყებაში აქტიური მო-  
 ნაწილეობის გამო, ესეც დიდი ყაჟანის შემდეგ, და ერთი  
 თვის თავზე, საერთაშორისო ინტელიგენციის პროტესტების  
 შედეგად, რომელშიც გადამწყვეტ როლს თამაშობდა ანატოლ  
 ფრანსი, მას ანთავისუფლებენ. როცა ხელისუფლება წინ აღუ-  
 დგება მის აკადემიაში შიშებს, მთელი რიგი აკადემიკოსე-  
 ბისა გადადგებიან პროტესტის ნიშნად და არავის ამის გამო  
 არ აწუხებენ. გორკის პიესები იდგმება ყველგან მთელ რუსე-  
 თში, მიუხედავად ცენზურის მიერ აკრძალვისა.



მეორე მნიშვნელოვანი თემა, გორკის ურთიერთობაშია მთიან, მერე სტალინთან, რომელიც ნათელს ფენს მთლიანად თვით გორკის პიროვნებას და სსრკ-ს თანამიმდევრობით გამგებელთა შეხედულებას კულტურაზე. მისი პირველი შეხვედრისთანავე **1905** წელს ლენინთან, გორკი, რომელიც მანამდე უშვებდა მის ჟურნალ „ახალი ცხოვრება“-ში ერთგვარ მრავლობითობას (*pluralisme*), უყოყანოდ იღებს ლენინის ტოტალიტარულ შეხედულებას და მას ანხორციელებს მის გამოცემაში. ლენინ-გორკის წყვილი, მიუხედავად ზოგიერთი სიძნელეებისა (**1918** და **1921** შორის გორკი ცდილობს მისი მეგობარი აიძულოს ზოგიერთი ინტელიგენტის პატიება.), ხასიათდება ლენინის გავლენით გორკზე. ეს უკანასკნელი, მიუხედავად იმისა, რომ ლენინს უსინდისოს ეძახის იმ საშინელ წლებში, საბოლოოდ აღიარებს, რომ სხვა გზა არ არსებობს მისთვის, გარდა იმისა, რომ ბოლომდე მისდიოს მას. ლენინი, რომელიც პრაგმატიულია, ყურადღებას არ აქცევს გორკის ზოგიერთ ენობრივ გადახვევებს, რადგანაც მას ესაჭიროება ის, პარტიას დაქვემდებარებული მონოლოთური კულტურის ხაზის გასატარებლად. გორკი-სტალინის წყვილი, ამრიგად, ბუნებრივად მომდინარეობს პირველი წყვილიდან.

გორკი გადახვეწილობიდან ბრუნდება **1928** წელს, მაშინ, როცა სტალინი ნეპ-ის ლიკვიდაციას ახდენს და ამჟამებს ტერორიზმს, როგორც ხელისუფლების საშუალებას. ამ ტერორიზმის შესახებ არაფერი არ არის დამალული გორკისთვის, არც გლეხებისა და მუშების ბედი, არც ელიტის განადგურება, არც შრომის ბანაკები (მან სოლოგვის ჯოჯოხეთიც კი ინახულა). თუ ის ჯიუტად იმეორებს, რომ ტუსაღები ბედნიერი არიან, რადგანაც ისინი ცნობენ თავიანთ დახაშაულს და ინანიებენ („ბედნიერებით გამოწვეულ შრომიდან“ შორს აღარაა!), რომ იმ ადამიანების ბედი, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, ბედნიერია, ეს არა მისი სიბეცის გამო, არამედ, და ამას ის აშკარად ამბობს, რომ „მასებს გული არ უნდა გაუტეხოთ.“ ეს შეკვეთილი ოპტიმიზმი, სიტყვებითა და ფორმით განმეორებული, პედაგოგიური და შეგონებითი, რომელიც ჩეხოვმა დაგმო **1900** წლის კრიტიკით და, რომელიც უკვე აღწერს „ხის ენას“ (*langue de bois*), მთლიანად ახ-

\*\*\*\*\*



ასიათებს სტალინის ხანის გორკს.

ეს გორკი დოგმატიკი, რაც-ჩეხოვის სიტყვები ამბობს ნებს, დიდი ხნით ადრე შეიმჩნევა, მუდამ ფიქრობდა-და ეს-აა მისი ლენინთან მეგობრობის საფუძველი-რომ ლიტერატურას ჰქონდა სოციალური და მორალური დანიშნულება, ესე იგი ის სავალდებულოდ უნდა ყოფილიყო სამსახურში (სოციალიზმის). წინააღმდეგ ტოლსტოისა, მაგრამ აგრეთვე წინააღმდეგ ჩეხოვისა და სხვა მისი დროის მწერლებისა, გორკი მუდამ ქადაგობდა, რომ ლიტერატურას თავისი წვლილი უნდა შეეტანა, იდეალური პროექტის მიხედვით „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბებაში, რაც არ უნდა ყოფილიყო ინდივიდთა მისწრაფებანი. ის, ამრიგად, წინასწარ თანხმობაში იყო ჯერ ლენინთან და უფრო გვიან სტალინთან.

ამის შემდეგ ცხადია, და ანრი ტრუაიამ იშვიათად გამოიყენა მთელი მისი მგრძნობიერება და ნიჭი ერთი ძალიან საინტერესო ბედისწერის ახსნის სამსახურში, რომ არ იყო პეშკოვისათვის სხვა გზა, გარდა იმისა, რომელიც მას მიიყვანდა კულტის მსახურ გორკამდე.

ელენე კარერ დ'ანკოსი

\*) ქალბატონ ელენეს ეს სტატია თარგმნილია ფრანგულ გაზეთ „ლე მონდ“-იდან (10.10.1986.)

\*\*) თანამედროვე ცნობილი ფრანგი მწერალი, წარმოშობით რუსი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ლევ ტარასოვ.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

„ვერ გრძნობენ რაა კარგი, ფაქიზი“

გალაქტიონ ტაბიძეს აქვს ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც ნათლად გადმოგვცემს პოეტის ზოგიერთ შეხედულებებს ჩვენი საუკუნის ათიანი წლების კულტურულ ცხოვრებაზე; აი, ეს ლექსიც:

„სხვები ჩხავიან, როგორც ყვავები,  
ვერ გრძნობენ რაა კარგი, ფაქიზი.  
არის განსხვავება:  
ორი ღიმილი ორთა ბაგეზე.  
პირველში ფანტასტი მეტია,  
მეორეში ნაკლები.





პირველი პოეტია,  
 მეორე სპექტაკლები.  
 ეზმანება რა დიონისე,  
 სხვაა მოჩვენება გალაქტიონისა,  
 მას ვით არ სმენია  
 დიდება მარადი  
 და ქართლის გენია.

1916 წ.

ამ ლექსის შენიშვნებში, რომელიც გალაქტიონის I ტომს აქვს დართული, გვხვდება ასეთი რამ, — მაგივრად სტროფისა: „ორი ღიმილი ორთა ბაგეზე“, წინანდელ ვარიანტად ყოფილა: „გალაქტიონ ტაბიძე და გრიგოლ რობაქიძე“. „მეორე-სპექტაკლები“-ს ადგილზე ყოფილა: „მეორე-ტვინის სპექტაკლები.“ „ეზმანება რა დიონისე“-ს მაგივრად წერებულა: „გრიგოლს ეზმანება ისევ.“ „მას ვით არ სმენიას“ ადგილას ყოფილა: „ორთავეს ვით არ სმენიათ.“

ყველა ეს პირვანდელი ვარიანტი, კომენტარის აზრით, გალაქტიონს გადაუხაზავს. ერთი რამ ცხადია, — ახალგაზრდა გალაქტიონს იმთავითვე ჰქონდა მთელი გულისყური მიპყრობილი გრ. რობაქიძის შემოქმედებისადმი. იგი მძაფრად განიცდიდა მაშინდელი ქართული მწერლობის ჩამორჩენილობას, რაც აკაკის გარდაცვალებას მოჰყვა; საჭირო შეიქმნა ღირსეული თაობის დაძებნა, პარალელები, შედარებები, იმედები. და ჰა, — რობაქიძე, როგორც ჯადოქარი „ტვინის სპექტაკლებისა“, ერთ-ერთი მესაქვეთაგანი უნდა იქნეს ქართული კულტურის მკვდრეთით აღდგომისა, რა თქმა უნდა, გალაქტიონთან ერთად.

თუ როგორ წარიმართა ამ ორი მოაზროვნის შემოქმედებითი და პირადი ცხოვრებისეული გზები მათი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, ამას ჩვენ აღარ გამოვუდგებით. ერთი რამ კი ცხადია: მათი ტრაგიკულად გათავებული ცხოვრება იმ დანგრეულ სამლოცველოს ჰგავს, რომლის ხსენებაც, მიუხედავად განუმეორებელი ტკივილებისა, მუდამ დიდის მოწიწებითა და მხურვალე იმედებით გვაწრთობს და გვადლევაბს.

ამ რამდენიმე წლის წინად, რევაზ ჯაფარიძემ მწერალთა დახურულ სხდომაზე, რომელსაც საქ. კომპარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა, წინადადება წამოაყენა გრ. რობაქიძის

ნაწამობთა გამოცემის შესახებ, მაგრამ კვლავ ვალსტეორი  
რომ მოვიშველიოთ,— ყვავებს თავიანთ ჩხავილთან რა შეწყ  
ნებათ? და დაგმეს ჯაფარიძის მამულიშვილური მცდელობა,  
მათ მიერ გამოცემილი თვითნაწარმი „კრიტიკოსით“. ჯერ-  
ჯერობით ასე ფიქრობენ „ზემდგომები“ საქართველოში. რას  
ვიზამთ: „ვერ გრძნობენ რაა კარგი, ფაქიზი.“

ახლობელი  
ივლისი 1986.

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

ოთხი „ვ.ტ.“ ინგლისურ ენაზე

გამომცემლობა „მეცნიერება“-მ თბილისში, 1984 წელს, გა-  
მოუშვა ზვიად გამსახურდიას წიგნი ინგლისურ ენაზე: „ვეფ-  
ხისტყაოსანი“. წიგნი 221 გვერდიანია, 1500 ტირაჟით. წიგნს  
ბოლოში დართული აქვს სია გამოყენებული ლიტერატურისა,  
სადაც 193 წყაროა დასახელებული და აგრეთვე დასკვნები  
ქართულად, რუსულად და ინგლისურად. ნაწარმოები წარმოა-  
დგენს „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმნების მეცნიერულ-  
კრიტიკულ შესწავლას. ესენია: უორდროპის, ურუშაძის, სტი-  
ვენსონის და ვივიენის. ზ. გამსახურდიას ნაშრომში განხილუ-  
ლია პოემაში ნახმარი რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინები.  
მონოგრაფია მიზნად ისახავს ნათელჯის, თუ რამდენად სწო-  
რად არის წარმოდგენილი ინგლისურ თარგმანებში რუსთველი  
პოეტი მოაზროვნე. წიგნს ზ. გამსახურდია უძღვნის თავისი  
მამის, კონსტანტინე გამსახურდიას ნათელ ხსოვნას.

შესავალში ავტორი მოგვითხრობს, რომ: „არცერთ პოეტურ  
ქმნილებას არ გამოუწვევია აზრთა ისეთი სხვადასხვაობა,  
როგორც „ვეფხისტყაოსანს“. ორი ბანაკი შეიქმნა, მაგრამ  
თვით ტიმოთე გაბაშვილისთვისაც რუსთველი არის „მთქმელი  
ლექსთა ბოროტთა“, ვინაიდან მისი გავლენით თურმე ქართ-  
ველმა ქალებმა ისწავლეს ფერუმარილის წასმა. მიუხედავად  
ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქრის-  
ტიანობისაგან მსოფლმხედველობრივი განდგომა რუსთველისათვის  
არავის დაუბრუნებია ხსენებულ ეპოქაში. თვით ანტონ კათა-  
ლიკოსს, რომელსაც ვეფხისტყაოსნის მთავარ მდევნელად სა-

ხავენ, არსად არ უთქვამს ზუსტველის მსოფლმხედველობის განსხვავება ქრისტიანულისაგან.

საინტერესოა დავით გურამიშვილის აზრი, რომელიც ასეა გამოთქმული მის „დავითიანში“:

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან  
შოთამ რგო იგავთ ხეო და  
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა,  
ზედ ხილი მოიწეოდა,  
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა,  
ვისგანაც მოირხეოდა,  
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი,  
მე სხვაგან ვერ ვნახეო და.“

გამსახურდია დაასკვნის: „ამრიგად, ქართული სამღვდლოებისთვის ყველთვის ცნობილი იყო, რომ რუსთველი მსოფლმხედველობით ქრისტიანია, რომ იგი არის ჭეშმარიტი ქრისტიანი ღვთისმეტყველი „რიტორი“ და „ბრძენი.“

ნიკო მარის ადრინდელი აზრი, რომ, რადგან „გ. ტ.“ -ში „სამება“ არ იხსენება, მას მაჰმადიანური ძირი ჰქონდეს, არ არის დამაჯერებელი და ივანე ჯავახიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ეს მარისეული მოსაზრება. პავლე ინგოროყვა რუსთველს მანიქელობას სწამებს, რასაც უარყოფს ზურაბ ავალიშვილი.

ღმერთი „გ. ტ.“ -ში იხსენიება 225 -ჯერ.

ჩამოთვლილია მრავალი მკვლევარი „გ. ტ.“ -სა, რომლებმაც ეძებეს სხვადასხვა სულიერი და სარწმუნოებრივი ძირები ამ ნაწარმოებში, მათ შორის: ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ზ. ავალიშვილი, კ. კაპანელი, კ. ჭიჭინაძე, ვ. ბერიძე, ილ. აბულაძე, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ი. მეგრელიძე, კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე და სხვა. როგორც ვხედავთ, ამბობს ავტორი, „გ. ტ.“ -ს მკვლევარი ბევრია, მათი მატრ დასახელებაც შორს წაგვიყვანდა ამ მოკლე წერილში, არამც თუ მათი შეხედულებების აღწერაო.

როგორც ვთქვით, ავტორს განსაკუთრებით აინტერესებს ინგლისური თარგმანები, „თუ რამდენად არის მათში წარმოდგენილი რუსთველი როგორც მოაზროვნე.“

— უორდროპმა ინგლისური შესატყვისი მოუნახა, უწინარეს



\*\*\*\*\*

ყოვლისა, რუსთველის ლაკონურ მეტყველებას. რაც უკვე ვ. ურუშაძის თარგმანს, იგი ცალკეული მხატვრობის მიუხედავად, ალაგ-ალაგ მეტად დაშორებულია დედანის ტექსტს, მას ახასიათებს სიტყვამრავლობა, რითაც რუსთველის ნააზრევს სხვაგვარი, არა სასურველი ფორმა ეძლევა.

„ინგლისური თარგმანების კრიტიკულ შესწავლას და სწორ შეფასებას, რაზედაც დამოკიდებულია „ვ. ტ.“ ს ბედი საერთაშორისო ასპარეზზე, დიდი მნიშვნელობა აქვსო“, ამბობს ზ. გამსახურდია.

პირველ თავში „შესაქმის გაგება „ვ. ტ.“-ში ზ. გამსახურდია შეისწავლის სამების საკითხს და ადგენს: პირველ სტროფში მოცემულია შესაქმის ქრისტიანული გაგება და „სული“ ნიშნავს „სული წმინდას.“ მაშასადამე, „რომ ღმერთის, როგორც სულის გაგება უცხოა პანთეიზმისათვის და რომ ეს არის ძირითადი განმასხვავებელი პუნქტი პანთეიზმისა და ქრისტიანული მოძღვრების შორის.“

— „ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერთა“.  
უდავოა, ამბობს ზ. გ., პროლოგის პირველ სტროფში სამებაც ნახსენებია ერთარსულად. არსნიც სულით არიან შექმნილნი და ეს არსნიც სულნი არიან.“ „მან მიმართვით დაწყო თვისი უკვდავი პოემა, სადაც აღებულია ბიბლიური შესაქმისის უაღრესად არსებითი მომენტი და ლაკონიურ პოეტურ ფორმაში მოცემულია შესაქმის მთელი ფილოსოფიის კვინტესენცია პოეტურ ენაზე“.(გვ.40)

ზუსტად შენიშნავს ზ. გამსახურდია, რომ „ვ. ტ.“-ში სიტყვა „სამყარო“ ნიშნავს ზეცას და შეესაბამება უორდროპის „ფირმენანს“-ს და არა ურუშაძის „ვორლდ“-ს, რაც ქვეყნას ნიშნავს. ასეთი თარგმნები ქმნიან გაუგებრობას მკითხველებში.

ზ. გამსახურდია ყველგან ხაზს უსვამს ქრისტიანული სამების გამოამჟღავნებებს ვეფხისტყაოსანში. ავთანდილის ლოცვაში და ავთანდილის ანდერძში თუმცა იგი არ მოიხსენება, როგორც მამა, ძე და სულიწმინდა, ვინაიდან საქმე გვაქვს პოეტურ ნაწარმოებთან და არა თეოლოგიურ ტრაქტატთან (გვ.46). რუსთველისთვის უცხოა, როგორც პანთეისტური, ისე ნეოპლატონური წარმოდგენა ღმერთზე და, რომ ვ.ტ.-ს ღმერთი წმინდა ქრისტიანული თეისტური გაგების ღმერთია.



კანტი ამბობს: დეისტს სწამს ერთი ღმერთი, ხოლო დეისტსა ერთი „ცოცხალი“ ღმერთი. მისი გაგებით, „სული უმინდა“ მესამე პიროვნებაა. „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს“, ეს „ვინ“ პიროვნების აღმნიშვნელია. პირველ თავის დასკვნაში, ზ. გამსახურდია ამბობს, რომ, მაშასადამე, რუსთველი არის თეისტი ქრისტიანი მოაზროვნეო. (გვ.60)

**თ ა ვ ი II. რუსთველის ანთროპოლოგიის ერთი პრობლემა.**

„ზეგარდმო არსნი სულითა ყნა ზეცით მონაბერითა“ გულისხმობს ადამიანის შექმნასაც, ანუ კაცისთვის სულის შთაბერვას. „ჰე, ღმერთო ერთო“, როდესაც ღვთისმეტყველებაში საუბარია სიყვარულზე, რომელიც ღვთისგან გამომავალია და მიემადლება ადამიანს, ყველთვის იგულისხმება სულიწმინდაო.

ავტორი აკრიტიკებს ე. ხინთიბიძეს და ამბობს: „ვ. ტ. -ს კონტექსტი წმინდა ბიბლიურ ქრისტიანულია, მას არავითარი საერთო არა აქვს არისტოტელიზმთან, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია შესაქმის გაგება“-ო.

„უორდროპს შენარჩუნებული აქვს ქრისტიანული ფილოსოფიის ტერმინი ერთი (უან), სიტყვა ღმერთის სინონიმი. ამრიგად, „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექქმენ სახე ყოვლისა ტანისა“ არის ქრისტიანული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი უძირითადესი დებულება.“


**თ ა ვ ი III. მიჯნურობისა და შაირობის გაგებისათვის.**

„ლხენა“ რელიგიური ტერმინია: „სალხინებელი“, ე.ი. განსაწმენდელი. ე. ი. განსაწმენდელი სულის ლხენას-განწმენდას, მოსდევს შვება. ამდენად „ლხენა“ „შვებაცაა“, რელიგიური გაგებითო. განა თავად არ ბრძანებს რუსთველი, რომ შაირობა არის „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი“?

„ადამიანური სიყვარულის გაღვთაებრივება, აი რა არის ვეფხისტყაოსნის ლეიტმოტივი. ამიტომ ცდება ხინთიბიძე თავის ეთიკის ძირითადი პრობლემები ვ. ტ. -ში, სადაც ის ამბობს: „პოემის სიყვარულის ობიექტი არ არის ღმერთი, ღვთაება.“ მაშინ რატომღაა ღმერთი ნახსენები პოემაში ორას ოცდახუთჯერ და რატომ არის ესოდენ ხშირი მისდამი სიყვარულით და მოწიწებით აღსავსე მიმართვები? ამბობს ავტორი. ამას მოსდევს ე. ხინთიბიძის დასაბუთებული კრიტიკა და დასკვნა: „ყოველივე ამის შემდეგ ცხადი ხდება, თუ რაოდენ



\*\*\*\*\*



დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული სიტყვის სწორ გვერდის  
რუსთველთანო.“ ბევრი ტერმინი, რომლებიც მთარგმნელებს  
შეცდომით ჰქონიათ თარგმნილი, გამსახურდიას გასწორებული  
აქვს, ასე მაგალითად: „დაშრომა“ „გარჯას“ ნიშნავს და არა  
„დალლას“, როგორც ამას უორდრობიც თარგმნის; „აღმაფრე-  
ნა“ ნიშნავს „აღფრთოვანებას“ და არა „გაფრენას“.

ბოლოს, ამ თავს ასე დაასკვნის ავტორი: „ამრიგად, რუსთვე-  
ლისეული მიჯნურობის კრედო, ისევე როგორც შაირობის კრე-  
დო, თავისი არსით ქრისტიანულია და ემყარება საღვთო წე-  
რილსა და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას. ეს არის გზა სუ-  
ბლიმაციისა, სულიერი კათარზისა და განდმრთობისა ქრისტი-  
ანული თვალსაზრისით.

**თავი IV. ვ. ტ.-ს „ერთარსება“ და „მზე მისი ხატი“.**

რუსთველის ქრისტიანობის უარმყოფელნი თავიანთ თვალსა-  
ზრისს უმთავრესად იმით ასაბუთებენ, რომ პოემაში არსად  
მოინახება სამება. ცნობილია აგრეთვე, რომ კორნელი კეკე-  
ლიძემ კონკრეტულად მიუთითა პოემაში ამ ადგილზე, სადაც  
ნახსენებია სამება, კერძოდ 836 სტროფი:

**იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,  
ერთ-არსებისა ერთისა, მის უყამოსა ყამისად,  
ტერმინი ერთ-არსება გულისხმობს „სამებას“ (ნეოპლატონიზმში  
არასოდეს არ იხმარება ტერმინი „ერთარსება“)  
ამ წინადადებას მოსდევს ვრცელი განხილვა „ერთისა“ და  
„სამისა“ ძველი ფილოსოფიური სწავლების მიხედვით.**

ანტონ კათალიკოსი შოთას უწოდებს: „ღვთისმეტყველიც  
მაღალ“. ვიქტორ ნოზაძე, აღნიშნავს გამსახურდიას, თვის,  
რომ აქ საქმე ეხება მზე-მნათობს, ასტროლოგიურ მზეს.  
(„ვ. ტ.-ს მზისმეტყველება“, გვ.195) მკვლევარი ვერ ამჩნევს,  
თუ როგორ უთხრის ამით ძირს საკუთარ დებულებას რუსთ-  
ველის ქრისტიანობისას (გვ.129)

„ამრიგად, ლოგოსი იგივე სულიერი მზეა, მზის სულია.“  
უზენაესი ღვთაება ერთი, შეუმცნებელი, უცნაური და უთქ-  
მელი. რომ ეზოტერული ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი  
დებულებაა ძე ღმერთის, ლოგოსის, ქრისტეს კავშირი მზე-  
მნათობთან, რამდენადაც ქრისტე არის მზის სული( არა მე-  
ტაფორულად, არამედ კონკრეტულად), ხოლო „საღვთო მთვარე“

\*\*\*\*\*  
 ენციკლოპედია

ანუ სულიერი მთვარე ღვთისმშობელია.

„რუსთველის ეპოქის საქართველოში დიდი ინტელექტუალური ბერძნული ეთერული ასტრონომიისადმი, ისევე როგორც ასტროლოგიისადმი, თუმცა ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველივე ამას განიხილავდნენ ქრისტიანული თვალსაზრისით. იოანე პეტრიწი აღნიშნავს, რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავანი თავად ღვთის მადიდებელი არიან. იოანე პეტრიწი ამასთან დაკავშირებით იმოწმებს ბიბლიის დავითის ფსალმუნებს: „ცანი დაუჰამშვენებენ დიდებასა ღმერთისასა.“

შემდეგ ზ. გამსახურდია არჩევს გამოთქმას: „მზიანი ღამე“ და ქრისტეს უკავშირებს მას და მიუთითებს სამება ერთ-არსებაზე. მოჰყავს ადგილები ჰიმნოგრაფიიდან, ასევე დავით გურამიშვილიდან:

„ვაქოთ ვადიდოთ ვინაო?

ღმერთი მაღალთა შინაო,

ვინცა შეამკო ქვეყანა,

ღამე დღეთ გააბრწყინაო.“

სამყარო მზე“, როგორც სულიერი მზე.

იხილავს რა მ. უორდროპის ნათარგმნს „უჟამოსა ჟამისა“ და „ერთარსება ერთისა“, მიუთითებს მათ არა სიზუსტეზე. ვ. ურუშაძეს კი თავის თარგმანში მთლად გადუსხვაფერებია.

ზემო ნათქვამიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნები: „ერთი“ გულისხმობს „სამებას“, „მზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“, „უჟამო ჟამი“ ცნებები განსაზღვრების ძიებაა. „მზე ხატი ღმერთისა“ არის არა ფიზიკური მზე-მნათობი, არამედ მზის სული, ქრისტე-ლოგოსი, ძე, რომელიც არის „ხატი ღმერთისა უხილავისა, ანუ „მზიანი ღამისა, ერთარსებისა ერთისა, უჟამოსა ჟამისა“, ქრისტიანული გაგებებია ისინი ვ. ტ.-ც ქრისტიანული თვალსაზრისით არიან ნახმარნი და გვიდასტურებენ მისი ავტორის ქრისტიანულ მსოფლმხედველობას.

**თავი V. ვ. ტ.-ს რობერტ სტივენსონის თარგმანი.**

გამსახურდია მწუხარებას გამოთქვამს, რომ სტივენსონს არ წაუუკითხავს მისი შრომა „მაცნეში“, სადაც ის მიუთითებდა ყველა იმ მთარგმნელების შეცდომებზე, და სტივენსონიც ვერ აცდა მას, განსაკუთრებით ვ. ტ.-ს პროლოგში. სათაური: „თე ლორდ ოფ თე პანთერ სკინ“-ზე არ ეთანხმება ლორდის

წოდებაზე და არ მოსწონს აგრეთვე სტივენსონის მიერ გამოთქმებით თარგმნა მეტაფორებისა. სტივენსონს უთვისებია: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი...“ „მდაბალი“ გამოუტოვებია. უორდრობი ინარჩუნებს მას და თარგმნის „მოდესტ“-ად.

რუსთველოლოგები, რომლებიც რუსთველს არაქრისტიანად, სოლარიტ-პაგანისტად, სეფასიანად ან სხვა რამ მოძღვრების მიმდევრად აცხადებენ, სრულებით არ იცნობდნენ, ან ზერელედ იცნობდნენ ზემოხსენებულ მამების მოძღვრებას. უცხოელი მკითხველი, ასე გაგებული თარგმანებით, ვერ შეიქმნის სწორ წარმოდგენას რუსთველის, როგორც პოეტ-ფილოსოფოსის შესახებო, ასკენის გამსახურდია.

#### თავი VI. ვ. ტ.-ს კ. ვივიანისეული თარგმანი

1977 წელს ლონდონის ფოლიოს საზოგადოების მიერ გამოცა კ. ვივიანის მიერ თარგმნილი ვეფხისტყაოსანი. გამსახურდია ამბობს: „ქართველი მეცნიერი ალ. მანგელიშვილი აღნიშნავს, რომ უცხო გავლენებს გარეგნული ხასიათი ჰქონდა საქართველოში, რის გამოც ძირითადი ქართული სულის მიმართულება ოდნავადაც არ შეცვლილა. ამის გამო იგი აკრიტიკებს ზ. ავალიშვილს, ვეფხისტყაოსანში არაბული კვალის შეხედულების გამო.“

— „სტივენსონის და ურუშაძის თარგმანებს უფრო შეეფერებათ თავისუფალი თარგმანის ეპითეტი, ვიდრე ვივიანის მიერ თარგმნილ პროლოგს. ამჟამად, როცა გავეცანი მას, უნდა აღვნიშნო, რომ მას ჩემი რეკომენდაციების დიდი უმრავლესობა გაუზიარებია. სამწუხაროდ, რასაც ვამბობდი პროლოგის შესახებ, იგივეს ვერ ვიტყვი პოემის დანარჩენ ტექსტებზე, რომლებიც გაცილებით უფრო მდარედ არიან თარგმნილი. მაგალითად, „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა“, გაქრა ხატოვანი მეტაფორა, ამის ნაცვლად თარგმანშია: „მას თვალთაგან ცრემლები სდიოდა...“

— „მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარისად“, თარგმანი: „მას განუწყვეტილვ სდიოდა ცრემლები.“

ბოლოს, გამსახურდია ურჩევს კ. ვივიანს, კიდევ ჩაუჯდეს ვ. ტ.-ს და ხელახლად თარგმნოს ის სუსტი ადგილები, ვინაიდან მაშინ გვექნება ჭეშმარიტად სრულყოფილი თარგმანი

\*\*\*\*\*



ინგლისურ ენაზე..

ბოლოს გვინდა დაუმატოთ, რომ დიდი სიამოვნებით ვიწვევთ კითხვით ზვიად გამსახურდიას ეს ძვირფასი შრომა, რომელიც დაც ავტორი იჩენს ღრმა ცოდნას ამ საკითხისას. მხოლოდ, სამწუხაროა, რომ პატარა რიცხვით გამოიცა წიგნი.

ირაკლი ოთხმეზური

1986 წ. ზაფხული

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

პოეზიის განყოფილება

აიისის გახსენება დაიისის ჟამს

გინახიათ დილით მზის  
ლაღად ამოშუქება?  
ეს ხომ ღვთის წყალობაა,  
სიხარულის ჩუქება!  
გახსენდებათ ბავშვობა?  
ხანა უნეტარესი:  
ფერთა ულამაზესთა  
შუქი იმ ჩვენს მხარეში,  
უკარება გოგონას  
გული მოსათარეში.  
მისი სახის მსგავსების  
ძებნა სავსე მთვარეში,  
მოზღვავება გრძნობათა—  
სიყვარულის თარეში.  
ბავშვობა ჰგავს ძალიან  
მზის ამოსვლას დილითა,  
სუფთას, ხალისიანსა,  
სიცოცხლის წადილითა.  
თვალწინ მიდგას წარსული  
ტკბილი სინამდვილითა:  
ელვის გამონათება,  
კეთილი ღიმილითა,  
ჯოხის ცხენის ქენება,  
მღერით, შეძახილითა,  
გულგაღვლილ პერანგით,

აწვეტილი დილითა,  
ჩხუბი, ფარიკაობა  
მურყანის მახვილითა,  
სათევზაოდ გაპარვა  
ადრე, სისხამ დილითა,  
სხვის ბალიდან მოკურცხლვა  
მოპარული ხილითა.  
ვადღეგრძელებ „პატარებს“  
პატარა კინკილითა,  
ბევრ სიხარულს ვუსურვებ  
ყურძნის წვენიტ ტკბილითა.  
„მუხა ვარ ნამეხარი  
მოხლეჩილი მხარითა,  
ბავშვებს კოცნას ვუგზავნი  
ტოტებით გამხმარითა.“  
„დაისს“ ელოცავ კახურით  
ჩვენებური ღვინითა,  
პაპიჩემის ნაქონი  
ყნწით შევერცხლილითა.  
მთასა ვგეგარ ნისლიანს,  
თმებზე თეთრი თრთვილითა,  
სიბერის გზას ვადგეგარ  
სახით ფერმიხდილითა,  
წარსულს ვემშვიდობები...  
ფაფახით მოხდილითა.



## ყავილების „ფერებით“

გაზაფხულზე დიდ თვალებს რომ  
 გაახელს ეს ბუნება,  
 გაგაკვირვებს საკუთარი  
 გულის აბაგუნება!  
 გაიღვიძებს, აყვავდება  
 ულამაზეს ფერებით,  
 გინდა გული მოიოხო  
 ყავილების ფერებით!  
 ჩვენი ტურფა ქვეყანა  
 ედემს დანაფერები,  
 სურნელებით დამტკბარი  
 გული ანაგერები!  
 ჩვენებური ყავილები,  
 უთვალავი ფერები,  
 სუფთა ხელით, თბილი ხელით  
 ნაზად მოსაფერები!  
 ყაყჩოებს დაუნთიათ  
 დიდი ჭიაკოკონა,  
 გრძელწამწამა შავხალეა  
 მე გოგონა მეგონა,  
 ოხ, რა რიგად მინდოდა  
 გულში რომ ჩამეკონა!  
 იასამნებს მოსდებიათ  
 თეთრი კორიანტელი,  
 ეს ქათქათა თოვლია თუ  
 ყავილების ფანტელი?  
 ყავილები კოცნაობენ  
 ასე გამეტებითა,  
 უბეები აუვისიათ  
 ტკბილი კამფეტებითა.  
 შავფერს სხვა ფერების მტრობა  
 გულში გაუტარებია,  
 ამის გამო შავფერს მწვანე  
 ძაან გადამტერებია,

მწვანეს, ფერთა მოკარბებით,  
 შავი გაუმწვანებია!  
 ფოთლებზე რომ წვიმა წინწკლავს  
 ღარი დაუცერებიათ,  
 ყავილები ბანაობენ,  
 თმები დაუსველებიათ;  
 კაბები რომ გაუხდიათ,  
 ეს იმათი ფერებია!  
 მთის ცელქ წყაროს ჩანჩქერებზე  
 შხეფი აუმიღერებია,  
 იმ შხეფებზე ცისარტყლას  
 ყელი მოუღერებია!  
 ზღაპრულ ფერებს ჩიტუნები  
 ლაღად შეხმატკბილებიან,  
 ეს ფერების სიმღერაა,  
 თუ სიმღერის ფერებია?  
 აქ ფერების ზეიმია!  
 სად არიან იები?  
 ლურჯთვალეა იები,  
 ძნელად მოსაძიები,  
 გულში ჩამქრალ სიყვარულის  
 ცეცხლის გამაღვიები!  
 დამანახვეთ, სად არიან  
 ის პატარა იები,  
 ის დიდგულა იები,  
 დამიამონ მათი ნატვრით  
 გული ანატკიები!  
 სად არიან ვაჟას წაწალ-დობილები,  
 ვაჟას მკერდზე ყლებგადაქდობილები  
 ჩვენებური ყავილები,  
 არც რის დასაფერები,  
 ჩვენებურიმც დარჩებით,  
 სხვათ ნუ დაეფერებით!  
 „სანამ წავალ“ ჩასახუტად



\*\*\*\*\*



კიდევ დაგელერებით!  
„როცა წავალ“ თან წამყვება  
ყავილების ფერებით,

ლამაზების ფერებით  
გული ანამლერებით  
ფერები, ფერები, ფერები!..

ნოშრევან გალაშვილი  
16.08.1986.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

მ კ ვ ღ რ ე თ ი თ ა ღ ს ღ გ ე ბ ა ...

„ჩემი ნატვრაა: როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები,  
მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს: მცხეთას,  
მწიფობის: ჩემი დაბადების თვეში: სანთელს აანთებდეს  
ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ჩემს სახელს ახსენ-  
ებდეს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს“—გრ. რობაქიძე

გეძებ განდევილს ცოდვილ ბერლინში,  
შენც აქ გივლია დარღით მოსილით,  
შენს აჩრდილს ვხედავ ასვეტილს ნისლში,  
მწუხრის ზმანება არღვევს ცის ღუმილს.

\*

აქ ჩაგიმუხლავს მტრების დევნაში,  
უამმა დაგშხამა კაცი კეთილი,  
დგებარ მითიურ ღროთა დენაში,  
ვულკანის ძალით ამოხეთქილი!

\*

ჩემშიც იღვრება ქალღვევლთ სული  
და შენს ძებნაში დღენი მიდიან...  
რისთვის ისურვე აქ დასასრული,  
გესმის? მოგტირის მეგი, მინდია...

\*

ვერ შეურიგდი მძიმე ხვედრს, მონურს,  
გადაუხვავი იქნებ სწორ გზიდან;  
მე ვხედავ შენში წმინდანს, დემონურს,  
ანდამატივით მწვავ და მიზიდავ!

\*

შენს „ჩაკლულ სულის“ ვატარებ ძველ ჯვარს



და, სისხლით შესვრილს, კვლავ, გველს პერანგს  
 მე მწამს:  
 თუ წარღვნით დავიღუპებით,  
 ქვესკნელში ჩაგვთქავს ომის გრიგალი,  
 სიკვდილ-სიცოცხლე არის ტყუპები,—  
 მკვდრეთით აღსდგება დიდი გრიგოლი!  
 აუსრულდება ანდერძი-ნატრვა:  
 მცხეთის ტაძარში, მწიფობის თვეში,  
 ქართველი დედა — ლამარა, ნატა ...  
 სანთელს აუნთებს ლოცვით და ხვნეწით.

ბერლინი 1986

\*\*\*  
\*

შენ შორეულო, ჩემო იმედო,  
 ისევ მესიზმრე...და მე მჯეროდა,  
 შენს თბილ ბალიშზე მე თავი მედო,  
 სურნელი შენი მას შერჩენოდა.  
 ვკოცნიდი უხმოთ სასთუმალს, ბალიშს,  
 შენი სხეულის მესაიდუმლეს...  
 დღეს კვლავ ოცნებას იაღქნად გავშლი  
 და შორს გავყვები ჩემს ფიქრს მდუმარეს.  
 შენ შორეულო ჩემო იმედო,  
 უშენოდ ვგლოვობ, განუკურნელი...  
 მეგონა თავი შენს მკერდზე მედო  
 და კვლავ მათრობდა შენი სურნელი.  
 ვიცი, რომ თვალი მე მოვატყუე,  
 ქრება ოცნება, სი ზმრად ნახული...  
 ვფიცავ: მე მაინც ვრჩები შენი ტყე,  
 ქვეყნად ცოცხალი, თუ დამარხული!

ბერლინი 1985

ი. მეგრელიშვილი



ვიცი, იქ უკვე დათბა,  
 იქ გაზაფხული დგება,  
 ვიცი რიონმა რა თქვა,  
 შოდას რას ეუბნება;  
 რაზედ ოცნებობს ბუბა,  
 ან რას უყვება ჭანჭახს,  
 რატომ გადიძრო ჯუბა,  
 როცა მზე იწყებს ჩახჩახს;  
 ვიცი „მალა მთას მოდგა  
 უცხო ფრინველი“, ნორჩი,  
 იქვე „უღელეს ჩამოდგა“  
 შველი, სამოთხის მორჩი.  
 ჩიტუნა „თეთრფრთიანი,  
 ბლოწითელი“, კობტა,  
 წკრიალა, ერთხმიანი  
 ჰყვება გლოლას რა მოხდა.  
 რას გალობს ცვითელგულა,  
 რას ეძებს შავი შაშვი,  
 ბუდე ვინ შეიგულა,  
 საით იჩქარის არჩვი.  
 ესე ყველი ვიცი,  
 ამას გრძნობს ჩემი გული.  
 დედასთან ლაღობს კვიცი,  
 ველი აქვთ მოხატული.  
 ვიცი, იქ ჰყავის ია,  
 ყაყჩო მოჩითული,  
 ფერდობზე ხარობს ღვია  
 და გოგო მოჩიტული.  
 ვიცი, რუ მოჩხრიალებს,  
 არ ეკიდება რული,  
 თვალებს რომ აბრიალებს  
 ტყემალი შეთვალული.  
 რას ჰყვება ნაკადული,  
 რას ეუბნება მდელოს,  
 რომ მოუშუშოს წყული,  
 მკერდი რომ გაუთვლეს.

ვიცი, რას ბჰობენ ნიხნინოთქა  
 გაღმა დაბურულ ტყეში,  
 ჰანგები მოსალხენი  
 ისმის გზის მოსახვევში.  
 რას ჩასჩურჩულებს ნაზად  
 ფოთოლი ფოთოლს ბაღში,  
 ნაფენი ფიანდაზად  
 ყვავილნარების თაღში.  
 რას ბუტბუტებენ ტბები,  
 რას უყვებიან ლერწამთ,  
 მე მათზე ფიქრით ვტკბები,  
 მე მათ სიყვარულს ვძერწავ.  
 მაგრამ, ჩემთვის ეს ყველა,  
 ფიქრია, მხოლოდ ფიქრი,  
 და, როგორც ცისარტყლა,  
 ოცნებით მათკენ მივქრი.  
 მე მათი ხილვა მწყურდა  
 მთელი ცხოვრების გზაზე,  
 ვიცი, ის, რაც მე მსურდა,  
 არ გაიცვლების სხვაზე.  
 „გვაქვს უთვალავი ფერით“  
 ქვეყანა დაქარგული,  
 ვეტრფი მას აღმაფრენით,  
 მაგრამ ვარ დაქარგული.  
 უცხოობაში ღღვება  
 დღენი სამშობლოს გარე,  
 ვიცი, ვინ რასა ჰყვება,  
 მსოფლიო მოვიარე.  
 მშვიდობით საქართველოვ,  
 დედაღვისი წილხვდომილო,  
 მარადის სანატრელო,  
 სიკეთეე თვითშობილო.  
 მშვიდობით მთა და ბარო,  
 ჩემო შაორის ველო,  
 სხვა რაღა დავიბარო:  
 მიყვარხარ საქართველო!

მშვიდობით ჭალა-ტყნო,  
მოვაკლდი თქვენსა ცქერას,

მეტი რა მოგახსენოთ, ქრონული  
გული როს შეწყებტს მედიკალი

მარტი, 1945 - ივლისი, 1986.

ვ ე ღ რ ე ბ ა

ჰე, ნიკოლოზ წმიდავ,  
ო, მღვდელმთავარო დიდო,  
ჩემი სევდები მინდა  
ქედზე რომ დავიკიდო...  
მოვირბინო და შენს წინ  
მუხლები მოვიყარო,  
გითხრა თუ რატომ შეეცბი,  
ცრემლები გადმოვღვარო.  
წმიდაო, არა მგამა  
ლოცვით არ მოვიღვენთო;  
ნიკორწმინდელთა მამავ,  
ნიკორწმინდელთა ღმერთო.  
დრო უმალ მიტომც მიდის,  
რომ გული დაისეროს,  
პატრონო ნიკორწმინდის,  
ლოცვა მსურს დაიწეროს:  
ლოცვა ხალასი, წრფელი,  
უზადო, უნაკლულო,  
ისე, ვით ჩვენი რთველი,  
ცის კიდე უსასრულო.  
შენი ლუსკუმის ძალა,  
შენი იდაყვის მაღლი,  
ჯერაც კი არ დამცხრალა,  
ჯერაც ზემით დადის.  
შენი წყალობის ფარჩას  
თავს შევაფარებთ და ნუ  
გადააშენებ რაჭას,  
საკვირველთქმედო, ა, ნუ!

შენ ხარ უშრეტი წყარო,  
სასწაულების ბუდე;  
გვედრი: იხსენ სამყარო,  
ურღვევად შემოზღუდე.  
ამადაც მწადის შენს წინ  
მუხლები მოვიყარო,  
გითხრა თუ რატომ შეეცბი,  
ცრემლები გადმოვღვარო.  
მოძღვარო, თუმცა ცოდვა  
ყელას თავს აწვეს მძიმე,  
მაგრამ როდია ბოდვა,  
შეშლილის სიციმიმე,  
მე, რომ სევდების ქარგა  
დამაქვს საბრალო მწირის,  
ვინც უკვე დაიკარგა,  
ვინც მარადუამს ტირის...  
და შენგან ველი მე ხსნას,  
ჰემუნვა რომ ჩამომეხსნას,  
თ ვ ა ლ ი ა რ ა გ ვ ა რ ი დ ო ,  
გ უ ლ ი ა რ ა გ ვ ა რ ი დ ო ,  
შ ვ ე ლ ა ა რ ა გ ვ ა რ ი დ ო ...

გ ი ვ ი შ ა ო რ ე ლ ი  
1986, 23 ივლისი.

\*\*\*\*\*



შორელი

როცა სულში მზედარია,	მაინც რაა ჩემი რჯული?
და, გრძნობებში ყვავის ლექსი,	ცხოვრებიდან მე ბედკრულის,
მაშინ ვტოვებ ფიქრს დარდიანს,	უსახლკაროდ დასახულის,
სიყვარულის ციურ წესით.	ასე ქვეყნად დატანჯულის,
სად მივდივარ? განა ვიცი!	მაინც რაა ჩემი რჯული?!
ეს ქვეყანა ხომ დიღია;	ციცკრის კართან დანახული,
სუნთქვა დამაქვს გზებზე მიწის,	ეს ქვეყანა დიდებული,
მაგრამ სული ცას ჰკიღია.	რისთვის არის ჩემთვის კრული,
შრიალია. ვერხვის ფოთლებს	მაინც, რაა ჩემი რჯული?!
ახმაურებს ნელი სიო,	მისი მზე და გაზაფხული
შევცქერ ღამის ზეცის გოდრებს,	ჩემთვის ჰმუნვით დაბურული,
ვით განგების ღვთიურ სიონს.	ვით ვაება უსასრული;
რა მიტაცებს? მხოლოდ ერთი	მაინც, რაა ჩემი რჯული?!
უსაზღვრობის სიყვარული,	სევდის ჭირით დადაღული
მარადობის გრძნობა ღმერთის,	და ობლობით გამოხრული,
ყველა ტანჯვის დასასრული.	მაინც, რაა ჩემი რჯული?!
გამიზრდია სულში მხოლოდ	ვეძებ ყველგან დაზაფრული
ეს ციური სასწაული,	პასუხს, მაგრამ გაბზარული
როგორც გულის ხმა და ალო,	მრჩება მე ეს მუდამ გული.
ჩემი ლოცვა, ჩემი რჯული.	მაინც, რაა ჩემი რჯული?!

\*

ჯარისკაცის თქმული

კარგი მხედარი ის არის, ვინც დროზე ჰპოვებს გზა-ხიდსა,  
 გამოიცნობს და გაიკვლევს მტრის ფარულ ზრახვას და რიდსა,  
 ალღოს აუღებს, წარმართავს ბრძოლას ღიად და ფარულად,  
 გამოიყენებს იარაღს, და ცბიერებას ძალუმად.  
 ბრძოლის სულია გრძნობა, თავგანწირვა და ხან მეტი,  
 შიში სიკვდილის დარია, სძლევს იმას მხოლოდ იმედი.

ნოემბერი 1940.

გიორგი ტოგონიძე



\*\*\*\*\*



**შ ე ს ა ნ დ ო ბ ა რ ი**

(ბ-ნ ვალოდია კვაჭანტირაძის ხსოვნას)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ნურც დამიტროს სატრფომ გულისა!“

ნ. ბარათაშვილი

როს თმადათოვლილ გარდახვეწილს მამულის გზნება,  
სატრფოს სახმილებრ კაეშანით გულს ადეგზნება,  
თუმც არ ძალუძდეს ლექსთა ხევა პოეტის დარად,  
სადა სიტყვებით მის სალოცად აღიღინდება.

ამ ღიღინს ჩააქსოვს ნატრული მშობელი მიწის  
ლოცვას გულისას, სევდის, დარდის განსაქარვებლად  
და, თითქოს ამით ვალმოხდილი წარსდგება ღმერთთან,  
მის წმინდა სავანეს სამუდამოდ დასასვენებლად...

ეს იყოს თქვენი შესანდობარი, ვალოდია,  
შესმული, ვით წმინდა ზედაშე ქართლის ზვრებშია;  
თუმც მკერდს გიმძიმებთ უცხოეთის ქვა და ლოდია,  
მწამს, სული უკვდავი თქვენი ფრენს მშობელ მთებშია,—

რომ გადეფაროს, ვით მფარველ ანგელოზის კალთა,  
ვისც უვალობდით შორეთიდან, ვისთვისც მლოცველი,  
და, გაჭირვების უამს გულანთებულ მამულიშვილთ  
წინ მიუძღოდეს, ვით ღვთისმშობლის გაწვდილი ხელი.

შორით შთენილო, მით იცოცხლებთ სმარადისოდ,  
ხელთუქმნელ ძეგლად აგებული, პაწია ლექსით;  
რომ აღარ დარჩეს ეული და მიუხსაფარი,  
უცხო მხარეში დაშთენილი უცრემლო ლეში.

როზა აბნერაშვილი

ბათ იამი, 5.09.1986.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

**ბ ა ხ მ ა რ ო**

მოჩქეფს, მოხტის, მოცქრიალებს,  
მთიდან ნაზი, ცელქი წყარო,  
მზის სხივებზე მოთამაშე  
ნახოს, მორწყოს ეს სამყარო.

მალღა თევზი მას აჰყვება  
ეშურება, ეგუება,  
კუნთებს ცოცხლად ამოძრავებს,  
მძლავრად ნაკადს ეურჩება.

რისთვის გარბის თავდაღმართში სნეულებაშეპარულნი,  
 წყალი, რად ისწრაფვის ზღვაში, შენი ჰავით ბევრსა  
 კალმასს რად სურს ამალღება, იხარე და აღორძინდი  
 მთის კალთებზე გამრავლებზე შენ, ბახმარო, გაგვახარე!

უნდა ნახოს ბახმაროზე სალამს გითვლი შორი გზიდან  
 ტყე წიწვნარი, უმწევანესი, ჩემო კარგო, ტურფა მხარე,  
 ეს ჰაერი უნაზესი, ხსოვნა დამრჩა წაუშლელი,  
 კუთხე ყვლის უკეთესი. გამაცილებს მას სამარე.

### ორაკლი ოთხმეზური

\*\*\*\*\*

### ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო განყოფილება

მწუხარებით ვაუწყებთ გარდაცვალებას:

\*

მიმდინარე წლის 26 ივლისს, პარიზში, ბ-ნ კალისტრატე (კალე) სალიისას, რომლის ნაშთიც, ენსინერაციის შემდეგ, მიბარდა ლევილის სასაფლაოს.

\*

მ.წ. 27 აგვისტოს, პარიზის გარეუბან ქალაქ ისი-ლე-მულინო-ში, ქ.-ნ კატია მაქავარიანისას, დაბ. კატია ჰავა იმას, რომელიც დაიკრძალა პარიზის ბანიოს სასაფლაოზე.

\*

მ.წ. 1 სექტემბერს, ვაშინგტონში, ქალბატონ ირინე კვიტა-შვილისას.

\*

მ.წ. 14 სექტემბერს, ბრიუსელში, ქალბატონ ნათელა ბერეკა-შვილისას, რომლის ნაშთი, ენსინერაციის შემდეგ, 27 სექტემბერს დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

\*


მ.წ. 26 სექტემბერს, სოფ. ლევილში, ბ-ნ ილია თაყაიშვილისას. დასაფლავდა იქვე, ლევილის სასაფლაოზე.

\*

„გუშავი“ ღრმა დამწუხრებულ სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებს მათ ქირსეფალთ.

\*\*\*\*\*

ი ლ ი ა    თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი



როგორც ჩვენ ვლოცულობთ  
 ყველი ზიარების დროს,  
 ილია თაყაიშვილს წილად  
 ხვდა სწორედ ისეთი მშვი-  
 დი, ტკივილებისა და სულ-  
 თაბრძოლის გარეშე, სიკე-  
 დილი. თუ ვინმე ღირსი  
 იყო ასეთი სიკვდილისა,  
 ილია იყო პირველთაგანი.  
 და, თუ მისი სიკვდილი იყო  
 სამაგალითო, ჩვენ ვიცით,  
 რომ ცხოვრებაც მისი ასე-  
 თი იყო. ის ქეშმარიტად სა-  
 მაგალითო ადამიანი იყო, სა-  
 მაგალითო, ამ სიტყვის ნამდ-  
 ვილი და სრული მნიშვნელო-  
 ბით, ესე იგი, მისაბაძი მო-  
 დელი, რომლის მსგავსი უნ-  
 და იყოს ყველა ქართველი:



ილია და თამარ თაყაიშვილი ქორ-  
წინების 50 წლისთავზე  
\*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

პატიოსანი და ერთგული, მამაცი და გამრჯე, დამხმარე და ნუ-  
გეშისმცემელი, პურმარილიანი, დიდი მომთხოვი თავისი თავის  
მიმართ და დიდი სულგრძელი სხვათა მიმართ.

შეიძლება ყველგვარი რისკის გარეშე გამოიწვიოთ, ვინც არ  
უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია ილიაზე თქვას ერთი რამ მა-  
ინც ცუდი. თვით ილიას კი არასოდეს არავიზე ცუდი არ უთ-  
ქვამს. იშვიათია კაცი, რომელსაც სხვა არ დაეძრახოს. ასეთი  
გამონაცლისიც კია ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ურთიერთ  
შორის დამოკიდებულება ხშირად გამწვავებულია და რაც ხში-  
რად წლობით გრძელდება. სწორედ ასეთი გამონაკლისი იყო  
ილია.

ცხოვრების მძიმე ხვედრთა მიმართ, —გადმოხვეწილობა, საყვა-  
რელი ქალიშვილის ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობა, გულის-  
მომკვლელი მგლოვიარობა, —მან ყველთვის შეძლო ეჩვენებინა  
სამაგალითო დიდბუნებოვნობა.

აქ, დღეს, მნიშვნელოვანი რაოდენობით ლევილეთა დასწრე-

\*\*\*\*\*

ბა ილიას დასაფლავებაზე ბევრის მეტყველია, ის უჩვენებს, რომ მისი ადამიანური ღირსებები დაფასებული, გაფასებული არიან სხვებისგანაც. ეს გვაჩვენებს, რომ ილიამ შეძლო, მისი ქართველობის დაუკარგავად, ძალიან კარგად შეთვისებოდა ამ სოფელს, სადაც მან იქორწინა, იცხოვრა წლების განმავლობაში, მეზობლობდა და მეგობრობდა ყველას.

ქვეშაობით, ილია იყო ჩვენი ემიგრაციის სიამაყე და მისი უღვთო დაყარგვა ჩვენში იწვევს დიდ სიცალიერეს, რასაც ჩვენ უკვე ვგრძნობთ.

მისი ოჯახი ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ჩვენი დამწუხრებული თანაგრძნობით ვანუგეშოთ. დაე, სამუდამო იყოს ილიას ხსოვნა! დაე, ლევილის მიწა, რომელიც მას უჯარდა, მისთვის იყოს თბილი და მსუბუქი!

თამაზ ნასყდაშვილი

3.10.1986.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ჟორჟ დიუმეზილის გარდაცვალება

შაბათ საღამოს, ამა წლის 11 ოქტომბერს, პარიზის ვალ-დე-გრასის ჰოსპიტალში, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოში სახელგანთქმული ფრანგი მეცნიერი ჟორჟ დიუმეზილი, რამაც დააობლა არა მატრო ინდოევროპელთა ფართო ცივილიზაციის მეცნიერები, არამედ მრავალი სხვებიც და მათ შორის ქართველური და კავკასიური ენებისაც.

ის იყო დამარხული ცივილიზაციების, განსაკუთრებით ინდოევროპიულის, დაუღალავი და ნიჭიერი მკვლევარი, რომლის კვლევა-ძიებათა არე მოიცავდა სრულიად ევროპისა და აზიის კონტინენტებს. ის აღმომჩენი და მამამთავარია მისი „სამი ფუნქციის თეორიისა“: **საკრალური სუვერენობა, ძალა და ნაყოფიერება**, მთავარი მახასიათებელი ინდოევროპელთა პირველყოფილი ცივილიზაციის. ჟ. დიუმეზილის ეს სამმაგი სტრუქტურა გაზიარებულიქნა და მიღებული მსოფლიოს მკვლევარების, ფილოსოფოსების და ისტორიკოსების მიერ.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრება მან სწავლას მოანდომა. ის ფლობდა ოთხ ათეულ ენას, დაწყებული თანამედროვე და ძველი ინდოევროპულ ენებიდან, რომლებიც მან ღრმად იცო-

და, თურქული ენებით, როგორებიცაა: ოსმანური, უზბეკური, კაზახური, თუ სხვა შუა აზიის იდიომები, და დამთავრებული კავკასიური ენებით, რომლებიც მას განსაკუთრებით აინტერესებდა, მათ შორის უბიხური ენა, რომელიც გაქრობის წინაშე დგას, ე. დიუმევილს უნდა უმადლოდეთ, რომ ის სამუდამოდ არ დაეკარგა ენათმეცნიერებას. აწ განსვენებულ მეცნიერს ყვარებია ეთქვა, რომ: „უბიხების ენა“, რომელიც მან 1931 წელში გამოსცა, მისი უპსალის უნივერსიტეტის ლექტორობის დროს, „ჩემს გულთან ყველა სხვა ჩემს წიგნზე ახლოსააო.“

### მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ეორე დიუმევილი დაბადა პარიზში 1898 წლის 4 მარტს, ოფიცრის ოჯახში. ბავშვობა გაატარა საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში. ლიცეს დამთავრების შემდეგ, 1916 წ. შედის „ეკოლ ნორმალ სუპერიორ“-ში, მაგრამ 1917 წ. მას მობილიზაციით სამხედრო სამსახურში იწვევენ და საოფიცრო კურსების დამთავრების შემდეგ ორი წელიწადი იმყოფება გერმანიის ფრონტზე. 1919 წ. ის დემობილიზაციით ბრუნდება პარიზში, გადის „აგრეგაციას“ და ინიშნება პროფესორად ბოვეს ლიცეიში, სადაც ის დიდხანს არ რჩება, თხოულობს შვებულუბას, ერთხანს კერძო გაკვეთილებს აძლევს, რომ თავი ირჩინოს, ხოლო 1921 წ. ის ინიშნება ლექტორად ვარშავის უნივერსიტეტში, სადაც ის სამი წელი რჩება და სადაც ის ამთავრებს სადოქტორო თეზას.(*Le Festin d'Imortalite*)

1925 წ. ე. დიუმევილი ცოლს ირთავს და ქორწინების მერე დღეს მიემგზავრება თურქეთში, სადაც ის მიწვეულია რელიგიათა ისტორიის პროფესორად. სტამბოლის პერიოდი მეტად საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა ახალგაზრდა დაინტერესებულ მეცნიერისათვის. აქ ის ახლოს ეცნობა თურქულ და კავკასიურ ენათა სამყაროებს. კერძოდ, აქ დაიწყო მან უბიხური ენის შესწავლა და ის დაღუპვას გადაარჩინა.

1931 წ. ე. დიუმევილი ინიშნება ფრანგული ენის ლექტორად უპსალის უნივერსიტეტში, სადაც ის რჩება ორი წელი. შემდეგ კი ბრუნდება პარიზში, სადაც ის ინიშნება უმადლესი კვლევის ინსტიტუტში ინდოევროპელთა რელიგიების კომპარატიული შესწავლის განყოფილების უფროსად. სწორედ აქ იჩენს



თავს და ქვეყნდება ე. დიუმეზილის განთქმული აღმოჩენები რომელთა შედეგადაც მას ირჩევენ საფრანგეთის საფრანგეთის სადაც სპეციალურად მისთვის იქმნება ინდოევროპული ცივილიზაციის კათედრა. ამრიგად, 1949 წლიდან პენსიაში გასვლამდე, ე.ი. 1967 წლამდე, ე. დიუმეზილი რჩება საფრანგეთის კოლეჟში, მაგრამ იმავე დროს ის სომხური ენის პროფესორია აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში.

პენსიაში გასვლის შემდეგ, პროფ. ე. დიუმეზილი იწყებს საერთაშორისო კარიერას, ის ატარებს ლექციებს და კონფერენციებს ამერიკის უნივერსიტეტებში: პრენსეტონი, ჩიკაგო, ლოს ანჯელესი და სხვა. 1970 წელში პროფ. ე. დიუმეზილს ირჩევენ მეცნიერებათა და ლიტერატურის აკადემიის წევრად, ხოლო რვა წლის შემდეგ, საფრანგეთის აკადემიაში, განსვენებულ ჟაკ შასტენეს სავარძელში.

ნახევარი საუკუნის ნაყოფიერი შრომის ჯილდოდ კი მას მიენიჭება სინო დელ დუკას პრემია.

პროფ. ე. დიუმეზილი იყო ფუნქციონირით დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაკი, მას უკან რჩება უზარმაზარი გონებრივი მემკვიდრეობა: კლასიკური ხასიათის ორმოციოდე წიგნი და ასობით სტატია. მას ამ ზაფხულში ოთხმოცდარვა წელი შეუსრულდა, რაც საბაზი გახდა მისი შემოქმედებისა და პიროვნების მიმართ ფართო საზოგადოების ყურადღების გამახვილებისა. ჩვენც ის გუშავის მკითხველებს სულ პატარა წერილით წარვუდგინეთ ამის წინა ნომერში. მაშინ აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ის ასე ახლოს იყო მისი სხივოსანი სიცოცხლის დასაღიერთან. მას ბედი ჰქონდა, მის გონებას ხელის შეხება ვერ გაუბედა უწყალო დრომ, მას ბოლომდე უზადოდ შერჩა მისი ახალგაზრდული მეხსიერება და გონებამახვილობა.

მადლიერებითა და მოწიწებით ქედს ვიხრით მისი ახლად გაციებული ცხედრის წინაშე.

#### გუშავი

ე.დ.—ს ზოგიერთი სამაგიდო წიგნები: *Mythes romains* (3 ტომი), *L'Heritage indo-europeen a Rome, la Religion romaine archaïque, Mythe et epopee* (3 ტომი), *L'Heur et malheur du guerrier, Loki, les Dieux souverains des Indo-Europeens, Fetes romaines d'ete et d'automne, Romaines de Scythie et d'alentour, ...*

კალისტრატე სალიას გარდაცვალების გამო

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მ. წ. 26 მაისს, პარიზში, მის ბინაზე, გულის შეტევით უეცრად გარდაიცვალა, ემიგრაციაში ყველას მიერ ცნობილი „ბედი ქართლისა“-ს დირექტორ-რედაქტორი კალისტრატე (კალე) სალია. ენსინერაციის შემდეგ, 1 აგვისტოს, მისი ფერფლის ურნა მიბარდა ლევილის სასაფლაოს, მიხაკო წერეთლისა და გრიგოლ რობაქიძის გვერდით. სავარაუდებელია, რომ ისიც მათთან ერთად ელის სამშობლოში საზეიმო გადასვენებას. მანამდე კი, დღეს მისი დაკრძალვა უცნაურ მარტოობაში ჩატარდა. დავესწარიტ მხოლოდ ერთი ათეული ქართველი, უმრავლესობა ლევილში მცხოვრებნი და საერთოდ ისინი, რომლებიც მის ზოგიერთ საიდუმლოებით მოსილ ცხოვრების გზას არ ვიზიარებდით. გასაკვირი არ იყო, რომ მისი მეუღლე, ქალბატონი ნინო აქ არ იყო, რადგანაც ის, მძიმე ავადმყოფი, ლოგინად იყო ჩავარდნილი, მაგრამ უცნაური იყო, რომ მის უკანასკნელ მგზავრობას არ ესწრებოდა არც ერთი ახლო მეგობარი, ბედი ქართლისას ახლო თანამშრომელი, ან მეცნიერ-ქართველოლოგი.

ქ-ნი ნინო და ბ-ნი კალე გავიცანი სწორედ იმ ხანებში, როცა მათ „ბედი ქართლისას“ გამოცემა დაიწეს. ხშირად ვყოფილვარ მათ სტუმართმოყვარე ოჯახში, სადაც ბევრი საინტერესო თანამემამულე იყრიდა თავს, როგორც ადგილობრივი, ისე გერმანიიდან, ბელგიიდან, შვეიცარიიდან თუ სხვა ქვეყნებიდან პარიზში სტუმრად ჩამოსულნი თუ გზად გამვლენი. სხვათა შორის, აქვე პირველად გავიცანი გრიგოლ რობაქიძე. ორივე ცოლ-ქმარი ჩემს მიმართ კეთილად განწყობილი იყვნენ. ეს კეთილგანწყობა ჩემი პიროვნების მიმართ ბოლომდე დარჩა, მის შემდეგაც, როცა მე მათი ვიზიტებიდან ფეხი ამოვიკვეთე და საჯაროდ სხვებთან ერთად ვკიცხავდი. ბ. კალე არასოდეს უხეში და ანჩხლი არ იყო. ის ყველთვის ცდილობდა ტელეფონით თუ წერილით თავი ემართლებინა თავმდაბლურად, შემრიგებლურად, მეგობრულად. რატომ? ერთი უდავოა: მას ჩემი არც ეშინოდა და არც არავითარ სარგებლობას არ გამოელოდა ჩემგან. მე კი ვგრძნობდი და ვრწმუნდებოდი, რომ ის არ იყო კრისტალურად წმინდა და გამჭვირვალე პიროვნება, რაც სავალდებულოდ მიმაჩნია სამაგალითო საზოგადო მოღვაწისათვის. ის მაინც რაღაცას მნიშვნელოვანს გვიმაღავდა და

ზოგჯერ ისეთს, რომლის დამალვა ბოლოს და ბოლოს შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში მადნაცმელი ვარდა ეს კაცი და, როცა მისი გარდაცვალების ამბავი გავიგებ, გულწრფელად დავლონდი, მაშინვე ვეახელ სახლში ქალბატონ ნინოს, რომელიც მძიმე ავადმყოფი ლოგინში დამხვდა მწოლიარე, და სამძიმარი მოვახსენე.

მიუხედავად ყველივე ამისა, ჩემს ვალდებულებად მიმაჩნია, ვიყო ობიექტიური განსვენებულის ცხოვრებისა და ღვაწლის შეფასებაში.

როგორც აღვნიშნე, კ. სალიას პიროვნება ყველთვის გამკვირვალე და ნათელი არ იყო. მის დიდ საქმეს, რომელსაც „ბედი ქართლისა“ ეწოდება, თან სდევდა ჩრდილები, ჩრდილები არა უნებური, არა შემთხვევითი. არა, ის არ იყო იმპულსიური ბუნების, ამიტომაც ეს ჩრდილები არ შეიძლება აიხსნას მოუფიქრებლობით. დავასახელოთ ზოგიერთი და ისიც უდავო.

კ. სალია ეკუთვნის იმ 60 თუ 62 პატრიოტის ჯგუფს, რომელიც საოკუპაციო საბჭოთა ხელისუფლებამ ევროპაში გადმოასახლა, რომელთაგან, თუ არ ვცდები, ორია კიდევ ცოცხალი: ვაშინგტონში 90 წელს გადაბიჯებული, ჯერ კიდევ ქარმაგად ბრძანებული, ბ-ნი გიორგი ნაკაშიძე და 90 წელს მიტანებული მხცოვანი მოხუცი ბ-ნი გერასიმე ბოლქვაძე, პარიზში.

ახალგაზრდა კ. სალია საქართველოში აქტიური სოციალ-დემოკრატი ყფილა, მაგრამ, საფრანგეთში ომის წინ, მას, როგორც ბევრ სხვა გადმოხვეწილს, პარტიული შეხედულება გადაუშინჯავს, სოციალისტური პარტიის რიგები დაუტოვებია და ახლად შექმნილი „თეთრი გიორგი“-ს მოძრაობის აქტიური წევრი გამხდარა. ომის შემდეგაც კ. სალია ამ დარაზმულობის წარმომადგენლად გამოდიოდა და, როგორც ასეთი, წარმოდგენილი იყო ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ ორგანოში. არც მერე არასოდეს არ უარუყვია საჯაროდ ეს მისი პოლიტიკური პოზიცია. პირიქით, ერთ მის წერილში მწერდა: საქართველოში ამა და ამ პროფესორს მიეწერე, რომ ჩემი დევიზი იყო და არის: „საქართველო უწინარეს ყველისაო!“ მთელი ამ პოლიტიკური ცხოვრების უარყოფა, დაგმობა, მონანიება, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ მისი დამალვა შეუძლებელია. ჰოდა, ეს შეუძლებელი მან შეიძლო. იმისთვის, რომ საბჭ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ის საპატიო წევრად აერ-



ჩიათ, მან დამალა, ანდა დათანხმდა დაემალათ, მთელი მისი პოლიტიკური ცხოვრება და ამის შედეგია, რომ მისი თა ბიოგრაფები მის შესახებ წერენ: ვითომც ის საქართველოდან ევროპაში სასწავლებლად წამოვიდა, აქ რამდენიმე უნივერსიტეტი დაამთავრა და... დაიწყო "ბედი ქართლისას" გამოცემა. კიდევ მეტი, ჩემი რწმენით, მას როგორც ეროვნულ ემიგრანტს, მორალური უფლება არ ჰქონდა რაიმე წყალობა მიეღო მისი სამშობლოს საოკუპაციო ხელისუფლებისაგან, მათ შორის კი, რასაკვირველია, არც მათი მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრობა. მას ამაყად უარი უნდა ეთქვა ამ მოწამულ საჩუქარზე. კ. სალიამ კი პერიქით, მოწიწებითა და დიდი მაღლიერებით მიიღო და საჯაროდ მის „ბ.ქ.“-შიც დაბეჭდა მისი მაღლობის წერილი საბჭოთა საქ.-ს მეც. აკადემიის პრეზიდენტ ევგენი ხარაძისადმი. ნუთუ შეიძლება დავიჯეროთ, რომ მან, კ. სალიამ არ იცოდა თუ როგორ ხდება იქ „არჩევნები“ მეცნიერებათა აკადემიაში და მის სამეცნიერო ინსტიტუტებში.

ბევრად უფრო ადრე ზემოდ თქმულისა, ჩემთვის უდავო გახდა, რომ კ. სალია პოლიტიკური ემიგრანტისათვის შეუფერებელ დათმობას აკეთებდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ამას ის მაღაგდა. 1966 წელში, როცა შოთა რუსთველის 800 წლისთავს ვზეიმობდით, მან რაღაცის მომიზებებით ურთიერთობა გაწყვიტა ჩვენს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირთან, რომელიც იუბილეს თაოსნობდა და ამავე იუბილეს მოწყობაში ჩვენდა ფარულად თანამშრომლობდა „საფრანგეთ-სსრკ-ს, რა თქმა უნდა, კომუნისტურ-პროსაბჭოურ საზოგადოებასთან. ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით, მე მას წავაწყდი ამ საზოგადოების ბინის მახლობლად მომლოდინეს. ჩემს დანახვაზე ის შეცბუნდა, დაიბნა და ჩემს კითხვაზე: ბატონო კალე ვის ელოდებით აქ, მითხრა ისეთი ტყუილი, რომლის დაჯერება ჭკუათმყოფელ ადამიანს არ შეეძლო. ამ საკითხში მთავარი იყო, არა ის, რომ ის ფრანგების პროსაბჭოურ საზოგადოებაში თანამშრომლობდა, არამედ ის, რომ ის ამას გვიმაღაგდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს მისი „დამსახურება“ საბჭოთა პრესამ საჯაროდ გამოაცხადა და, მაშასადამე, კ. სალიას მიერ მისი ჩვენთვის დამალვა ტოლფასი იყო „შუბის ხალთაში დამალვის“.

მესამე დიდი და შეუწყნარებელი დათმობის მაგალითია მისი „საქ.-ს ისტორია“ (იხ. „*B. K. revue de Kartvelologie*“ **XXIX - XXX, 1972**), რომლის დამამთავრებელი ფრაზა ქართულად ასე გამოიყურება: „25 თებერვალს 1921 საქართველო იქნა გასაბჭოებული და ის დღეს წარმოადგენს ერთ თხუთმეტ რესპუბლიკათგანს, რომლებიც ქმნიან საბჭოთა კავშირს.“ და ამას მოსდევს პანეგირიკა მეცნიერების დარგში საბჭოთა საქართველოს მიღწევებისა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ზემოდ მოხმობილი ციტატა ეკუთვნის კ. სალიას „საქართველოს ისტორიას, რომელიც 1972 წლის „ბ. ქ.“-ში გამოქვეყნდა და არა შემდეგ ცალკე წიგნად გამოცემულ „ქართველი ერის ისტორიას“, რომელშიც მან შესწორება შეიტანა და, რომელსაც ცოტა უფრო ქვემოდ მოვიყვანთ.

ჩემი შთაბეჭდილებით, ეს კარდინალური საკითხი კარგად არ არის გარკვეული ემიგრაციის ფართო მასაში, ხოლო საქართველოში სრულებით არ იციან, რომ ამ საკითხზე დავა არსებობდა ჩვენთან, რადგანაც ერთადერთ საშუალებას აქედან იქ ხმის მიწვდენისა, რადიო „თავისუფლებას“ ამ საკითხზე კრინტი არ დაუძრავს, რადგანაც მაშინდელი მისი ქართული რედაქციის ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ ემიგრაციაში არსებულ განხეთქილებათა შესახებ საქართველოში არაფერი არ უნდა იცოდნენ. ამიტომ მოკლედ შევეხოთ ამ დავას და მის მნიშვნელობას.

კ. სალიას მიერ ნახმარი ზემოდ მოხმობილი ფორმულა მას არ გამოუგონებია, ის გადმოღებულია საბჭოთა ოფიციალურ ისტორიოგრაფიიდან. იქ თაობები იცვლებიან, ძველი ხელმძღვანელები კედებიან ან ძალით აშორებენ ხელისუფლებას, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების ვერსია, სხვადასხვა ვარიაციით და ერთი და იგივე შინაარსით, უცვლელია და დაახლოებით ასეთი შინაარსისაა: 1921 წ. 25 თებერვალს ქართველი მუშები და გლეხები, პროგრესულ ინტელიგენციასთან ერთად, აჯანყდნენ, დახმარებისათვის მიმართეს საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, რომელმაც თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა მოიხადა, წითელი არმია მოაშველა და ასე შეერთებულ ძალით დაამხეს რენეგატი და საერთაშორისო ბურჟუაზიის მარიონეტი მენშევიკური მთავრობა...



\*\*\*\*\*



ასეთ სიცრუეთა გაბათილება, როცა ისინი საბჭოთა ექსპრესიის კოსებიდან მოდიან, ადვილია, რადგან უცხოელმა მკითხველმა უკვე კარგად იცის, რომ მათ რეჟიმისაგან განსხვავებული აზრი არ შეიძლება ჰქონდეთ და, მაშასადამე, არც სანდო და დასაჯერებელი არიან. მაგრამ, როცა საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილის სტატუსის მქონე ავტორი დაახლოებით იმავეს წერს, რასაც საბჭოთა ოფიციალური ისტორიოგრაფი, მაშინ ისტორიული სინამდვილის უცოდინარი უცხოელი მკითხველი მას ენდობა, მას უჯერის და მისი გადაჯერება, თუ შეუძლებელი არა, ძალიან ძნელი ხდება.

გარდა ამისა, არის სხვა საშიშროება: წლები გაივლის და საბჭოთა ოფიციალური ისტორიოგრაფები, საჭიროების შემთხვევაში, თვით გამოიყენებენ ემიგრანტ კ. სალიას ნაწერს, „გასაბჭოების“ მათი ვერსიის გასამაგრებლად. არადა, ჩვენი დაპყრობის ამ ვერსიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ პერსპექტივაში, თუ რუსებმა შეძლეს და ქვეყანა დაარწმუნეს იმაში, რომ 1921 წელში რუსის ჯარებს კი არ დაუპყრიათ საქართველო, არამედ ქართველები თვით აუჯანყდნენ მის მთავრობას და თავიანთი სურვილით შეუერთდნენ რუსეთის საბჭოების კავშირს, მაშინ ეს იქნება ქართველი ხალხის მეორე დიდი დამარცხება.

ასეთი მნიშვნელოვანი დათმობის სიჩუმეში ჩატარება დანაშაული იქნებოდა. პასუხისმგებელი ემიგრაცია ვალდებული იყო ეს საჯაროდ ემხილებია, რაც კიდევაც გააკეთა პირველად ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარემ, აწ განსვენებულმა ლევან ზურაბიშვილმა. აქაც კ. სალიამ უღირსი გზა არჩია, საჯარო პასუხის გაცემის მაგივრად ჩუმი ინტრიგები დაიწყო, წერილებითა და ტელეფონით არწმუნებდა ხალხს: ლევან ზურაბიშვილმა მოხუცებული კაცი საფრანგეთის პოლიციაში დამასმინაო.

არც თხოვნებმა, არც პროტესტებმა არ გასკრეს, კ. სალიამ აღძრულ დავაზე საჯაროდ პასუხი არა და არ ინება, ხოლო პირად კერძო წერილებში იწერებოდა: ამის გამოქვეყნების ნებას არ გაძლევთო. გავიდა რამდენიმე წელი და ახლა ცალკე წიგნად გამოსცა ფრანგულად და ინგლისურად „ქართველი ერის ისტორია“, რომელშიც უჩუმრად შეიტანა შესწორება: „საქართველო გასაბჭოვდა რუსული წითელი არმიის მიერო.“

ქართველი ემიგრანტი ავტორისაგან მოსაწონი არც ეს არ-



ის. დასაშვები არაა, რომ ქართველმა ისტორიკოსმა, დედოფალ უცხოეთში გადმოხვეწილმა ნაციონალისტმა, საქართველოს ისტორიის სრული კურსის 500 - 600 გვერდიანი სახელმძღვანელო დაწეროს და წერტილი ჩვენი უკანასკნელი ეროვნული ტრადიციის წინ დასვას. ეს ნიშნავს, ნებისთ თუ უნებლიეთ, დათანხმდეს ჩვენი ერის მტრებს იმაში, რომ საქართველოს ჰქონდა ისტორია, მაგრამ აღარ აქვს და...აღარც ექნება. ასეთი დამღუპველი დათანხმებითაა გამსჭვალული არა მარტო მისი „ქართველი ერის ისტორია“, არამედ აგრეთვე „ბედი ქართლისას“ უკანასკნელი წლების ტომები. ვინ არ სწავლობს დღეს მკვდარ, დამარხულ ცივილიზაციებს: ეგვიპტის, ასურეთის, ბაბილონ-ურარტუს, თუ ელინურ-რომაულს. ჩვენი ეროვნული ასიმილაციის მოსურნენი კიდევაც დაგვეხმარებოდნენ ვქეჩოთ და ვჩხრიკოთ ჩვენი დამარხული ქართული ცივილიზაცია, თუკი დავთანხმდებოდით ხელი აგვეღო დღევანდელ და ხვალინდელ ეროვნულ პრეტენზიებზე. ასეთი დათმობა, ამაზე დათანხმება ყოვლად დაუშვებელია. ქართველი კაცის მოღვაწეობა უნდა სულდგმულობდეს იმ შეგნებით, რომ ქართველ ხალხს წარსულში შეუქმნია ღირსეული ცივილიზაცია, მას ხან გაუმარჯვნია, ხან დამარცხებულა, მაგრამ არასოდეს არ შერიგებია სიკვდილს, გადაშენებას, მკვდარ, დამარხულ ცივილიზაციად ქცევას, რომ აწმყოშიც ის ჯანდონით სავსე ჭაბუკია, რომელიც ხარობს, იბრძვის და იღწვის, რათა ქართული ცივილიზაცია მომავალში კიდევ უფრო თავისთავადი, კიდევ უფრო სრულყოფილი და კიდევ უფრო სხივოსანი იყოს, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა.

კ. სალიას ნიჭთან, ცოდნასთან და ორგანიზატორის უნართან ერთად, ამბიციებიც დიდი ჰქონდა, რაც ხშირად სასარგებლოცაა, თუ ის გადაჭარბებული, ავადმყოფური არაა. ასეთი კაცი რამ მიიყვანა საკუთარი წარსულის დამალვამდე? რამ აიძულა დათმობა და ისიც შეფარულად, ჩემთვის უცნობია და, მაშასადამე, ვერც მისი სულის მსაჯული ვიქნები. დაე, ღმერთმა შეუნდოს მას მისი ნებისთ თუ უნებლიეთ შეცოდებანი.

ამის შემდეგ რჩება მისი ლიტერატურული და გამომცემლობითი შრომის შეფასება. ეს შრომაა „ბედი ქართლისას“ ხუ-

თი ათეული წიგნი, რომელსაც მან თითქმის 40 წელწადრ მთა  
ახმარა მთლიანად და, რომელიც დიდი შრომატევადი და მძიმე  
უქვეყლად ასაზრდოებდა სამშობლოს დიდი სიყვარული, მშო-  
ბლიური კულტურის მსახურების მოწოდება. ამ შრომის ნაყო-  
ფის ზუსტი დაფასება მხოლოდ პირუთვნელ მომავალს ძალუძს.

„ბედი ქართლისა“, მისი შინაარსითა და ფორმით, თანამშ-  
რომლებითა და მოწოდებით, კრებულთა ორ განსხვავებულ ცი-  
კლს წამოადგენს: დასაწყისიდან სამოციანი წლების პირველ  
წლებამდე და 1957 წლიდან 1984 წლამდე. პირველი ნაწილი  
ქართულენოვანია, ქართველ გადმოხვეწილთა თანამშრომლობით:  
მასში წარმოდგენილი არიან ჩვენი ემიგრაციის მოაზროვნე-  
თა იმდროინდელი ელიტი: გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ წერეთე-  
ლი, თამარ და აკაკი პაპავა, მიხეილ თარხნიშვილი, პროფ.  
მიხეილ მუსხელიშვილი, პროფ. ალექსანდრე ნიკურაძე, ექიმი  
ვახტანგ ღამბაშიძე, ალექსანდრე მანველიშვილი, გიორგი  
ნოზაძე, მერაბ კვიციანი, ექ. გივი კობახიძე, პოეტები:  
გიორგი გამყრელიძე და გიორგი ყფიანი და სხვები. ამ კრე-  
ბულებში წმინდა ლიტერატურასთან და საერთოდ კულტურის  
საკითხებთან ერთად ქართული ეროვნული პოლიტიკაც დავიწყ-  
ბული არ არის, მასში ისმის თანადროულობის მაჯისცემა და  
მით, წარსული და აწმყო ურთიერთ კავშირშია. მაშასადამე,  
მომავლის იმედებიც არსებობს. ამდენად, „ბ. ქ.“-ს ეს ნომრე-  
ბი ჩვენი ემიგრაციის თანადროულობის უმნიშვნელოვანესი  
ძეგლია, ეროვნული კულტურის საგანძურში.

სულ სხვაა „ბ. ქ.“-ს მეორე პერიოდი, რომელსაც სათაურად  
„Revue de Kartvelologie“ ემატება. ის უმთავრესად ფრან-  
გულ ენაზეა, მაგრამ მასში ხშირად იბეჭდება სტატიები გერ-  
მანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზედაც. მასში თანამშრო-  
მლობენ დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების მე-  
ცნიერ-ქართველოლოგები, ხოლო ქართველებიდან კრებულში  
თანდათან სულ უფრო მეტად თანამშრომლობენ საბჭოთა სა-  
ქართველოს მეცნიერები. რაც შეეხება ემიგრაციას, რა თქმა  
უნდა, ბევრი ძველი გამოჩენილი ავტორი გარდაიცვალა, მაგ-  
რამ ცოცხლებიც აღარ თანამშრომლობენ და უნდა ვივარაუ-  
დოთ, რომ კ. სალიასაც აღარ აინტერესებს ისინი.

კ. სალიას „ქართველოლოგიის“ კრებულში თანამშრომლობდენ  
უცხოელ ქართველოლოგთა თითქმის ყველა დიდი საერთაშორი-

\*\*\*\*\*

სო სახელის მქონე ქართველოლოგ-კავკასოლოგები, რომელთა სტატიები ძვირფასი შენაძენია ამ მხარის ხალხების ცნობა და კულტურათა შესწავლის საქმეში. კრებულები შესანიშნავად მაღალ დონეზეა გამოცემული: პირველხარისხოვან ქალღღმად, მდიდრულად დასურათხატებული, ერთი სიტყვით, ნამდვილი აკადემიური ხასიათის კრებულები. მათი ერთადერთი ნაკლი, ჩემის აზრით, და, რაც უკვე აღვნიშნე, ეს ისაა, რომ ისინი მდუმარებენ კავკასიის ხალხების ენისა და კულტურის დღევანდელ ბედზე და მით მათი გამომცემელიც და მისი მეცნიერი თანამშრომლებიც ქედს იხრიან საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმის წინაშე.

გ. წერეთელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

## იაროსლავ სტეცკოს გარდაცვალება

5 ივლისს 1986, ქალაქ მიუნხენში, 74 წლისა, გარდაიცვალა უკრაინის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ერთ-ერთი მთავარხელმძღვანელთაგანი იაროსლავ სტეცკო.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინ, სრულიად ახალგაზრდა ი. სტეცკო უკრაინის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს წევრი იყო, რომელსაც სტეფან ბანდერა მეთაურობდა. ომის დაწყებისთანავე ამ მოძრაობამ უკრაინის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მთავრობის თავმჯდომარედ ახალგაზრდა ი. სტეცკო დანიშნა. გერმანელებისათვის ეს მოულოდნელი იყო, მის წინააღმდეგ ღონისძიება არ დააყოვნეს: 1941 წლის 5 ივლისს დააპატიმრეს ს. ბანდერა და 12-ში ი. სტეცკო, ორივე საკონცენტრაციო ბანაკში გამოამწყვდიეს, სადაც მათ დაჰყვეს 1944-ს სექტემბრამდე. მათი პატიმრობის დროს, დამოუკიდებელი უკრაინის მოძრაობის წიაღში შექმნა შეიარაღებული წინააღმდეგობის არმია, რომელიც ჯერ გერმანიის ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა, შემდეგ კი წითელი არმიისა. უკრაინის ამ ნაცონალისტ პარტიზანებს საბჭოთა მთავრობამ „ბანდერას ბანდები“ უწოდა და მათ წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა გააჩაღა, მაგრამ მათი შეიარაღებული წინააღმდეგობის დაძლევა 1952 წლამდე ვერ შეძლეს. 1959 წელს კაგებეს აგენტმა მოჰკლა

\*\*\*\*\*

სტეფან ბანდერა. ომის შემდეგ ი. სტეცკო მუდამ ს. ბანდერას მარჯვენა ხელი იყო, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ ბის შემდეგ ის იქნა არჩეული ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

ი. სტეცკო სიკვდილამდე ანტიბოლშევიკური მოძრაობის საყოველთაოდ პატივცემული პოლიტიკური მოღვაწე იყო, არა მხოლოდ უკრაინის მასშტაბით, არამედ მის ბედში მყოფ ყველა სხვა ხალხთა დევნილთა მიერაც და საერთოდ საბჭოთა ტირანულ იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ პოლიტიკურ სამყაროს მიერ. 1983 წელში ის თეთრ სახლში მიიღო პრეზიდენტმა რ. რეიგანმა.

ქალბატონ სლავას, მის მეუღლესა და თანამებრძოლს, და ყველა მის თანამებრძოლთ ჩვენი გულითადი სამძიბარი.

გუშაგი

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

ქ რ ო ნ ი კ ა

აკაკი შანიძის იუბილისთვის. მსცოვან დიდ მეცნიერს, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანს და პროფესორს, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს აკაკი შანიძეს მომავალი წლის თებერვალში დაბადებიდან ასი წელი შეუსრულდება. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა მისი საიუბილეო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზია. („კომუნისტი“ 29.06.86)

\*

ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოება. წელს ივლისში ქალაქ ოსლოში შესდგა „ევროპის კავკასიოლოგთა“ საზოგადოების საერთო მორიგი კრება, რომელმაც საზოგადოების პრეზიდენტად აირჩია ახალგაზრდა ინგლისელი კავკასიოლოგი, ბატონი ჯორჯ ჰიუიტი, ხოლო საპატიო წევრობა შესთავაზა: პროფესორ აკ. შანიძეს და ამჟამად უკვე გარდაცვლილთ: ფრანგ პროფ. ჟორჟ დიუმევილს და ნორვეგიელ პროფ. ჰანს ფოგტს. აღნიშნული საზოგადოების პირველი კრება გაიმართა ქ. ჰულში 1983 წელს და მისი ინიციატორი გახლდათ ბ. ჯ. ჰიუიტი. ბ-ნმა ჯორჯმა დოქტორობის ხარისხი მიიღო 1981 წელს, კემბრიჯში და ამჟამად გამოსაცემად ამზადებს სადისერტაციო წიგნს. ენათმეცნიერი-გრამატიკოსი, ის საუცხოოდ ფლობს საერთოდ კავკასიურ ენა-კილოკავებს და კერ-



ძოდ, ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებს. მისი სალიტერატურო ქართული ენით დაწერილი წერილები, მისი მომავლის ენათმეცნიერია. მას ჩვენგან მეტი ყურადღება ეკუთვნის, ჩვენ რომ ასე ღარიბები და დაუღვრები არ ვიყოთ.

### ვეროპის ლინგვისტა საზოგადოება.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებულმა „ვეროპის ლინგვისტა საზოგადოებამ“ წელს საზოგადოების პრეზიდენტად აირჩია ჩვენი თანამემამულე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომელიც 1942 წლიდან ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი იყო. ის აგრეთვე ითვლება „ამერიკის შშ-ს“ „ლინგვისტა საზოგადოების“ საპატიო წევრად. თ. გამყრელიძე, -საქ-ს მეც. აკადემიის გიორგი წერეთლის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, -რუს პროფესორ ვიჩესლავ ივანოვთან ერთად, ავტორია ვრცელი ნაშრომის: „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“, რომელიც ყრახზე აყენებს ამ უმნიშვნელოვანესი ცივილიზაციის შესახებ მანამდე გაბატონებულ წარმოდგენებს და, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ამ ცივილიზაციის მსოფლიო მეცნიერთა შორის.

### „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტომი X

გაზეთ „კომუნისტი“-დან გავიგეთ „ქ. ს. ე.“-ის X ტომის გამოცემა, სექტემბრის თვის პირველ რიცხვებში. აღსანიშნავია, რომ პარიზში ჯერაც არ მიუღიათ ხელისმომწერთ ამ ენციკლოპედიის IX ტომი, რომლის გამოცემაც ერთ წელზე მეტია, რაც მის მკითხველებს აუწყა იგივე გაზეთმა.

### ვარძიის 800 წლისთავი.

ვარძიის შესანშნავ გამოქვავბულის ციხე-სიმაგრე-სამონასტრო კომპლექსს რვაასი წლის ხნისას ანგარიშობენ და წელს სექტემბრის პირველ რიცხვებში აღინიშნა ეს დიდი ისტორიული თარიღი. პარასკევს 3 სექტემბერს ქ. ასპინძაში გაიხსნა შოთა რუსთაველის მუზეუმი, ადგილობრივი სახალხო უნივერსიტეტისა და საქ. მეც. აკადემიის გაერთიანებული სესია მიეძღვნა ვარძიის 800 წლისთავს. მეორე დღეს, თვით ვარძიაში გაიმართა გამოქვავბულის საიუბილეო სახალხო დღესასწაული.

### ვეფხისტყაოსანი არაბულად.

დამასკოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ბ-ნ ლევან

\*\*\*\*\*

საღარაძის ინიციატივით, ხარჯითა და მზრუნველობით სირიელ-  
 აში ითარგმნა არაბულად და გამოიცა შოთას უკვდავების  
 მა, რომლის თარგმანი შესრულებულია სირიელი მწერლისა და  
 ლიტერატორის ბ-ნ ნიზან ხალილის მიერ. გაზეთ „კომუნის-  
 ტში“ (31.08. 1986.) გამოქვეყნებულია ბ-ნ გურამ ჩიქოვანის  
 სტატია: „პოეზიისა და სიბრძნის ანკარა წყარო“, რომელ-  
 შიც აღწერილია ამ გამოცემის ისტორია და ნათქვამია, რომ  
 თარგმანი შესრულებულია მაღალ დონეზე და დიდი წარმატე-  
 ბით სარგებლობს არაბულ სამყაროში.

**ვეფხისტყაოსანი იაპონურად.**

ავგისტოში თბილისში იმყოფებოდა იაპონელი პროფესორი  
 ფუკასი ოტანი, რომელიც რუსულ კათედრას განაგებს ტენ-  
 რის უნივერსიტეტში. ბ-ნ ფ. ოტანის თბილისში ყფნა გა-  
 ნპირობებული იყო იმით, რომ ის მასალებს კრებს რუსთავე-  
 ლზე, რადგანაც გადაწყვეტილი აქვს ვეფხისტყაოსნის თარგმნა  
 იაპონურად და მისი გამოცემა მეცნიერული შენიშვნებით.  
 ცნობისათვის: იაპონურ ენაზე უკვე არსებობს ვეფხისტყაოსა-  
 ნი, ბ-ნ იპეი ფუკუროს მიერ თარგმნილი.

**ინგლისელი პროფესორი თეოდორ შანინი თბილისში.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის საქ. ისტორიის, არქეოლო-  
 გიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში წელს სამუშაო მივლი-  
 ნებაში იმყოფებოდა მანჩესტერის უნივერსიტეტის სოციოლო-  
 გიის კათედრის გამგე პროფ. თეოდორ შანინი. ინგლისელი  
 პროფესორი განსაკუთრებით დაინტერესებული ყფილა განვი-  
 თარებადი ქვეყნების აგრარული საკითხებით და, საქ-ს მეც.  
 აკადემიის სწავლული მდივნის ა. ავალიანის საწინააღმდეგოდ,  
 ბოლშევიკური რევოლუციის წინა რუსეთიც ასეთად მიაჩნია.  
 მას თურმე განსაკუთრებით აინტერესებს 1905 წლის რევოლუ-  
 ცია საქართველოში, რომლის შესახებ ფაქტური მასალების  
 შეგროვება ყფილა მისი მივლინების მიზანი.

პროფ. თ. შანინმა ა. ავალიანისადმი მიცემულ ინტერვიუში,  
 სხვათა შორის განაცხადა: „დღემდე ინგლისურად არ არსებო-  
 ბს საქართველოს ისტორიის რიგიანი ნაშრომი“-ო. მისივე  
 თქმით, აშშ-ში ყფილა სომხური წარმოშობის ისტორიკოსი,  
 მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი რონალდ სუნი, რომე-  
 ლსაც სპეციალურად კარგად შეუხსწავლია ქართული ენაც.

მას თითქმის მზად ჰქონებია 600 გვერდიანი საქართველოს ისტორია, რომელიც „ამ ხარვეზს შეავსებს“, აცხადებს ბ-ნი შანიანი. საინტერესოა, რომ პროფ. შანიანს არც კი უბსენებია ქალბატონ კეთრინ ვივიენის მიერ თარგმნილი კ. სალიას „ქართველი ერის ისტორია“.

### ჩემპიონატები მსოფლიო პირველობაზე ქადრაკში

სექტემბერ-ოქტომბერი მარტო პოლიტიკის ფრონტზე არ ყოფილა დაძაბული, საჭადრაკო ფრონტზეც შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობდნენ მსოფლიო ჩემპიონის დიდად საპატიო წოდების მოსპობვებლად. მამაკაცთა შორის, რუსი ანატოლ კარპოვი ერკინებოდა სომხურ-ებრაული წარმოშობის აზერბაიჯანელ გარი კასპაროვს; ქალთა შორის კი, რუსი ჩემპიონი ელენე ახმილოვსკაია ცდილობდა დედოფლობის გვირგვინი ჩამოერთმია ქართველ მაია ჩიბურდანიძისათვის.

კასპაროვ-კარპოვის ბრძოლა თავიდან პირველის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. მეჩვიდმეტე პარტიიდან სამი პარტია ზედიზედ მოიგო კარპოვმა და ქულები გაათანაბრა. საშახმატო წრეებში შეიქმნა სენსაციური მდგომარეობა: კასპაროვი დაკარგავდა ჩემპიონობას, რასაც ასე ცდილობდა საბჭოთა ხელმძღვანელობა? კასპაროვმა მაინც გაიმარჯვა საბოლოოდ. გვიან გამოქვდავდა, რომ ერთ-ერთი მისი სეკუნდანტი გარი კასპაროვს ღალატობდა, რის გამოც მას წაუგია ის სამი პარტია. კასპაროვს მოღალატე თავის რიგებიდან გაუძევებია და ამის შემდეგ დამარცხებათა სერიაც დამთავრებულა. ნაკლები ემოციებით ხასიათდებოდა ქალთა ქიშპობა. მაია ჩიბურდანიძის უპირატესობა თავიდან ბოლომდე აშკარა იყო და ქართველმა ჩემპიონმა მეოთხედ დაიდგა თავზე დედოფლის გვირგვინი. როგორც ცნობილია: მაიამ 1978 წელს ჩამოართვა გვირგვინი ასევე ოთხგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს. ამრიგად, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქადრაკის მსოფლიო დედოფლის გვირგვინი საქართველოშია. ვაშა ქართველო ქალებო.

### ბალშოის თეატრი და ნინა ანანიაშვილი.

მოსკოვის ბალეტის დიდი თეატრი ოქტომბერში საგასტროლოდ ეწვია პარიზს. საერთო აზრია, რომ ახალი არაფერია, რაც წარსულ გასტროლების დროსაც არ ეჩვენებინოთ, სამაგიეროდ



ძველი პიესები შესანიშნავად დახვეწილია. ვარსკვლავები ვერძული ვაჟები მკრთალი არიან, ქალნი კარგნი, მაგრამ არაინფორმირები. დახელოვნებული მათრებლები ლორწეტებს იმარჯვენ და... ჰა, ვარსკვლავებით მოჩითულ ცის კაბადონზე ხელავენ ნინა ანანიაშვილის ამომავალ ვარსკვლავს.

მაგალითად, ბ-ნი მარსელ მიშელი გაზეთ „ლო მონდ“-ში წერს: „ეიზელი“ – კლასიკური ბალეტი გრიგორევიჩის ახალი დადგმა, რომელიც პეტიპასგან მოდის, ქალები შესანიშნავია, კაცები ნაკლებად. აღარ ჩანან ჰორიზონტზე ბარიშნიკოვები და ვასილიევიები. ძველი ვარსკვლავებიდან: ლიუდმილა სემენი-აკა, ნინა სემიზონოვა და ნადეჟდა პავლოვა კარგებია, მაგრამ ახალი ამომავალი ვარსკვლავებიდან: ნინა ანანიაშვილი.“ „მათრებელმა შეიფარა ნინა ანანიაშვილი, – 22 წლის ვარსკვლავი, ახალი აღმოჩენა, რაღა! წარმოშობით საქართველოდან, ბალეტში არტისტული პატიანაყიდან მოსული, – ისაა ზუსტად ახალგაზრდა მკვდარი, რომელზედაც თეოფილ გოტიე ოცნებობდა. მის ქერა და მსუბუქი პარტნიორთან ერთად, მას სიახლე შემოაქვს ამ ძველ ამბავში.“ მ. მიშელი სტატიის ქვესათაურშივე ამბობს: „ძნელია თქმა, ვინ გახდება მომავლის დიდი ვარსკვლავი, შეიძლება ნინა ანანიაშვილიო.“

სასიამოვნოა, მეტად სასიამოვნო!.. მაგრამ თავისთავად მოდის სულმნათ ილიას სიტყვები:

„ვისტყვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?

შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?“ თუმცა იმასაც ვფიქრობ: ვაითუ მიხეილ ქავთარაძეს არ მოეწონოს ილიას ასეთ ადგილას გამოყენება.

გულბათ გულბათიშვილი

\*\*\*

– 25 აგვისტოს 95 წლის ასაკში გარდაიცვალა ბ-ნი გიორგი ჩიტაია. განსვენებული იყო ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, საქ-ს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, მეც. აკადემიის აკადემოკოსი.

\*\*\*

– 2 სექტემბერს, ოსლოში, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი ბ-ნი ჰანს ფოგტი.

\*\*\*\*\*

- 13 ოქტომბერს 93 წლის ასაკში გარდაიცვალა მწერალი სერგო დავითის ძე კლდიაშვილი და დიკრძალა 19 ოქტომბერს დიდუბის მწერალთა პანთეონში.

\*\*\*\*\*

L'association „Solidarite Georgie“  
15, Av. Robert Schuman 75007 Paris

კ ო მ უ ნ ი კ ე

საზოგადოება: „სოლიდარობა საქართველო“, დევილ-შევიწროებულ ქართველთა დამხმარე კომიტე, რომელიც ოფიციალურად დაარსდა 1985 წლის 3 ივლისს, მის წევრთა პირველ საერთო კრებას იწვევს კვირას 14 დეკემბერს 1986 წელს 15 საათზე, პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის ბინაზე: 6 - 8, Rue de la Rosiere, Paris(15), რომლის დღისწესრიგშია: საზოგადოების დამფუძნებელი კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და ახალი კომიტეტის არჩევა. ყველა წევრს უმორჩილესად ვთხოვთ მონაწილეობა მიიღოს მასში.

მეორე მხრივ, ისინი, ვინც ჯერ კიდევ საზოგადოების წევრად არ გამხდარან, ნუ დააყოვნებენ წერილობით მიმართონ კომიტეტს თავში აღნიშნულ მისამართზე, რათა მიიღონ წევრობის შესავსები ფორმულა (თუ შემოწირულებებს ეს შევსებულ ფორმულები არ ახლავთ, შემოწირულებები ითვლება ანონიმურად). როგორც გამონაკლისი, ხელის მოწერა შესაძლებელია კრების დაწყების წინ, 14 ს. და 30 წუთიდან.

პატივისცემით ტარიელ ზურაბიშვილი (თავ-რე)


\*\*\* \*\*\* \*\*\*

მ ო წ ო დ ე ბ ა

ჩვენი სამშობლოს დაპყრობის 65 წლისთავზე ჩვენი ემიგრაცია პოლიტიკურად დაშლილია, ჩვენი სამშობლოს მპყრობელი საბჭოთა ხელისუფლება კი თითქოს გამარჯვებული და მყარი გამოიყურება. ეს მხოლოდ მოჩვენებითია. ბრძოლა გრძელდება მსოფლიო მასშტაბით. ხალხთა განთავისუფლება გარდუვალია. როგორც სხვა კოლონიური იმპერიები, საბჭოთა ტირანული



\*\*\*\*\*



იმპერიაც დაშლას ვერ აცდება, მასში ძალით დაბორცვილი ყველა ერები განთავისუფლდებიან და მათ შორის, ქართველებიც. ამ ერთსა და იმავე დროს დიად საკაცობრიო და ეროვნულ ბრძოლაში ჩვენმა ემიგრაციამაც რომ ღირსეული როლი ითამაშოს, საჭირო და აუცილებელია ყველა ჩვენთაგანის შემოკრება და ერთად დარაზმვა, განურჩევლად პარტიულობისა და რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსისა.

ამეამად, პარიზში, ამ მიზნით ადგილი აქვს ინიციატივას, რომლის მიმართვაც, უცხოეთში მცხოვრებ ყველა თანამემამულეთადმი, აღარ დააყოვნებს. მოგიწოდებთ, რომ გულმხურვალედ გამოეხმაუროთ მას.

გიორგი წერეთელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ბავშვობისა და ყრმობის მოგონება  
(დასაწყისი იხ. 8,9 და 10 ნომრებში)

ჩვენი „ვასო“ ვირი

ჩვენში ყველა ოჯახს ჰყავდა თითო ვირი. ძალიან ადვილი შესანახია და ყველა სამუშაოსთვის გამოსადეგი. მეტი წილი ვენახების ველზეა და დაშორებული არა ნაკლებ 3-4 კმ.-სა. ვენახში მიდიოდნენ დილით ადრე, მიჰქონდათ სასმელ-საჭმელი. სასმელ-საჭმელი და ვენახისთვის საჭირო იარაღი ვირს მიჰქონდა. გურჯაანი გომბორის მთების კალთებზეა, მისი სიგანე 8-9 კილომეტრია და შესდგება 5 უბნისგან: ძაღლის უბანი, სახასო, ხევის უბანი, ნათლის წმინდის უბანი და კოტეხი. ყველა ეს უბნები ხეებით იყვნენ დაშორებულნი, რომლებშიც გარდა წვიმების დროისა წყალი არ იყო, წვიმების დროს კი მიჰქონდა ხეები და ლოდები.

გურჯაანში წყალი ძალიან ცოტა იყო, ყველა უბანში იყო ერთი ან ორი წყარო. შემოდგომაზე და ზამთარში მილში წყალი სამსე გამოდიოდა, მაგრამ ზაფხულში, განსაკუთრებით ივლის-აგვისტოში, როცა დიდი სიცხეები იყო, წყალი მილში ცოტა იყო, ერთ ხუთლიტრიან კოკის ავსებას 5 წუთზე მეტი უნდებოდა. ამიტომ დიდი რიგი იდგა წყალზე, სადაც განსაკუთრებით ქალები მოდიოდნენ, რასაკვირველია, ვირებით. ვირი აქ დიდ როლს ითამაშობდა. მასზე ეკიდა ორი კოკა,

რომლებსაც ორ საკოკეში დგამდნენ და კოკები გადაბმული იყვნენ ერთმანეთზე და ხისგან იყო გაკეთებული. ვერც ვიყავი ზმული იყო „კურტნით“, კურტანზე გადაჰკიდებდნენ საკოკეს და ქვეშ ორივე საკოკეს თოკით აბამდნენ ისე, რომ ვირის სიარულის დროს კოკები არ ინძრეოდნენ. ვენახის მოსაწამლათ კიდევ ვირებს ხმარობდნენ. ვენახებში ყელას ჰქონდათ ხილი და ამისთვისაც ვირი იყო საჭირო. წნელით დაწნულ გოდრებს ერთმანეთზე აბამდნენ და ვირზე ჰკიდებდნენ. მთიდან ფიჩხი მოჰქონდათ თორნის გასახურებლად თუ ზამთრისთვის შეშა, ესეც ვირის საქმე იყო. წისქვილში საფქვავის წასაღებად და სხვა. როგორც ხედავთ, ვირი ძალიან საჭირო იყო.

მეც მყავდა ვირი, ვეძახდით „ვასოს“. ის ბიძაჩემმა მომცა (დედის ძმა), როცა ორი წლის იყო. მიხაკის ფერის ბალანი ჰქონდა, დახუჭუჭებული. მარტში ბალანს იცვლიდა, გრძელი ბალანი სცივოდა და მარტის ბოლოდან მოკლე ბალანი ჰქონდა, პრიალა და ღვინის ფერი. შემოდგომიდან მარტამდე ისევ გრძელი ბალანი ჰქონდა.

ძალიან ჰკვირავი იყო. იყო დღეები, როცა ცუდ გუნებაზე იყო, მაშინ ადგილიდან არ დაიძროდა, რამდენიც არ გინდა გეცემნა. ხელი უნდა გადაგვესვა თავზე და თვალზე რამდენიმეჯერ და რამდენიმე წუთის შემდეგ კარგ გუნებაზე იყო. როცა საკოკეს აგვიდებდით, ის წყლის მხარეს მიდიოდა. თუ ხურჯინს, იცოდა ხევის უბანში მივდიოდით. როცა გოდრებს, მაშინ ვენახისკენ გასწევდა. თავის დღეში არ სცდებოდა. როცა დაუძახებდით: ვასო, ვასო! ცუნცრუკით მოდიოდა. ვენახში თავისუფლად დადიოდა, რადგან შემორაგული იყო, მაგრამ, როცა ატამი და ყრძენი მწიფდებოდა, მაშინ ვაბამდით, რადგანაც გადარეული იყო ყრძენისთვის და ატამსაც სჭამდა. ეზოში თავისუფლად დადიოდა, ერთი ადგილი ჰქონდა სახლის კუთხეში, იქ ისვენებდა. ივლისში და აგვისტოში უნდა დაგვება, რადგანაც ხილი იყო გაშლილი ლასტებზე გასაშრობად. ვასო იყო დიდი მოყვარული ტკბილეულობის. ხანდახან დაგვაგიწოდებოდა ვირის დაბმა. როცა გამოვიდოდით, ვირი თავის ადგილზე იყო, მაგრამ ლასტი ჩირის გაქრა და ის გვიყურებდა ისეთი თვალებით თითქოს გვეუბნებოდა: „მე, ვასო, როგორ ვიკადრებ!“ ერთხელ წყლიდან დაგვრუნდი, კოკები მოვხადე და სარდაფში ჩავიტანე. ამ დროს, ერთი

მეზობელი მოვიდა, სახლში შევიბატიე, ცოტა ხანს ვიჯდებოდი რაკეთ, როცა გამოვედი, ვასო თავის ადგილას იყო დასჯილი. ბით, მოვხადე საკოკეები და დავაბი, მივიხედე ჩურჩხელეებისკენ, ერთი ჭიგო ყელაზე დაბლა იყო, ჩურჩხელეების მაგივრად ზედ 25 ჩურჩხელას ძაფები ეკიდნენ. მივიხედე ვირისკენ, ის თითქოს მეუბნებოდა: „რას ვიზამ, ისეთი ტკბილი იყო, სულ შევეჭამე!“

ერთხელ ივნისის ბოლო სიცხეები იყო, დედა და მე ვენახში ვიყავით. შეგვიგვიანდა, რადგანაც პატარა საქმე დაგვრჩა და გვინდოდა გავგეთავებინა. ვეძახი: ვასო, ვასო! ვასო არ მოდის. ვენახს შემოუარე, ვასო არსად იყო. ვიფიქრე: მინდორში გავიდა. ვენახის პირას, ხევის მეორე მხარეს პატარა მინდორი გვქონდა. ხანდახან ვირს იქ ვაბამდით. შემოურბინე მინდორს. არსად არ არის ვასო. ჩავყვი ხევს. ვირი არსად არის. დავბრუნდი. პატარა კარები დავკეტე. დედას ვუთხარი: ალბათ ვირი სახლში წავიდა. უკვე ბნელოდა სახლში წავედით. ამ წელში ალაზნის ველზე იყვნენ მგლები, რომლებმაც რამდენიმე ცხვარი და ვირი შესჭამეს. სახლში ვირი არ იყო. ავიღე ერთი კომბალი და ვენახში დავბრუნდი. ბნელოდა. ვენახს შემოუარე ვასო, ვასოს ძაბილით, პატარა კარებით მინდორზე გავედი, მას შემოუარე. მერე ხევს ავყვი და დავყვი. ვირი ვერ ვიპოვე. ვთქვი: ჯანდაბას შენი თავი! თუ მგლებმა შეჭამეს, ალბათ ეს იყო მისი წერა! პატარა კარები უნდა დავკეტო, უცებ ვირმა დაიჭოჩინა. ჩემიდან სამ მეტრზე იყო ბუჩქებში დამალული. ისე ვიყავი გახარებული, რომ არცერთი ჯოხი არ დამირტყავს. შევეკაშმე. ზედ მოვახტი და სულ თოხარიკით ამომიყვანა სახლში. ვერ გავიგე თუ რით იყო კმაყოფილი ვასო. იმით, რომ ამდენი ხანი ვძებნე, თუ იმით, რომ შეშინებული იყო და გახარებული სახლისკენ მიიჩქაროდა.

### ხოხბის ოინები

ივნისი იყო, ბალზე ვიყავი და ბალს ვკრეფდი. გავიხედე მინდვრისკენ, რომელიც ჩვენი ვენახის ხევის მეორე მხარეზე იყო, დავინახე ერთი მელა, რომელიც რაღაცას ეპარებოდა. ვიფიქრე, რომ ეს იქნება ან ჩიტი ან თავგი. მელა გადახტა და დიდი მამალი ხოხობი აფრინდა, რომელიც თითქოს ერთი

ფრთით ფრინავდა და სამ-ოთხ მეტრზე მიწაზე დაეცა. ვეფიქრე: საწყალი, ალბათ დაჭრილია მძიმედ. მინდოდა დაემეუვირა, მაგრამ გადავწყვიტე მომეცადა. ხოხობის ასეთი ფრენა გაგრძელდა თითქმის ათი წუთი: გაფრინდებოდა და რამდენიმე მეტრზე მიწაზე ეცემოდა. მელა ნელა-ნელა ეპარებოდა, როცა ახლოს მივიდოდა, ხოხობი აფრინდებოდა. უკანასკნელად ხოხობი ახლოს დაეცა. ვთქვი: საწყალი, მელიას მსხვერპლია! მაგრამ ხოხობმა დაიკისკისა და გაფრინდა, როგორც ისარი, ორი ფრთით. მე გაკვირვებული დავრჩი. მელია კი თითქოს მიწაზე დაერქო, რამდენიმე წუთი დარჩა ადგილზე გაუნძრევლად, მერე მობრუნდა და კუდამოძუებული მძიმე-მძიმედ წავიდა.

ეს ამბავი ერთ მოხუცებულ განთქმულ მონადირეს ვუამბე. მან მითხრა: „ძნელი გასაგებია ცხოველები. ალბათ მაგათაც უცხაროთ გართობა ან მოწინააღმდეგის გაღიზიანება.“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

#### მიხეილ თარაშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

#### მინდია ლაშაურის ახალი მოთხრობა: უტუ მიქავა

რადა დასამალია, ერთ დროს შეცდომა დავუშვით და საიდუმლო განვაცხადეთ: მინდია ლაშაური ილია კუჭუხიძეა-თქო. ილია კუჭუხიძე ყურნალისტ-პუბლიცისტი, მინდია ლაშაური კი ლიტერატურათმცოდნე და მწერალი. ეს 80 წელს გადაცილებული ინვალიდი წერს და წერს დაუღალავად და, როცა ჩვენისთანა პერიოდული გამოცემები ველარ აუდიან, თვითვე სცემს მათ და აცნობს საზოგადოებას.

ამჯერადაც, როგორც მინდია ლაშაურმა, წელს მიუნხენში ხელით საბეჭდ მანქანაზე გამოსცა ისტორიულ ქარგაზე დაწერილი შედარებით პატარა მოთხრობა: „უტუ მიქავა.“

ვის არ სმენია უტუ მიქავა—სამეგრელოს სამთავროს ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულ გლეხთა ბელადი. ეგნატე ნიწოშვილიდან მოყოლებული ეს თემა ყველთვის აინტერესებდათ ჩვენს მწერლებს, განსაკუთრებით, კლასთა ბრძოლით გატაცებულთ. მ. ლაშაურს ახლებურად აქვს გააზრებული აჯანყების სულისკვეთებაცა და მისი წინამძღოლისაც. მიუხედავად რუს მოხელეთა ინტრიგებისა, ის არაა მიმართული მთავ-

\*\*\*\*\*

რისა და მთავრინა ეკატერინე ჭავჭავაძის ასულის წინააღმდეგ, არამედ, ბატონკობისა. უტუ მიქავა, თუმცა მთხოვნი ბაში გაზღაპრებულია, სიმპატიური უცოდველი რევოლუციონერია. ის მსხვერპლია მისი სოციალური წარმოშობისა და სამთავროს მოურავის ინტრიგებისა. მას სამეგრელო წარმოუდგენია და სწამს მხოლოდ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში. აქ ამ საინტერესო მოთხრობაზე მეტს ველარ გავაგრძელებთ. ყველას ვურჩევთ მის წაკითხვას. „გუშაგი“

\*\*\* \*\*

შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა (ფრ. ფრანკებში)

პეტრე ხვედელიძე — პოეტ გიორგი ყფიანის ძვირფასი ხსოვნისათვის (100 ლლარი)	591
პეტრე ხვედელიძე — მ. კვიციანიშვილის მეუღლის, ელისოსა და მერის დედის, ქ — ნ ი რ ი ნ ე ს კელილი ხსოვნისთვის (100 დ.)	571
მიხეილ თარაშვილი — მიხა წერეთლისა და ლეო კერესელიძის მოსაგონებლად	1000
მიხეილ ქელიძე — სანდრო მურტაზაშვილის მოსაგონარი	129
მართა სტურუასი — 50 მელიტონ ჟღენტი —	200
გიორგი ტოგონიძე — 100 გრიშა ლომაძე —	200
ზოსიმე ჯიშკარიანი — 200 პროკოფი ინწკირველი —	500
მიშა გოგორიშვილი — 300 ვალია კელია —	100
ილია კუჭუხიძე — 649 სოშოს სათვისტომო —	300
ირაკლი ოთხმეზური — 154 ვილი ემუხვარი —	100
„ს ე ი თ ი “ — 295 დიმიტრი გოგიშვილი —	117
ვიქტორ ხომერიკი — 100 ი. მეგრელიშვილი —	894
მიხეილ თარაშვილი — 300 გივი კობახიძე —	208
გრიგოლ კვარცხავა — 100 შალვა ცინცაძე —	237
ვანო გებრივილი — 200 ვენერა ხაბულიანი —	200
ქეთევან ზურაბიშვილი 200 პავლე ვაშაძე —	300

ჯ ა მ ი

8.295

ყველას უღრმეს მადლობას ვუხდით ამ წვლილთათვის, რაც „გუშაგის“ სიცოცხლის თავდება.



ი 12/63



ქართველი  
წიგლისმოყვარეები

\*\*\*\*\*

შ ი ნ ა ა რ ს ი

- .2 რეიკიავიკის გაკვეთილი – მოწინავე
- .7 აკად. ან. სახაროვის მიმართვა გორბაჩოვისადმი
- .16 ზოგიერთი ჩანაწერები – გიორგი წერეთელი
- .43 ლიტერატურული კრიტიკა:  
მაქსიმ გორკი (1886-1986) – ელენ კარერ-დ'ანკოსი
- .47 ვერ გრძნობენ რაა კარგი, ფაქიზი – ახლობელი
- .49 ოთხი „ვ. ტ.“ ინგლისურ ენაზე – ირაკლი ოთხმეწური
- .56 პოეზიის განყოფილება:  
ასის გახსენება დაისის ქამს;  
ყვავილების ფერებით – ნოშრევან გალაშვილი
- .58 მკვდრებით აღსდგება... – ი. მეგრელიშვილი
- .60 ვ ი ც ი ი ქ...  
ვედრება – გივი შაორელი
- .62 შ ო რ ე უ ლ ი  
ჯარისკაცის თქმული – გიორგი ტოგონიძე
- .63 შე ს ა ნ დ ო ბ ა რ ი – როზა აბნერაშვილი  
ბ ა ხ მ ა რ ო – ირაკლი ოთხმეწური
- .64 სამგლოვიარო განყოფილება:
- .65 ი ლ ი ა თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი – თამაზ ნასყადაშვილი
- .66 ყორჟ დიუმეზილი – გუშაგი
- .69 კ. სალიას გარდაცვალებისა  
გამო – გიორგი წერეთელი
- .76 იაროსლავ სტეცკოს გარდაცვალება – გუშაგი
- .78 ქ რ ო ნ ი კ ა – გულბათ გულბათიშვილი
- .81 კ ო მ უ ნ ი კ ე („სოლიდარობა საქა-  
რთველოს“ საზოგადოების კრების  
მოწვევის თაობაზე) – ტარიელ ზურაბიშვილი
- მ ო წ ო დ ე ბ ა – გიორგი წერეთელი
- .83 ბავშვობისა და ყრმობის მოგონება – მიხეილ თარაშვილი
- .86 მინდია ლაშაურის ახალი მოთხრო-  
ბა: „უტუ მიქავა“ – „გუშაგი“
- .87 შემოწირულებათა სია

\*\*\*\*\*



# GOUCHAGUI

*PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE*

**Directeur : GEORGES TSERETELI**

**ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS**

**75019 PARIS**

\*\*\*\*\*

**EDITION HORS COMMERCE**